საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემია

# ქართული ფილოსოფიები

(IV საუკუნიდან XX საუკუნის ჩათვლით)

## ცნობარი

ს.ს. „გამომცემლობა აჭარა“
ბათუმი – 2004

ცნობარი, რომელშიც წარმოდგენილია ქართველი ფილოსოფოსები IV საუკუნიდან XX საუკუნის ჩათვლით, გაცილებით სრულია ადრინდელ მსგავს გამოცემებთან შედარებით.

წიგნი განსაზღვრულია მათთვის, ვისაც აინტერესებს ქართული ფილოსოფიური აზრის განვითარების ისტორია და თანამედროვეობა.


**სარედაქციო კოლეგია:**

სერგი ავალიანი - ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი
მიხეილ მახარაძე - ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი
ლეონიდე ჯახაია - ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი

**რეცენზენტები:**

კონსტანტინე არჩვაძე - პროფესორი
ირაკლი კალანდია - ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი
ამირან ბერძენიშვილი - ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი


*© ს.ს. „გამომცემლობა აჭარა“ – 2004*

# წინასიტყვაობა

საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემია ამჯერად მკითხველს სთავაზობს ქართველ ფილოსოფოსთა ცნობარს, რომელიც მოიცავს პერიოდს IV საუკუნიდან XX საუკუნის ბოლომდე. ცნობარი გამოსაცემად ხუთი წლის განმავლობაში მზადდებოდა. მანამდე კი პროფესორების - მერი ჭელიძისა და თამაზ ბუაჩიძის რედაქციით გამოვიდა „ქართველ ფილოსოფოსთა ლექსიკონი" (თბილისი, „ოაზისი", 2000), რომელმაც დიდი პოპულარობა მოიპოვა. წინამდებარე გამოცემა უფრო მასშტაბურია და მოიცავს XX საუკუნის ფილოსოფოსებსაც, როგორც გარდაცვლილებს, ისე ამჟამად მოღვაწეებს.

ცნობარში წარმოდგენილი თანამედროვე ფილოსოფოსთა შერჩევის პრინციპი, რასაკვირველია, პირობითია და ბოლომდე არც ჩვენ გვაკმაყოფილებს. იგი მოიცავს ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მქონე ყველა ქართველ ფილოსოფოსს. გამონაკლისს წარმოადგენენ გარდაცვლილი ფილოსოფიურ

მეცნიერებათა კანდიდატები, რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს თანამედროვე ქართული ფილოსოფიის განვითარებაში.

წარსულის ფილოსოფოსთა ბიოგრაფიული ცნობებისა და მეცნიერული ღვაწლის გადმოცემის პროცესში ნაწილობრივ ვისარგებლეთ „ქართველ ფილოსოფოსთა ლექსიკონით" მისი გამომცემლების ნებართვით, რისთვისაც მათ და სტატიების ავტორებს მადლობას მოვახსენებთ.

სარედაქციო კოლეგია მადლიერებით მიიღებს ყველა იმ შენიშვნას, რომელიც ტექსტის შემდგომი სრულყოფილი სახით წარმოდგენას წაადგება. წინადადებები და შენიშვნები შეიძლება გაიგზავნოს მისამართზე: თბილისი, 0105, ხიდის ქუჩა, 1, მეორე სართული, საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემია.

**სარედაქციო კოლეგია**

**აბიბოს**

**ნეკრესელი** - VI - ერთ-ერთი ასურელი მამათაგანი, რომელიც სირიიდან საქართველოში VI საუკუნის მეორე ნახევარში ჩამოვიდა ქრისტიანობის დაცვა-განმტკიცების მიზნით. იგი ჯერ მოღვაწეობდა ზედაზნის მონასტერში. შემდეგ განაგებდა ნეკრესის საეპისკოპოსო კათედრას. აქტიურად იბრძოდა საქართველოში სპარსელთა რელიგიის - მაზდეანობის (ცეცხლთაყვანისმცემლობის) გავლენის წინააღმდეგ, რასაც შეეწირა კიდეც. სპარსელი მარზპანის ბრძანებით იგი ჩაქოლეს; დასაფლავებულია მცხეთაში.

ასურელ მამათაგან აბიბოს ნეკრესელი ფილოსოფიაში ყველაზე გათვითცნობიერებული ჩანს. მისთვის კარგად არის ცნობილი ემპედოკლეს ოთხი ელემენტის (ცეცხლი, ჰაერი, წყალი, მიწა) თეორია, რასაც იგი კარგად იყენებდა ცეცხლთაყვანისმცემლების წინააღმდეგ იდეოლოგიურ ბრძოლაში. სპარსელ მარზპანთან პოლემიკისას აბიბოს ნეკრესელმა ცეცხლს წყალი დაასხა და ჩააქრო, რითაც აჩვენა ცეცხლის მატერიალურობა და მისი გაღმერთებისა და თაყვანისცემის შეუძლებლობა.

აბიბოს ნეკრესელი ოთხი ელემენტის თეორიას გარკვეულად უგუებს მონოთეიზმს იმით, რომ ამ ელემენტების ღვთიურ წარმოშობაზე ლაპარაკობს.

*თხზ.: „ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების ძველი რედაქციები“ (ილია აბულაძის გამოცემა, თბილისი, 1955).*

## ადეიშვილი

**შალვა - 1901-1989** - ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი (1989), დაიბადა ქ. ქუთაისში, დაამთავრა ქუთაისის რეალური სასწავლებელი (1921), შემდეგ - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი ფიზიკა-მათემატიკის განხრით (1926), 1942 წელს - ასპირანტურა ფილოსოფიის სპეციალობით.

შ. ადეიშვილის კვლევის სფერო მრავალფეროვანი იყო, დაწყებული რუსთაველის მსოფლმხედველობით ლოგიკითა და კიბერნეტიკით დამთავრებული. მის კალამს ეკუთვნის მრავალი სამეცნიერო სტატია და რამდენიმე მონოგრაფია.

*თხზ.: „ვეფხისტყაოსნის ქართული გამოცემები“ (თბილისი, 1937); „კიბერნეტიკა და ფილოსოფია“ (თბილისი, 1966); „Философское значение кибернетики“ (Тбилиси, 1974).*

## აკალიანი

**ხეგგი - 1928** - ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი (1964), პროფესორი (1966), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1984), საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი (1995), მეცნიერების ფილოსოფიის საერთაშორისო ასოციაციის წევრი (1999). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი. მუშაობს თეორიული ფილოსოფიის (ონ-

ტოლოგია, გნოსეოლოგია), ბუნებისმეცნიერების ფილოსოფიის, ქართული და ზოგადი ფილოსოფიის ისტორიის დარგებში. გამოქვეყნებული აქვს 25 წიგნი და 200-ზე მეტი სამეცნიერო სტატია. შეიმუშავა ფსევდოაბსოლუტურის თეორია, რომლის მიხედვით მთელი ჩვენი ცოდნა და ღირებულებითი ცნობიერება თავისთავად რელატიურია, მრავალნიშნაა, მაგრამ მხოლოდ რელატიურობის (მრავალნიშნობის) პირობებში შეუძლებელია აზროვნება, შემეცნება, აზრის გამოთქმა (მეტყველება) და თვით პრაქტიკული მოღვაწეობაც. ამიტომ ადამიანი ხელოვნურად ქმნის აბსოლუტურს, ცნობიერად ან არაცნობიერად ააბსოლუტურებს რელატიურს. ასეთი ხელოვნურად შექმნილი აბსოლუტური არის ფსევდოაბსოლუტური, რომელიც შემეცნებისა და მეტყველების პროცესში ჭეშმარიტი აბსოლუტურის ყველა ფუნქციას ასრულებს. ს. ავალიანმა ჩამოაყალიბა დაკვირვებადობის პრინციპის ახალი (გნოსეოლოგიური) ინტერპრეტაცია, რის საფუძველზეც ერთმანეთისაგან გამიჯნა ცოდნა და რწმენა, მეცნიერება და მეტაფიზიკა, უარყო მეტაფიზიკური ფილოსოფიის შესაძლებლობა ფილოსოფიის მეცნიერულობაზე დამყარებით. ამ პრინციპის მისეული ინტერპრეტაციის საფუძველზე შემოიტანა მეცნიერული ონტოლოგიის ცნება, რომელიც, საბოლოოდ, ფილოსოფიურ თეოლოგიას წარმოადგენს. ამასთან დაკავშირებით ერთმანეთისაგან განასხვავა ფილოსოფიური და რელიგიური თეოლოგია, რომელთაგან პირველი მეცნიერულ ონტოლოგიასთან გააიგივა. ს. ავალიანმა სცადა სიცოცხლის არსების ტელეოლოგიური და ვიტალისტური ახსნა. თხზულებაში „ტელეოლოგია“ შემოიტანა ანთროპოცენტრიზმის იდეა.

*თხზ.: „Очерки философии естествознания“ (Тбилиси, 1968); „Природа знания и ценности“ (Тбилиси 1989); „Абсолютное и относительное“ (Тбилиси, 1980); „ბუნებისმეცნიერების ფილოსოფია“ (თბილისი, 1974); „ქართული ნატურფილოსოფიის ისტორიის ნარკვევები“ (თბილისი, 1984) „ანტონ პირველი“ (თბილისი, 1987); „მეცნიერების ფილოსოფიის შესავალი“ (თბილისი, 1991); „მეცნიერული ონტოლოგია“ (თბილისი, 1994); „სიცოცხლის არსება“ (თბილისი, 2000); „ტელეოლოგია“ (თბილისი, 2003); XX საუკუნის ნატურფილოსოფია (თბილისი, 2004)*

**ამბროლაძე**

**ლევან - 1929-1979** - ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი (1978). იკვლევდა დასავლეთის ფილოსოფიაში დასმულ ონტოლოგიურ პრობლემებს. ამ მიმართულებით გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე ნაშრომი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი წიგნი „საწყისისა და მიზეზობრიობის პრობლემა ახალ ფილოსოფიაში“, რომელშიც გამოკვლეულია სუბსტანციის, როგორც პირველმიზეზისა და ყოველგვარი არსებულის საწყისის, დამოკიდებულება მიზეზობრიობასთან. ეს პრობლემა განხილულია ცნობილი ქართველი ფილოსოფოსის სავლე წერეთლის დიალექტიკურ-ლოგიკური კონცეფციის, განსაკუთრებით, დასაბუთების საწყისის წერეთლისეული თეორიის საფუძველზე. ლ. ამბროლაძე ამტკიცებს, რომ მთელი სინამდვილის ონტოლოგიური საწყისის დედაარსს შინაგანი წინააღმდეგობის, ურთიერთდაპირისპირებული მომენტების დიალექტიკური ერთიანობა წარმოადგენს. იდეალიზმსა

და მატერიალიზმში, როგორც წესი, ეს პრინციპი ცალმხრივად და, მაშასადამე, დამახინჯებულად არის წარმოდგენილი. მკვლევარი ცდილობდა დიალექტიკური მეთოდის საფუძველზე მეცნიერულად აეხსნა ონტოლოგიური საწყისის ბუნება. ამ მიზნით იგი ვრცლად და დეტალურად განიხილავს ახალი ფილოსოფიის კლასიკოსების - დეკარტის, სპინოზას, ლაიბნიცის, ბერკლის, ჰიუმის, კანტისა და ჰეგელის თვალსაზრისებს საწყისისა და მიზეზობრიობის შესახებ, აგრეთვე გამოკვლეულია საწყისისა და მიზეზობრიობის პრობლემა დიალექტიკური მატერიალიზმის თვალსაზრისით.

*თხზ.: „საწყისისა და მიზეზობრიობის პრობლემა ახალ ფილოსოფიაში“ (თბილისი, 1971).*

**ანტონ ბიჩველი**

**(ბაგრატიონი)** - **1720-1788** - ქართველი განმანათლებელი, ფილოსოფოსი, მეცნიერი, პოეტი, თეოლოგი. იყო ქართლის მეფის იესეს ძე, ვახტანგ VI-ის ძმისწული, ხოლო დედით - თეიმურაზ მეორის (ერეკლე მეორის მამის) დისწული. ბავშვობისა და ჭაბუკობის წლებში მას თეიმურაზი ერქვა. 1739 წელს ბერად აღიკვეცა ანტონის სახელით. სწავლა-განათლება ჯერ სამეფო კარზე (თელავში) მიიღო, ხოლო შემდეგ დავით გარეჯის მონასტერში, სადაც მდიდარი წიგნსაცავი იყო. იგი ჯერ გელათის მონასტრის წინამძღვარია, 1740 წლიდან - ქუთათელი მიტროპოლიტი, ხოლო 1744 წლიდან - აღმოსავლეთ საქართველოს კათალიკოსი. 1755 წელს გაკათოლიკების ბრალ-

დებით კათალიკოსობიდან გადააყენეს, რის შემდეგაც იგი რუსეთში გაემგზავრა, სადაც ხუთი წელი დაჰყო, როგორც ვლადიმირისა და იეროპოლის ეპარქიის მთავარეპისკოპოსმა. 1764 წელს საქართველოში დაბრუნდა, ერეკლე მეორემ კვლავ კათალიკოსის ტახტზე აღადგინა. დასაფლავებულია მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში.

ახალგაზრდობის წლებიდან გარდაცვალებამდე ანტონ პირველი ქართული კულტურის დედაბოძი იყო. საეკლესიო მოღვაწეობის პარალელურად იგი უცხოური ენებიდან თარგმნიდა ფილოსოფიურ, მეცნიერულ და თეოლოგიურ თხზულებებს, წერდა ორიგინალურ ნაწარმოებებს, მათ შორის, - პოეტურს; ეწეოდა ინტენსიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას. მისი თაოსნობით გაიხსნა თბილისის (1755) და თელავის (1782) სასულიერო სემინარიები, სადაც სწავლება შესაბამისი ევროპული სასწავლებლების დონეზე წარმოებდა. სახელმძღვანელოებად ძირითადად გამოყენებული იყო თვით ანტონის მიერ შედგენილი ორიგინალური ან უცხოური ენებიდან თარგმნილი წიგნები. ანტონ პირველის ინტენსიური მოღვაწეობის შედეგად XVIII საუკუნის ქართული ფილოსოფიური აზროვნება დასავლეთის ფილოსოფიურ იდეებს ეზიარა. ფილოსოფიის დარგში ანტონის კალამს ეკუთვნის წიგნები: „სპეკალი" (1752), „შემოკლებული ფისიკა თეორეტიკებრი" (1762), „კატილორია სიმეტნეი" (1767), ვოლფისა და ბაუმაისტერის ფილოსოფიური თხზულებების ქართული თარგმანები და მრავალრიცხოვანი კომენტარი (1762) და სხვა. ამ თხზულებებში განხილულია ონტოლოგიის, გნოსეოლოგიის, მეტაფიზიკის, ლოგიკის, ბუნების ფილოსოფიის, ეთიკისა და სხვა ურთულესი ფილოსოფიური პრობლემები. იგი ავტორია აგრეთვე მრავალრიცხოვანი ისტორიული, თეო-

ლოგიური, პოეტური ნაწარმოებებისა, რომლებიც კულტურის სხვადასხვა სფეროს მოიცავს.

თავისი სამეცნიერო მოღვაწეობის პირველ პერიოდში (1756 წლამდე) ანტონ პირველი ბერძნულ-რომაული ფილოსოფიის გავლენას განიცდიდა და მისი ფილოსოფიური მსოფლმხედველობაც ამ გავლენის ფარგლებში ჩამოყალიბდა. ამ პერიოდში მან დაწერა თხზულება „სპეკალი", რომელშიც ფილოსოფიის მრავალი საკითხია განხილული პლატონის, არისტოტელეს, ალბერტ დიდისა და სხვათა იდეების მიხედვით. მეორე პერიოდში (1762 წლიდან) იგი ძირითადად ლაიბნიც-ვოლფისა და ნაწილობრივ რუსული კულტურის გავლენას განიცდის. განსაკუთრებით ძლიერია დასავლეთის ფილოსოფიის გავლენა. ანტონი თარგმნის ვოლფისა და ბაუმაისტერის ფილოსოფიურ თხზულებებს, ურთავს მათ კომენტარებს, აყალიბებს ორიგინალურ შეხედულებებს. განსაკუთრებით ნაყოფიერია რუსეთში მოღვაწეობის წლები. სულ რაღაც ხუთი წლის მანძილზე მან მრავალი ფილოსოფიური და მეცნიერული ნაშრომი შექმნა და უცხო ენებიდან თარგმნა (ძირითადად, - ლათინურიდან), რაც იშვიათ მოვლენას წარმოადგენს ქართული აზროვნების ისტორიაში. ამავე დროს ანტონის ფილოსოფიურმა მსოფლმხედველობამ ტრანსფორმაცია განიცადა, რაც იმაში გამოიხატა, რომ ანტიკური და შუა საუკუნეების ფილოსოფიიდან თანამედროვე ფილოსოფიური აზროვნებისკენ შემობრუნდა. ლაიბნიც-ვოლფის ფილოსოფია (ძირითადად, ვოლფისა და ბაუმაისტერის მეშვეობით) მისი ყურადღების ცენტრში მოექცა. მიუხედავად ამისა, ძირითადი ობიექტურ-იდეალისტური ხაზი მისი ფილოსოფიური მსოფლმხედველობის უცვლელ მიმართულებად დარჩა.

*თხზ.: „სპეკალი“ (თბილისი, 1991. გ. დედაბრიშვილის გამოცემა); „შემოკლებული ფისიკა თეორეტიკებრი“ (იხ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, S - 114); „კატიღორია სიმეტნეი“ (იხ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, A - 233).*

## აჩხენ

**იყალთოელი - XI-XII** - (იგივე არსენ ვაჩეს ძე) - იოანე პეტრიწის თანამედროვე, სასულიერო მოღვაწე, ფილოსოფოსი, მწერალი, ჰიმნოგრაფი. განათლება მიიღო კონსტანტინოპოლში, მანგანის აკადემიაში. აქ დაიწყო მთარგმნელობითი მოღვაწეობა. XI საუკუნის 80-იან წლებში ანტიოქიაში შავ მთაზე მიემგზავრება და ეფრემ მცირესთანაა. ეფრემ მცირეს სიკვდილის შემდეგ ბრუნდება მანგანის აკადემიაში. შემდეგ საქართველოში ჩამოდის, მოღვაწეობს - ჯერ გელათის აკადემიაში, შემდეგ - იყალთოს აკადემიას აარსებს. მოღვაწეობა დაასრულა შიომღვიმის მონასტერში. არსენ იყალთოელი დავით აღმაშენებლის მრჩეველი იყო და მონაწილეობდა მის საეკლესიო რეფორმებში.

არსენ იყალთოელი, ნეოპლატონიკოს პეტრიწისაგან განსხვავებით, არისტოტელიკოსია. იგი პირველ რიგში ცნობილია, როგორც ფილოსოფიური და ღვთისმეტყველური ძეგლების მთარგმნელი. ნათარგმნი რელიგიურ-ფილოსოფიური ლიტერატურა გაერთიანა კომპენდიუმში (კრებულში) - „დოგმატიკონი“, სადაც შესულია ისეთი ფილოსოფიურ-ღვთისმეტყველური თხზულებები,

როგორიცაა: ანასტასი სინელის „წინამძღვარი“, იოანე დამასკელის „ცოდნის წყარო“ (პირველი და მესამე ნაწილი), თეოდორე აბაკურას პოლემიკური ტრაქტატი. მასვე შეუდგენია ფიზიკის სახელმძღვანელო, რომლითაც იგი ასწავლიდა გელათისა და იყალთოს აკადემიებში.

ეპოქა, რომელშიც მოღვაწეობა უხდებოდათ არსენ იყალთოელსა და იოანე პეტრიწს, ქართული ფილოსოფიური აზრის აღმავლობით ხასიათდება.

*თხზ.: „გეორგიკა“, (თბილისი, 1966); „ძველი ქართული მწერლობის საკითხები“, II (თბილისი, 1964).*

**ახალთაანი**

**გურამ - 1927** - ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი (1967), პროფესორი (1968), უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკი, საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (2001). დაიბადა ქ. ოზურგეთში. 1950 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი. 1954 წლიდან მუშაობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჯერ დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის კათედრის უფროს მასწავლებლად, დოცენტად, ხოლო შემდეგ - კათედრის პროფესორად. 1979-1986 წლებში იყო ამავე უნივერსიტეტის ეთიკისა და მეცნიერული ათეიზმის კათედრის გამგე, 1976 წლიდან კი - ქართული ენციკლოპედიის ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ჯგუფის ხელმძღვანელია.

გ. ასათიანის კვლევის ძირითადი მიმართულებებია: საზოგადოების სოციალური სტრუქტურისა და პოლიტიკური ორგანიზაციის განვითარება, ეთიკურისა და პოლიტიკურის სინთეზის კანონზომიერება, თანამედროვე სოციოლოგიის ძირითადი მიმდინარეობანი.

*თხზ.: „თანამედროვე დასავლეთგერმანული პოლიტიკური ფილოსოფია“ (თბილისი, 1966); „საზოგადოების სოციალური სტრუქტურა“ (თბილისი, 1969); „თანამედროვე ბურჟუაზიული სოციოლოგია“ (თბილისი, 1987); „დასავლური პოლიტიკურ-ფილოსოფიური მოძღვრებების ისტორია“ (თბილისი, 2003).*

**ბაგრატიონი (ბატონიშვილი)**

**დავით - 1767-1819** - საქართველოს უკანასკნელი მეფის - გიორგი XII-ის შვილი. დაწყებითი განათლება სამეფო კარზე მიიღო, ხოლო შემდეგ დაეუფლა უცხოურ ენებსა და უცხოურ (ძირითადად - ფრანგულ) ლიტერატურას, შეისწავლა სამხედრო მეცნიერება. 1789 წელს იგი მონაწილეობდა კრწანისის ომში, სადაც ხელმძღვანელობდა არტილერიას. დავითი ქართლ-კახეთის სამეფო ტახტის მემკვიდრე იყო, მაგრამ რუსეთმა დაარღვია 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატი, მოახდინა ჯერ - ქართლ-კახეთის, შემდეგ კი მთელი საქართველოს ანექსია და არ დაუშვა დავითის გამეფება. მას, სხვა ბატონიშვილებთან ერთად, საქართველოში ცხოვრება აეკრძალა და 1803 წლიდან რუსეთში ცხოვრობდა. ამ პერიოდში დაწერა ორიგინალური მეცნიერული და ფილოსოფიური ნაშრომები, ქართულ ენაზე თარგმნა მონტესკიეს „გულისხმისყოფისათვის სჯულთასა" („კანონთა სული"), ანსილიონის „ესთეტიკებრი განსჯანი", შეადგინა ორიგინალური ნაწარმოები „შემოკლებული ფისიკა", რომელშიც, გარდა ფიზიკური იდეებისა, გადმოცემულია მისი ნატურფილოსოფიური შეხედულებანი. წიგნში „შემოკლებული კატიღორია" განხილულია დავით ბაგრატიონის ლოგიკური შეხედულებანი. მის კალამს ეკუთვნის აგრეთვე ისტორიული, მხატვრული, სამართლისმცოდნეობითი ნაწარმოებები. გარდაიცვალა პეტერბურგში; დასაფლავებულია იქვე.

დავით ბაგრატიონი ვოლტერის იდეებს იზიარებდა, რის გამოც მას „ვოლტერიანელად" თვლიდნენ. ამის საფუძველზე წარმოიშვა შეხედულება მისი ათეისტობის შესახებ, რაც სიმართლეს მოკლებულია. დავითი, ვოლტერის გავლენით, დეისტი იყო და არა ათეისტი: იგი სამყაროს შემოქმედად ღმერთს თვლიდა.

დავით ბაგრატიონის ფილოსოფიური შეხედულებანი გადმოცემულია მის სხვადასხვა ნაშრომში, თარგმანების კომენტარებსა და განსაკუთრებით წიგნში „შემოკლებული ფისიკა", სადაც განხილულია არა მხოლოდ ფიზიკის, არამედ ქიმიის, ბიოლოგიის, ასტრონომიისა და მეტეოროლოგიის საკითხები. ამ შემთხვევაში ფიზიკა გაგებულია ფართო მნიშვნელობით, მაგრამ დავითი ფიზიკის ცნებას საკუთრივი მნიშვნელობითაც ხმარობს, სახელდობრ, როგორც მეცნიერებას ნივთიერი სინამდვილის შესახებ.

მატერიის ცნების ქვეშ დავით ბაგრატიონს ნივთობრივი - სივრცესა და დროში განფენილი - სამყარო ესმოდა, რომლის ძირითად ნიშნად შეგრძნებებში მოცემულობა მიაჩნდა. შემეცნების თეორიაში იგი ემპირიზმის პოზიციებზე იდგა, რაც სრულიად ბუნებრივია, თუ იმ გარემოებას გავითვალისწინებთ, რომ იგი ფრანგი განმანათლებლების გავლენას განიცდიდა.

მატერიის მარადიულობის მტკიცებას დავით ბაგრატიონი ატომების განუყოფლობაზე აფუძნებს. ყველა სხეული ატომებისაგან შედგება, ატომი კი გაგებულია ტრადიციულად, როგორც მარტივი, შეუდგენელი. დავითი აღიარებს კოპერნიკის ჰელიოცენტრულ სისტემას: დედამიწა მრგვალია; არსებობს უძრავ ვარსკვლავთა ცა, რომელიც „გარემომცველია სოფლისა და ყოველთა სხეულთა".

დავით ბაგრატიონის „შემოკლებული ფისიკა" გარკვეული შემოკლებებით გამოსცა ვახტანგ პარკაძემ 1954 წელს, მეორე გამოცემა (გ. დედაბრიშვილის) გამოვიდა 2003 წელს.

*თხზ.: „შემოკლებული ფისიკა" (იხ. ვახტანგ პარკაძე. დავით ბაგრატიონი და მისი „შემოკლებული ფისიკა" თბილისი, 1954); „შემოკლებული კატიღორია" (ხელნაწერი).*

**ბაგრატიონი (ბატონიშვილი)**

**იოანე - 1768-1830** - XVIII საუკუნის პირველი მესამედის ერთ-ერთი თვალსაჩინო მოღვაწე და მოაზროვნეა. იგი იყო საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ის შვილი, დავით ბაგრატიონის ძმა. იოანე სწავლობდა ერეკლე მეორესა და ანტონის მიერ დაარსებულ თელავის სასულიერო სემინარიაში, სადაც, მსგავსად თბილისის სემინარიისა, ფილოსოფიური საგნების სწავლება მაღალ დონეზე იდგა. მის სოლიდურ ფილოსოფიურ განათლებაზე მეტყველებს მისი ენციკლოპედიური ხასიათის თხზულება „კალმასობა". გარდა ამ თხზულებისა, იოანე ბაგრატიონს შეუდგენია საბუნებისმეტყველო ენციკლოპედია, რუსულ-ქართული ლექსიკონი, ქართული ლექსიკონი, დაწერილი აქვს პოეტური ნაწარმოებები, ქართულ ენაზე თარგმნა კონდილიაკის თხზულება „ლოგიკა" და სხვა.

იოანე ბაგრატიონის მთავარ თხზულებას წარმოადგენს „კალმასობა", რომელსაც მართლაც ენციკლოპედიური ხასიათი აქვს და იმ ეპოქის საქართველოს ეკონომიკურ, სოციალურ, პოლიტიკურსა და კულტურულ ვითარებას ასახავს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ თხზულების ფილოსოფიური ნაწილი, რომელიც ორიგინალური არ არის, მაგრამ იმდროინდელი ქართული ფილოსოფიური აზროვნების დონეს გამოხატავს. იოანე ბაგრატიონი, ისევე როგორც სხვა ბატონიშვილები, რუსეთში გადაასახლეს. გარდაიცვალა პეტერბურგში, დასაფლავებულია იქვე.

იოანე ბაგრატიონის ფილოსოფიური მსოფლმხედველობა იდეალისტურია. მატერიალური სამყარო, მისი აზრით, ოთხი ელემენტისაგან (მიწა, წყალი, ცეცხლი და ჰაერი) შედგება. ყოველი

მატერიალური სხეული შედგენილი და წარმავალია. ასეთივეა ადამიანის სხეულიც, სული კი იდეალურია, მარტივი და უკვდავი.

იოანე ბაგრატიონი, არისტოტელეს კვალდაკვალ, ერთმანეთისაგან განასხვავებს პირველადსა და მეორად მიზეზებს. პირველადი მიზეზები მეტაფიზიკურია, ძირითადად ზეგრძნობადი და ღვთაებრივია, მეორადი მიზეზები კი მატერიალურია. არისტოტელეს მოძღვრებას ოთხი მიზეზის შესახებ (მატერიალური, ფორმალური, მოქმედი და ფინალური) იოანე პროკლეს გავლენით უმატებს მეხუთე მიზეზს, რომელსაც იგი „ორღანოებითს" უწოდებს. სივრცისა და დროის ცნებებიც არისტოტელეს მიხედვით ესმის. იგი ლაპარაკობს ადგილის, როგორც კონკრეტული სივრცის შესახებ, რომელიც სხეულების საზღვარია („გარეშეწერა სხეულისა"). იოანე ბაგრატიონის კალამს ეკუთვნის აგრეთვე, ორიგინალური თხზულება „ძალნი სულისანი", რომელიც დაწერილია მის მიერ თარგმნილი კონდილიაკის „ლოგიკის" გავლენით. იოანე ბაგრატიონიც, კონდილიაკის მსგავსად, სენსუალისტურ იდეებს იცავს და რაციონალიზმს ეწინააღმდეგება.

იოანე ბაგრატიონის ნაწერებში სოლიდური ადგილი უჭირავს ლოგიკის პრობლემებს. ამის შესახებ ლაპარაკია არა მარტო „კალმასობაში", არამედ კონდილიაკის „ლოგიკის" მისეული თარგმანის წინასიტყვაობაშიც. იგი ამტკიცებს ლოგიკის შემეცნებით ღირებულებას და, მაშასადამე, იცავს ლოგიკისა და შემეცნების თეორიის აუცილებელი კავშირის იდეას. იოანე ბაგრატიონი იყენებს თავისი ძმის - დავითის ნაშრომებს „შემოკლებული ფიზიკა" და „შემოკლებული კატიღორია"; ამ უკანასკნელს იგი ავსებს არისტოტელეს მოძღვრებით სილოგიზმისა და ოთხი ბუნებრივი მიზეზის შესახებ. ამაში გამოიხატებოდა მისი მოღვაწეობის გან-

მანათლებლური ხასიათი. იოანე ბაგრატიონი თავისი ეპოქის ერთ-ერთი თვალსაჩინო განმანათლებელი იყო საქართველოში.

*თხზ.: „კალმასობა“ ტ. I-II (თბილისი, 1936-1948. კ. კეკელიძისა და ალ. ბარამიძის გამოცემა); „კალმასობა (ფილოსოფიური ნაწილი)“ (იხ. ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიის ნარკვევები. ტ. III. თბილისი. 1974, გ. დედაბრიშვილის გამოცემა).*

## ბაკურაძე

**ოთარ - 1926-1986** - ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი (1964), პროფესორი (1965). მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1982), დაიბადა ქ. თელავში. 1949 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი. 1949 წლიდან 1970 წლამდე მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტში ჯერ - უმცროს, ხოლო შემდეგ - უფროს მეცნიერ თანამშრომლად, ბოლო წლებში - ამავე ინსტიტუტის განყოფილების გამგედ. 1970-1978 წლებში ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორია, ხოლო 1978-1986 წლებში - ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი, 1986 წელს ეკავა ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის კონსერვატორიის ფილოსოფიის კათედრის გამგის თანამდებობა.

ო. ბაკურაძის მეცნიერული კვლევის სფეროები იყო დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი, ფილოსოფიის ისტორია და ღირებულების თეორია.

მონოგრაფიაში „თავისუფლება და აუცილებლობა“ მოცემულია ამ კატეგორიების დეტალური ანალიზი, როგორც ფილოსოფიურ-ისტორიულ, ასევე ლოგიკური ასპექტით. ო. ბაკურაძე იკვლევს თავისუფლების ურთულეს პრობლემას და თვლის, რომ შეუძლებელია აუცილებლობისა და თავისუფლების კატეგორიების ერთმანეთისაგან იზოლირებულად განხილვა. ისინი დაპირისპირებულია, მაგრამ ურთიერთგამომრიცხავი ცნებები არ არის. ძირითადი იდეა, რომლის დამტკიცებას ემსახურება მთელი გამოკვლევა, არის ის, რომ თავისუფლება უნდა გაგებულ იქნას სპეციფიკური დეტერმინაციის ვითარებაში.

ო. ბაკურაძე ერთმანეთისაგან განასხვავებს ნებელობისა და მოქმედების თავისუფლებას. ნებელობითი ქცევა არ არის უმოტივო, მისი მოტივი „პიროვნების მოთხოვნილებებიდან მომდინარეობს“. მოტივი შეიძლება იყოს ფსიქიკურიც, ხოლო ფსიქიკური მიზეზობრიობა შეუძლებელია. ნებისყოფის თავისუფლება უთავსდება მიზეზობრიობას, რის გარეშეც მასზე ლაპარაკი შეუძლებელია. ასევე იგი მორალურ თავისუფლებას მორალურ აუცილებლობასთან კავშირში განიხილავს. თავისუფლებისა და აუცილებლობის განუყრელობა მორალურ სფეროში ვლინდება.

ო. ბაკურაძე იკვლევდა აგრეთვე შემეცნების თეორიისა და ისტორიის ფილოსოფიის პრობლემებს, კ. მარქსის ფილოსოფიური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების საკითხს, ავტორია სახელმძღვანელოსი „დიალექტიკური მატერიალიზმი“.

*თხზ.: „კ. მარქსის ფილოსოფიურ შეხედულებათა ჩამოყალიბების საკითხისათვის“ (თბილისი, 1953. თარგმნილია რუსულ, ფრანგულ და ჩინურ ენებზე); „თანამედროვე რევიზიონიზმი ფილოსოფიაში“ (თბილისი,*

*1959); „თავისუფლება და აუცილებლობა“ (თბილისი, 1964); „დიალექტიკური მატერიალიზმი“ (თბილისი, 1973); „Природа морального суждения“ (Тбилиси, 1982).*

## ბაკური

- IV - ქართველი პოლიტიკური მოღვაწე და მოაზროვნე. მის შესახებ ბიოგრაფიული მონაცემები ერთობ მწირია. ცნობილია, რომ იყო იბერიიდან და ეკუთვნოდა წარჩინებულ გვარს. ზოგიერთი მონაცემით, ბაკური პირველი ქრისტიანი მეფეა საქართველოში. მისი პოლიტიკური მოღვაწეობიდან ცნობილია, რომ როგორც სარდალი, მონაწილეობდა გუთებისა და ბიზანტიელების ომში ადრიანოპოლთან (378 წ.) და ტირან ევგენიოსის წინააღმდეგ ბრძოლაში (394 წ.).

ბერძნული წყაროები, ბაკურის სამხედრო ტალანტის გარდა, იუწყებიან მასზე, როგორც ღრმა მოაზროვნე ფილოსოფოსზე. ბაკუთრივ ბაკურის ნაშრომი ან ცალკე მოსაზრებები შემორჩენილი არ არის. მის ფილოსოფიურ მრწამსზე წარმოდგენას იძლევა ცნობილი ნეოპლატონიკოსის ლიბანიოსის (314-393) წერილი, რომელიც მას ბაკურისთვის მიუწერია. ამ წერილიდან ცხადი ხდება, რომ უფრო ადრე ბაკურს წერილი მიუწერია ლიბანიოსისთვის, და სწორედ ამას ემყარება ლიბანიოსი ბაკურის მსოფლმხედველობის გადმოცემისას.

ლიბანიოსის დახასიათებაში ბაკური წარმოჩენილია, როგორც მამაცი, ბრძენი, ბუნებრივი ნიჭით დაჯილდოებული და აგრეთვე

მოაზროვნე ფილოსოფოსი, ლოგოსების მოყვარული. ამ წერილიდან ირკვევა ისიც, რომ ბაკური სტოიციზმით ყოფილა გატაცებული. ეს ბუნებრივიცაა, რადგანაც იმ პერიოდში, როცა ბაკური ბიზანტიაში მოღვაწეობდა, სტოიციზმი ყველაზე გავრცელებული ფილოსოფიური მოძღვრება იყო.

*თხზ.: „გეორგიკა“, I (ა. გამყრელიძისა და ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, თბილისი, 1961); შ. ნუცუბიძე „ქართული ფილოსოფიის ისტორია“, ტ. I (თბილისი, 1956); შ. ხიდაშელი, „ქართული ფილოსოფიის ისტორია“ (თბილისი, 1988).*

**ბაკურია**

**მურთაზ - 1933-1992** - ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი (1974), პროფესორი (1978). დაიბადა სოფელ ძველ აბაშაში (აბაშის რაიონი), იქვე დაამთავრა საშუალო სასწავლებელი, ხოლო შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (1956), ასპირანტურა ფილოსოფიის სპეციალობით. მისი ცხოვრების მთავარი ნაწილი დაკავშირებულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, სადაც იგი წლების მანძილზე კითხულობდა ლექციებს. მ. ბაკურია ეწეოდა ნაყოფიერ მეცნიერულ კვლევა-ძიებას კატეგორიოლოგიისა და დიალექტიკური ლოგიკის პრობლემებზე, აგრეთვე თანამედროვე დასავლეთის ფილოსოფიის ისტორიის დარგში. მის ნაშრომებში გამოკვლეულია კატეგორიის ძირითადი ნიშნები: ობიექტურობა, ზოგადობა, ისტორიულობა, ნაჩვენებია ლოგიკურ-გნოსეოლოგიური ფუნქცია. მ. ბაკურიამ გამოი-

კვლია დიალექტიკის ძირითადი კანონები, განსაკუთრებით, დაპირისპირებულთა ერთიანობისა და ბრძოლის კანონი, მისი ადგილი დიალექტიკის კატეგორიების სისტემაში. წიგნში „დიალექტიკური ლოგიკა" სალექციო კურსის სახით დალაგებულია ს. წერეთლის დიალექტიკურ-ლოგიკური კონცეფცია. მ. ბაკურია იზიარებს ს. წერეთლის აზრს დიალექტიკური ლოგიკის, როგორც ერთადერთი ფილოსოფიური ლოგიკის შესახებ. იკვლევდა აზრის ლოგიკური ფორმების დიალექტიკურ ბუნებას, კრიტიკულად განიხილავდა ნ. ჰარტმანის კატეგორიოლოგიურ კონცეფციას, აჩვენებდა მის დადებით და უარყოფით მხარეებს. მ. ბაკურიას კალამს ეკუთვნის აგრეთვე მრავალი საჟურნალო სტატია ფილოსოფიურ პრობლემებზე.

*თხზ.: „ლენინი მარქსისტული კატეგორიოლოგიის ზოგიერთი ძირითადი საკითხის შესახებ" (თბილისი, 1969); „მარქსისტული კატეგორიოლოგიის საკითხები" (თბილისი, 1977); „მარქსისტული დიალექტიკა და ფილოსოფიური სოციოლოგია" (თბილისი, 1979); „დიალექტიკის ძირითადი კანონები" (თბილისი, 1982); „დიალექტიკური ლოგიკა" (თბილისი, 1984); „ჰარტმანის ზოგადი კატეგორიოლოგიის კრიტიკისათვის" (თბილისი, 1985).*

## ბალანჩიეაძე

**ზეკეაზ - 1938** - ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი (1982), პროფესორი (1987), საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (2002), ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აკადემიის წევრი (1996), დაიბადა ქუთაისში. დაამ-

თავრა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი (1961 წ.). მოისმინა ლექციების კურსი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე. სხვადასხვა დროს მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტსა და ფილოსოფიის ინსტიტუტში, აგრეთვე პარტიის ისტორიის ინსტიტუტში განყოფილების გამგედ, გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის" რედაქტორად, ხოლო 1986 წლიდან რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო ინსტიტუტის საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის გამგეა.

სამეცნიერო მოღვაწეობის ძირითადი სფეროებია: ფილოსოფიური ანთროპოლოგია, ეთიკა, კულტუროლოგია. მის ნაშრომებში დამუშავებულია ეთიკისა და ფილოსოფიური ანთროპოლოგიის პრობლემები, ფსიქოლოგიისა და პედაგოგიკის ფილოსოფიური პრინციპები, გაანალიზებულია ხელოვნების ფილოსოფიური საკითხები. რ. ბალანჩივაძე დაჯილდოებულია იაკობ გოგებაშვილის სახელობის პრემიით (1998).

*თხზ.: „ადამიანი, თავისუფლება, პასუხისმგებლობა" (თბილისი, 1976); „ადამიანი და ტრადიცია" (თბილისი, 1997); „ადამიანის ფილოსოფიური კონცეფცია ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში" (თბილისი, 1997); „ზნეობრივი აღზრდის ამოცანები თანამედროვე ეტაპზე" (თბილისი, 1982); „პედაგოგიკის ფილოსოფიური საფუძვლები" (თბილისი, 1997, ე. ასათიანის თანაავტორობით).*

## ბანძელაძე

**გელა - 1927-1985** - ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი (1963), პროფესორი (1965), მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1984), დაიბადა სოფელ დერჩში (წყალტუბოს რაიონი). 1950 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი. ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოღვაწეობას: 1951-1952 წლებში იყო გაზეთ „კომუნისტის" პროპაგანდის განყოფილების გამგე, 1952-1956 წლებში - საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანი. 1956-1961 წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის ეთიკის განყოფილების გამგეა, 1961 წლიდან მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეთიკის, ესთეტიკისა და მეცნიერული ათეიზმის კათედრის გამგედ. 1969-1972 წლებში იყო პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი, ხოლო შემდეგ კვლავ ფილოსოფიის ინსტიტუტის ეთიკის განყოფილების გამგე.

გელა ბანძელაძის სახელთან დაკავშირებულია მარქსისტული ეთიკის პრობლემების კვლევა საქართველოში. მან მარქსისტული პოზიციებიდან გამოიკვლია ეთიკის საგანი, კლასობრივი და ზოგადსაკაცობრიო მომენტები, სინდისის ფენომენის ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა, მორალისა და პოლიტიკის ურთიერთობა, დაამუშავა მეცნიერულ-ტექნიკური ეპოქის მორალური მხარეები, ეთიკური კატეგორიები, ზნეობის, ბედნიერების, ყოფაქცევის, კულტურისა და სხვა საკითხები. გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე წიგნი ქართულ, რუსულ, გერმანულ და ვიეტნამურ ენებზე, აგრეთვე მრა-

ვალი სამეცნიერო და პუბლიცისტური სტატია რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთებში. პროფესორ გელა ბანძელაძის ნაშრომი „ზნეობის პროგრესის თეორია და პრაქტიკა“ 1983 წელს დაჯილდოვდა სახელმწიფო პრემიით.

*თხზ.: „ლოგიკურისა და ესთეტიკურის ურთიერთობის საკითხი“ (თბილისი, 1956); „მარქსისტული ეთიკის საგანი“ (თბილისი, 1959); „ეთიკა“ (თბილისი, 1962, ითარგმნა რუსულ და ვიეტნამურ ენებზე); „მარქსისტული ეთიკის გადმოცემის ცდა“ (თბილისი, 1963); „სინდისის ცნება მარქსისტულ ეთიკაში“ (თბილისი, 1974); „ადამიანური ღირსების ცნება“ (თბილისი, 1976, ითარგმნა გერმანულ ენაზე); „მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია, ზნეობრივი პროგრესის პრობლემა“ (თბილისი, 1979, 1980); „ზნეობის პროგრესის თეორია და პრაქტიკა“ (თბილისი, 1982); „Uber den Begriff der Meschenwürd“ (Gessen, 1987).*

**ბარამიძე**

**გიორგი** - **1957** - ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი (1994), პროფესორი (2001), საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (2001), 1980 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტი. მუშაობს უნივერსიტეტში ფილოსოფიის კათედრაზე. მისი კვლევის ინტერესების სფეროა: სოციალური ფილოსოფია, პოლიტიკური ფილოსოფია, ონტოთეოლოგია, ლიტერატურის ფილოსოფია. გამოქვეყნებული აქვს სამ ათეულზე მეტი ნაშრომი, მათ შორის ორი მონოგრაფია.

გ. ბარამიძე ეწევა აგრეთვე მთარგმნელობით საქმიანობას. მან გერმანულიდან თარგმნა და გამოსცა მარტინ ჰაიდეგერის „დას-

აბამი ხელოვნების ქმნილებისა" (1992) და „თემშარა" (1993), მაქს ვებერის „პოლიტიკა, როგორც დანიშნულება" (1994) და ჰერმან ჰესეს „ნოვალისი" (1989).

2001 წლიდან გ. ბარამიძე ფილოსოფიის დარგში სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელი სპეციალიზებული საბჭოს თავმჯდომარეა, ხოლო 2002 წლიდან საქართველოს ფილოსოფიური საზოგადოების პრეზიდენტი.

*თხზ.: „ფანტაზია და წარმოსახვა" (თბილისი, 1993);*

## ბაქანიძე

**მამია - 1931-2002** - ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი (1968), დაიბადა ოზურგეთის რაიონის სოფელ მერიაში. 1949 წელს დაამთავრა სოფელ მერიის საშუალო სკოლა, 1949-1954 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე. 1957-1983 წლებში ცხოვრობდა ქ. ალმა-ათაში; 1957 წლიდან მუშაობდა ყაზახეთის მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიისა და სამართლის ინსტიტუტში ჯერ - უმცროს, შემდეგ - უფროს მეცნიერ თანამშრომლად, ბოლოს - სექტორის გამგედ. 1967-1982 წლებში გამოქვეყნებული ნაშრომების ციკლისათვის „მატერიალისტური დიალექტიკის ძირითადი პრინციპების კვლევა და მათი როლი მეცნიერულ შემეცნებაში" (კოლექტიური ნაშრომი) მ. ბაქანიძეს მიენიჭა ყაზახეთის სახელმწიფო პრემია.

1983 წლიდან გარდაცვალებამდე მ. ბაქანიძე მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ს. წერეთლის სახელობის ფილოსოფიის ინსტიტუტის წამყვან მეცნიერ მუშაკად.

მ. ბაქანიძის მეცნიერული კვლევის მიმართულებანი იყო ლოგიკის, შემეცნების თეორიის, დიალექტიკის პრობლემები. მ. ბაქანიძის აზრით, მსჯელობა არის აზროვნების უმარტივესი ფორმა, რის გამოც იგი ლოგიკური ფორმების კლასიფიკაციის ამოსავალია. წინააღმდეგობის კატეგორიას ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს მეცნიერული აზროვნების ყველა დარგში. წინააღმდეგობის ცნებაზეა აგებული დიალექტიკური ლოგიკა, რომელიც იმავე დროს ცოდნის ლოგიკას წარმოადგენს.

*თხზ.: „Проблема субординации логических форм" (Алма-Ата, 1968); „Проблемы логики и диалектики познания" (в соавторстве, Алма-Ата, 1963); „Принцип противоречия в современной науке" (в соавторстве, Алма-Ата, 1975); „Роль принципа конкретности в современной науке" (в соавторстве, Алма-Ата, 1976); „Принцип противоречия в социальном познании" (в соавторстве, Алма-Ата, 1982); „Диалектическая логика: формы и методы познания" (в соавторстве, Алма-Ата, 1987).*

## ბაქრაძე

**კოტე** - **1898-1970** - გამოჩენილი ქართველი ფილოსოფოსი, ლოგიკოსი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი (1958), პროფესორი (1930), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1947), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1968), დაიბადა თბილისში, იქვე დაამთავრა გიმნაზია, ხოლო შემდეგ - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი (1922). 1923

წელს გაემგზავრა გერმანიაში, სადაც ჰაიდელბერგისა და ფრაიბურგის უნივერსიტეტებში ისმენდა გამოჩენილი გერმანელი ფილოსოფოსების - ჰუსერლის, რიკერტისა და ჰაიდეგერის ლექციებს. 1925 წელს საქართველოში ბრუნდება და მომდევნო წლიდან მუშაობას იწყებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჯერ - ასისტენტად (1926), შემდეგ - დოცენტად (1928), ხოლო 1930 წლიდან გარდაცვალებამდე - ამავე უნივერსიტეტის პროფესორია.

კოტე ბაქრაძე წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა ლოგიკისა და ფილოსოფიის ისტორიის კათედრებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტში და რესპუბლიკის სხვადასხვა სამეცნიერო და პედაგოგიურ ცენტრებში.

კოტე ბაქრაძის ძირითადი ნაშრომები მიძღვნილია ლოგიკისა და ფილოსოფიის ისტორიის პრობლემებისადმი. იკვლევს რა დიალექტიკის პრობლემას გერმანულ იდეალიზმში, კ. ბაქრაძე ამტკიცებს, რომ დიალექტიკური მეთოდი მთელი გერმანული კლასიკური ფილოსოფიის დამახასიათებელი ნიშანია. იგი იწყება კანტიდან და მთავრდება ჰეგელით. მთელი გერმანული ფილოსოფიის მთავარი პრინციპია სუბიექტის პრინციპი, რომელიც დასაბამს იღებს კანტის მოძღვრებაში ტრანსცენდენტური სუბიექტის შესახებ. იდეალისტურად გაგებული სუბიექტის ცნება გერმანულ ფილოსოფოსთა დიალექტიკურ მეთოდზე გავლენას ახდენს. გერმანული კლასიკური ფილოსოფიის მიზანია მონისტური მსოფლმხედველობის შექმნა, მაგრამ ეს მიზანი განუხორციელებელი დარჩა.

სისტემა და მეთოდი ჰეგელის ფილოსოფიაში, ამტკიცებს კ. ბაქრაძე, მჭიდრო ურთიერთკავშირშია, ამიტომ არც ერთი მათგანის უარყოფა არ შეიძლება; იგი აკრიტიკებს თვალსაზრისს, რომ-

ელიც დიალექტიკურ მეთოდს ჰეგელის ფილოსოფიაში ზედმეტად თვლის. არც იმის თქმა შეიძლება, რომ ჰეგელის დიალექტიკური მეთოდი მეცნიერულია, ხოლო სისტემა - რეაქციული და ყალბი. განვითარების პროცესს ჰეგელის ფილოსოფიაში ლოგიკური ხასიათი აქვს. ჰეგელის ფილოსოფიის სისტემასა და მეთოდს შორის ფორმისა და შინაარსის მიმართება არსებობს.

სუბიექტური იდეალიზმი, ამტკიცებს კ. ბაქრაძე, წყვეტს ცნობიერებას გარესამყაროსაგან, ასეთ შემთხვევაში მისი ცდა იმანენტურიდან ტრანსცენდენტურზე გასვლისა მარცხით მთავრდება. ცნობიერება და გარესამყარო მჭიდრო კავშირშია; ობიექტური რეალობის არსებობა მტკიცდება არა ლოგიკური არგუმენტებით, არამედ ადამიანთა პრაქტიკული მოღვაწეობის პროცესში. ერთადერთი ლოგიკა, - ამტკიცებს კ. ბაქრაძე, - არის ფორმალური ლოგიკა, რომელიც სწორ აზროვნებას სწავლობს, ხოლო დიალექტიკური ლოგიკა არის შემეცნების თეორია. ყოფილ საბჭოთა კავშირში მან პირველმა გამოაქვეყნა სახელმძღვანელო „ლოგიკა“ (1946, რუსული გამოცემა 1951), პირველმა წამოიწყო სამეცნიერო დისკუსია საკავშირო მასშტაბით ლოგიკისა და დიალექტიკის საკითხებზე. კ. ბაქრაძემ საქართველოში პირველმა დაიწყო თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფიური მიმართულებების კვლევა. ამ სფეროში მის კალამს ეკუთვნის აგრეთვე მრავალი სტატია ფილოსოფიის აქტუალურ საკითხებზე, რეცენზიები, კომენტარები და ა.შ. მის ნაშრომებზე დაიწერა მრავალი რეცენზია ქართულ, რუსულ და უცხოურ ენებზე. მისი წიგნები „სისტემა და მეთოდი ჰეგელის ფილოსოფიაში“ და „უახლესი და თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფიის ნარკვევები“ ითარგმნა და გამოქვეყნდა რუსულ, სლოვაკურ და პოლონურ ენებზე.

*თხზ.: „დიალექტიკის პრობლემა გერმანულ იდეალიზმში“ (თბილისი, 1929); „სისტემა და მეთოდი ჰეგელის ფილოსოფიაში“ (თბილისი, 1936); „ლოგიკა“ (თბილისი, 1946); „თანამედროვე ამერიკულ-ინგლისური ბურჟუაზიული ფილოსოფია იმპერიალიზმის სამსახურში“ (თბილისი, 1955); „Очерки по истории новейшей и современной буржуазной философии“ (Тбилиси, 1960); „ეგზისტენციალიზმი“ (თბილისი, 1962); „პრაგმატიზმი“ (თბილისი, 1965); „ახალი ფილოსოფიის ისტორია“ (თბილისი, 1969).*

**ბაჩულაშვილი**

**გაბრიელ - 1926-1976** - ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი (1961), დაიბადა სოფელ ზემო ალვანში (ახმეტის რაიონი), იქვე დაამთავრა საშუალო სკოლა და შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე. ასპირანტურაში სწავლობდა გამოჩენილი ქართველი ფილოსოფოსის სავლე წერეთლის ხელმძღვანელობით. მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტში.

გ. ბაჩულაშვილის მეცნიერული კვლევის ძირითადი მიმართულება იყო დიალექტიკური ლოგიკა, რომლის პრობლემებს იგი ს. წერეთლის დიალექტიკურ-ლოგიკური თეორიის საფუძველზე ამუშავებდა. ჯერ კიდევ პირველ წიგნში, რომელიც მიძღვნილია კარლ მარქსის „კაპიტალში“ წარმოდგენილი ფილოსოფიური კატეგორიების კავშირის გამოკვლევისადმი, საფუძვლიანად შესწავლილია ისტორიული და ლოგიკური მეთოდების ურთიერთობა და მათი როლი სპეციალურ-მეცნიერული კვლევის პროცესში, კატეგორიების ურთიერთგადასვლა და, საერთოდ, ცნებათა გადასვლის

ფორმები, კატეგორიების „წრებრუნვა", გარდაქმნა და ა.შ. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მის მეორე (უკანასკნელ) წიგნს, რომელიც მისი გარდაცვალების შემდეგ გამოქვეყნდა. მასში განხილულია კატეგორიების დიალექტიკა გნოსეოლოგიური ლოგიკის თვალსაზრისით. აქ ავტორი აკონკრეტებს და აღრმავებს სავლე წერეთლის კონცეფციას გნოსეოლოგიური ლოგიკის შესახებ, რომლის საფუძვლად კატეგორიების დიალექტიკა ძევს.

გ. ბაჩულაშვილის მეცნიერული კვლევის ყურადღების ცენტრში იყო აგრეთვე ზოგადისა და უზოგადესის კატეგორიების ბუნება. მისი აზრით, ზოგადისა და ერთეულის კატეგორიების ერთიანობა კონკრეტულობას ქმნის. ზოგადის შემეცნება აბსტრაქტულ აზროვნებას წარმოადგენს, ხოლო უზოგადესის კატეგორია ფილოსოფიური შემეცნების საფუძვლად ძევს. გ. ბაჩულაშვილი იკვლევდა აგრეთვე ფილოსოფიური კატეგორიების ბუნებას, მათ როლს მეცნიერულ შემეცნებაში. იგი განსაკუთრებით დაინტერესებული იყო არსების კატეგორიის კვლევით. მთელი ეს მუშაობა დიალექტიკური ლოგიკის, როგორც ფილოსოფიური მეცნიერებისა და უმაღლესი ლოგიკის, დასაბუთებას ემსახურებოდა.

გ. ბაჩულაშვილს გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნიერო სტატია.

*თხზ.: „კატეგორიების კავშირი კ. მარქსის „კაპიტალში" (თბილისი, 1961); „კატეგორიების დიალექტიკა, როგორც გნოსეოლოგიური ლოგიკა" (თბილისი. 1978).*

## ბეგიაშვილი

**არჩილ - 1928-1996** - ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი (1966), პროფესორი (1970), საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1995), დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი (1949), ასპირანტურის კურსი გაიარა მოსკოვში, სადაც მან საკანდიდატო დისერტაციაც დაიცვა. შემდეგ იგი დაბრუნდა საქართველოში და მუშაობა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტში ჯერ უფროს მეცნიერ თანამშრომლად, შემდეგ კი - განყოფილების გამგედ. ათ წელზე მეტხანს განაგებდა დიალექტიკური მატერიალიზმის (ამჟამად ფილოსოფიის) კათედრას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, იყო ამავე უნივერსიტეტის ფილოსოფიის დარგში ხარისხების მიმნიჭებელი სპეციალიზებული საბჭოს თავმჯდომარე.

ა. ბეგიაშვილს ეკუთვნის მრავალი ნაშრომი ქართულ, რუსულ, ჩეხურ და ინგლისურ ენებზე. იგი ერთ-ერთი პირველთაგანი იყო მათ შორის, ვინც ჩვენს რესპუბლიკაში ხელი მოჰკიდა თანამედროვე დასავლური ფილოსოფიის კვლევას, დაწერა მნიშვნელოვანი მონოგრაფიები ამ თემაზე.

ა. ბეგიაშვილი ასაბუთებდა ფილოსოფიური შემეცნების განსაკუთრებულობას, მის პრინციპულ განსხვავებას სპეციალური მეცნიერებებისაგან. მას შემოაქვს მეტაფილოსოფიის ცნება (ეს ცნება დასავლეთის ფილოსოფიაშიც ფიგურირებს), რომლის სტრუქტურულ ელემენტებად თვლის ონტოლოგიასა და გნოსეოლოგიას, ამტკიცებდა, რომ ფილოსოფიის საგანია სამყარო, რომელშიც ადამიანს საკუთარი წესრიგი შეაქვს. ონტოლოგიის საფუძველზე

წარმოიშვა ფილოსოფიური ანთროპოლოგია, ხოლო გნოსეოლოგიის საფუძველზე - მეცნიერების ფილოსოფია. ერთიც და მეორეც მეტაფილოსოფიის სტრუქტურული ელემენტია. ფილოსოფიამ, ერთი მხრივ, უნდა იკვლიოს ადამიანის ადგილი სამყაროში, რაც ფილოსოფიური ანთროპოლოგიის საგანს წარმოადგენს, ხოლო, მეორე მხრივ, სპეციალურ-მეცნიერული ცოდნის ბუნება.

ა. ბეგიაშვილის კალამს ეკუთვნის გამოკვლევები ფილოსოფიისა და პოეზიის ურთიერთობის შესახებ, აგრეთვე მხატვრული ნაწარმოები „ფილოსოფიური მოთხრობები".

*თხზ.: „Метод анализа в современной буржуазной философии" (Тбилиси, 1960); „თანამედროვე პოზიტივიზმი" (თბილისი, 1961); „Современная английская лингвистическая философия" (Тбилиси, 1965); „О природе философского познания" (Тбилиси, 1989); „Структура метафилософии" (Тбилиси, 1993).*

## ბექანიშვილი

**მიხეილ - 1934** - ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი (2003), დაიბადა ქ. თბილისში, დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი (1958). 1959 წლიდან მუშაობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტში ჯერ - უმცროსი მეცნიერი თანამშრომლის, შემდეგ - სწავლული მდივნის, უფროსი მეცნიერი თანამშრომლის, წამყვანი მეცნიერი თანამშრომლის, ლოგიკის განყოფილების ხელმძღვანელისა და სამეცნიერო დარგში დირექტორის

მოადგილის თანამდებობებზე. 2002 წლის იანვრიდან ს. წერეთლის სახელობის ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორია.

1966 წლიდან კითხულობს ლოგიკის სპეცკურსებს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. სისტემატურად მონაწილეობს ლოგიკოსთა საერთაშორისო კონგრესების, სიმპოზიუმებისა და სამეცნიერო კონფერენციების მუშაობაში.

2002 წლიდან არის ჟურნალ „მაცნეს" ფილოსოფიის სერიის რედაქტორი. სამეცნიერო ინტერესებისა და კვლევის მთავარი სფეროა მათემატიკური ლოგიკა, ლოგიკის ფილოსოფია და ისტორია. გამოქვეყნებული აქვს 60-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე.

*თხზ.: „Интерполяционная теорема для исчислений частичных предикатов Хао Вана" (Логические исследования, выпуск 7, Москва, 2000); „Notes on Wajsberg's proof of the separation theorem" (Initiatives in Logic, Ian Srednicki, (ed), Dordrecht, 1987); „On a partially interpreted logic" (Bulletin of the Section of Logic, vol. 27, no 1/2, 1998); „A partially interpreted modal tableaux calculus" (Multiple - Valued Logic, vol.5, 2000).*

## ბიწაძე

**შალვა - 1905-1980** - ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი (1962), პროფესორი (1964), მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1979), დაიბადა ქ. ზესტაფონში, დაამთავრა ამიერკავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტი (1929) და მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტის ასპირანტურა (1935).

შ. ბიწაძე მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნიეერსიტეტის ისტორიული მატერიალიზმის კათედრაზე - ჯერ დოცენტად, შემდეგ კი - პროფესორად. მონაწილეობდა მეორე მსოფლიო ომში, მიღებული აქვს მთავრობის ჯილდოები.

შ. ბიწაძის მეცნიერული მოღვაწეობის ძირითადი სფეროებია ეთიკა, ისტორიული მატერიალიზმი, რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების მსოფლმხედველობა.

*თხზ.: „კომუნისტური მორალის შესახებ" (თბილისი, 1955); „ბელინსკის ეთიკური შეხედულებანი" (თბილისი, 1962); „სოციალისტური რევოლუციის ლენინური თეორია" (თბილისი, 1965); „პროლეტარული რევოლუციის ლენინური თეორია და თანამედროვეობა" (თბილისი, 1976).*

## ბიჭაშვილი

**მამუკა - 1956** - ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი (1995), პროფესორი (1996), დაიბადა 1956 წელს სოფელ კვაცხუთში (ამბროლაურის რაიონი); 1982 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტი ფილოსოფიის სპეციალობით, ხოლო 1985 წელს - ასპირანტურა თეორიული ფილოსოფიის განხრით.

მ. ბიჭაშვილის კვლევის ძირითადი მიმართულებებია ანალიტიკური (ლინგვისტური) და პოლიტიკური ფილოსოფია. იგი ავტორია მრავალი სამეცნიერო სტატიისა და პუბლიცისტური წერილისა.

*თხზ.: „თეორიული ენის ონტოლოგიური ბაზისი" (თბილისი, 1985); „სამეტყველო აქტების ანალიტიკური თეორია" (თბილისი, 1995), „პოლიტიკური ძალის თეორია" (თბილისი, 2002).*

**ბოჭორიშვილი**

**ანგია - 1902-1982** - ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1939), პროფესორი (1940), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1955), მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1961), დაიბადა სოფელ ლახამულაში (მესტიის რაიონი), 1924 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი, იქვე - ასპირანტურა ფსიქოლოგიის სპეციალობით. 1928-1933 წლებში მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, 1933-1956 წლებში იყო ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის პრორექტორი და ფსიქოლოგიის კათედრის გამგე. 1955-1957 წლებში იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოსი-მდივანი, ხოლო 1957-1960 წლებში - ამავე აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი. ა. ბოჭორიშვილი სხვადასხვა დროს იყო საქართველოს ფსიქოლოგთა საზოგადოების, ფილოსოფოსთა საზოგადოების თავმჯდომარე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების ჟურნალ „მაცნეს" რედაქტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის ფსიქოლოგიის ისტორიის განყოფილების ხელმძღვანელი, ფილოსოფიის ინსტიტუტის ფილოსოფიური ანთროპოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი.

ა. ბოჭორიშვილის მეცნიერული ინტერესების სფერო იყო ფსიქოლოგიის ფილოსოფიური პრობლემები, ესთეტიკის, აქსიოლოგიის, მეცნიერების მეთოდოლოგიის საკითხები. მისი ინიციატივით ფილოსოფიის ინსტიტუტში ჩამოყალიბდა ფილოსოფიური ანთროპოლოგიის განყოფილება.

ა. ბოჭორიშვილის აზრით, ფილოსოფიური ანთროპოლოგია არის ფილოსოფიის ერთ-ერთი დისციპლინა, რომელიც ადამიანის შესახებ სხვა მეცნიერებათა ლოგიკურ საფუძველს წარმოადგენს. მან ცნობიერების ინტენციონალურ ბუნებაზე დაყრდნობით შექმნა ადამიანის უშუალო (თავისთავადი) გაგების თეორია, მიუთითა ფსიქოლოგიზმის უარყოფით გავლენაზე ფსიქოლოგიურსა და არაფსიქოლოგიურ მეცნიერებებში.

*თხზ.: „ფსიქოლოგიის პრინციპული საკითხები", ნაწ. 1-3 (თბილისი, 1957); „ფსიქოლოგიზმი და ანტიფსიქოლოგიზმი ფსიქოლოგიაში" (თბილისი, 1965); „ფენომენოლოგიური ესთეტიკა" (თბილისი, 1966); „კანტის ესთეტიკა" (თბილისი, 1967); „ფილოსოფიური ანთროპოლოგიის თეორიული საფუძვლები" (თბილისი, 1976); „Философия, психология, эстетика" (Тбилиси, 1979); „რას ამბობენ ფილოსოფოსები ადამიანის არსის შესახებ" (თბილისი, 1980).*

**ბოჭორიშვილი**

**თინათინ - 1959** - ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი (1997), 1981 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტი, ხოლო 1985 წელს - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის ასპირანტურა.

თინათინ ბოჭორიშვილი არის საერთაშორისო განათლების ამერიკული საბჭოს კოორდინატორი, სხვადასხვა დროს მონაწილეობდა საერთაშორისო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში. გა-

მოქვეყნებული აქვს ნაშრომები როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ.

*თხზ.: „პიროვნება, ღირებულება, შემოქმედება“ (თბილისი, 1991); „სიცოცხლის საზრისი, როგორც ტრანსცენდენცია“ (თბილისი, 1996).*

## ბრაჭული

**ირაკლი - 1956** - ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი (1997), დაიბადა ქ. თბილისში. 1980 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტი ფილოსოფიის სპეციალობით. მუშაობს ესთეტიკის, მსოფლმხედველობის, პოლიტიკური მენტალიტეტის, თეოლოგიისა და ჰერმენევტიკის საკითხებზე. გამოქვეყნებული აქვს მეცნიერული სტატიები.

*თხზ.: „ზეკაცის მსოფლმხედველობა (ჰერმენევტიკის ენერგეტიკული პარადიგმები)“ (თბილისი, 1997).*

## ბრეგაძე

**ანზორ - 1937** - საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1995), დაიბადა ქუთაისში. 1961 წელს დაამთავრა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი, მოისმინა ლექციების ციკლი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე. 1962 წლიდან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის თანამშრომელია, 1986 წლიდან ხელმძღვანელობს ამავე ინსტიტუტის ფილოსოფიური ანთროპოლოგიის განყოფილებას, მუშაობს თბილისის ადამიანთმცოდნეობის ინსტიტუტის დეკანად.

ა. ბრეგაძის მეცნიერული მოღვაწეობის მთავარი სფეროა ფილოსოფიური ანთროპოლოგია, გნოსეოლოგია, ეთიკა, ესთეტიკა. იგი ერთმანეთისაგან ასხვავებს სულსა და გონს, სხეულსა და ტანს. ადამიანის არსს ხედავს გონით მოღვაწეობაში, საგნებისაგან საკუთარი თავის დისტანცირებაში. ადამიანის შემეცნების სპეციფიკურ მეთოდად თვლის გაგებას, თუმცა არც აღწერასა და ახსნას უარყოფს.

*თხზ.: „ადამიანის შესახებ რელიგიურ-ფილოსოფიური კონცეფციები" (თანაავტორი ა. ბაქრაძე, თბილისი, 1977); „ადამიანის შინაგანი ბუნება და მისი გარეგამოვლენა" (თბილისი, 1984); „ადამიანის არსი და ხასიათი" (თბილისი, 1991); „შეიცან თავი შენი" (თბილისი, 1994); „რა არის ადამიანი?" (თბილისი, 1997).*

## ბგეგაძე

**ბაჩანა - 1936** - ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი (1996), საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1996). დაიბადა სოფელ სხვავაში (ამბროლაურის რაიონი). 1954

წელს დაამთავრა ამავე სოფლის საშუალო სკოლა, 1960 წელს - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი, ხოლო ასპირანტურა - ფილოსოფიის სპეციალობით.

ბ. ბრეგვაძე ცნობილი ქართველი მთარგმნელია, კომენტატორი და მკვლევარი. თარგმნის ძველი ბერძნული, ლათინური, იტალიური, ფრანგული, ესპანური ენებიდან; გამოქვეყნებული აქვს ანტიკური, შუა საუკუნეების, რენესანსის ეპოქის, ახალი დროის ევროპული მწერლობისა და ფილოსოფიური აზრის თვალსაჩინო წარმომადგენელთა ქმნილებების მრავალრიცხოვანი თარგმანები და გამოკვლევები. 1964-1976 წლებში თარგმნა პლატონის დიალოგები („ნადიმი", „ფედონი", „დიდი ჰიპია", „მენონი", „კრიტონი", „ტიმეოსი" და სხვა); აგრეთვე მარკუს ავრელიუსი (1972), „ფსევდო-ლონგინე და მისი ტრაქტატი" (1974), ბლეზ პასკალის „აზრები" (1981), „მიქელანჯელოს პოეზია" (1975), „სოკრატე", „წარმართული სამება - პლოტინეს ფილოსოფია", ნიკოლო მაკიაველის „მთავარი" (1994) და სხვა. მის კალამს ეკუთვნის აგრეთვე ა. ფრანსის, პ. ვალერის, ფ. გარსია ლორკას, გ. მისტრალის და სხვა ავტორების თხზულებების ქართული თარგმანები.

**ბუაჩიძე**

**თამაზ - 1930-2001** - ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი (1997), პროფესორი (1991), დაიბადა თბილისში; დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი; 1958-1961 წლებში სწავლობდა ასპირანტურაში ფილოსოფიის სპეციალობით. 1995-1997 წლებში

იყო საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ხოლო 1997 წლიდან გელათის აკადემიის აკადემიკოსი. 1966 წლიდან მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის ჯერ - სწავლულ მდივნად, შემდეგ - დირექტორის მოადგილედ, ხოლო 1997 წლიდან - დირექტორად.

თ. ბუაჩიძე მუშაობდა ფილოსოფიური ანთროპოლოგიის, გნოსეოლოგიის, აქსიოლოგიის, ფილოსოფიის ისტორიის პრობლემებზე. მისი აზრით, ადამიანი მხოლოდ მაშინ ცხოვრობს თავისი მოწოდების შესაბამისად, როცა მისი ქმედება დაუინტერესებელია, უანგაროა; გნოსეოლოგიაში ეს პრინციპი გამოვლინდება, როგორც ობიექტურობა, საგნის სიყვარული, ხოლო აქსიოლოგიაში - როგორც გონითი სიყვარული - „აგაპე".

*თხზ.: „ჭეშმარიტების ობიექტურობის შესახებ" (თბილისი, 1964); „პეგელი და ფილოსოფიის არსების პრობლემა" (თბილისი, 1976); „Гегель о сущности философии" (Тбилиси, 1981); „თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფიის სათაურებთან" (თბილისი, 1986); „სიცოცხლის ფილოსოფია" (თბილისი, 1991).*

## გაბიანი

**ანზორ - 1935** - ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი (1974), პროფესორი (1981), მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, დაიბადა თბილისში. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია იურიდიულ მეცნიერებაში, სადოქტორო - ფილოსოფიაში.

ა. გაბიანი სხვადასხვა დროს მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამართლისა და ეკონომიკის ინსტიტუტში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

ა. გაბიანის კვლევის ძირითადი სფეროა დამნაშავეობის სოციოლოგია.

*თხზ.: „Наркотизм" (Тбилиси, 1977); „Наркотизм вчера и сегодня" (Тбилиси, 1988); „На краю пропасти: наркомания и наркоманы" (Москва, 1990).*

## გაბილაია

**შოთა - 1917-1982** - ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი (1963), დოცენტი, დაიბადა ქ. ბორჯომში. 1939 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 1942 წელს - ასპირანტურა. 1960-1970-იან წლებში მოღვაწეობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე, იყო ფაკულტეტის დეკანი, დიალექტიკური მატერიალიზმის კათედრის გამგე, შემდეგ - თეატრ-

ალური ინსტიტუტის პრორექტორი, ბოლოს - ხალხთა მეგობრობის მუზეუმის დირექტორის მოადგილე.

შ. გაბილაია ეწეოდა ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას - სხვადასხვა დროს კითხულობდა ლექციებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ბათუმისა და სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტებში, თეატრალურ ინსტიტუტში; მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში წაიკითხა სპეცკურსი მეცნიერული ინტუიციის პრობლემებზე. ლექციები ჰქონდა წაკითხული აგრეთვე ბერლინისა და ბრნოს უნივერსიტეტებში.

შ. გაბილაიას მეცნიერული კვლევის მთავარი სფერო იყო დიალექტიკური მატერიალიზმის, მეცნიერული ინტუიციისა და ესთეტიკის საკითხები. ამ თემებს მან მიუძღვნა არაერთი შრომა და სამეცნიერო სტატია. მისი ინიციატივითა და რედაქტორობით რუსული ენიდან ქართულზე ითარგმნა და გამოიცა ფილოსოფიური წიგნები.

*თხზ.: „ესთეტიკურის სოციალური არსი" (თანაავტორობით, თბილისი, 1965); „ფილოსოფიური წერილები" (თბილისი, 1989).*

## კაბიძაშვილი

**თამარ - 1927-2003** - ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი (1956), პროფესორი (1986), დაიბადა სოფელ დერჩში (წყალტუბოს რაიონი); 1952 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი. სხვადასხვა დროს მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტში (1956-1960), თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთიკისა და მეცნიერული ათეიზმის კათედრის გამგედ (1969-1979), ამავე უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტის დეკანად (1974-1994), რელიგიათმცოდნეობისა და ეთიკის კათედრის გამგედ (1994-1999).

ო. გაბიძაშვილის კვლევის მთავარი სფეროები იყო: რელიგიის ისტორია, რელიგიის სოციოლოგია, ათეიზმის თეორია და ისტორია. იგი 1989-1990 წლებში მონაწილეობდა გისენის (გერმანია), ბრნოს (ჩეხოსლოვაკია) და თბილისის საერთაშორისო კონფერენციებში, როგორც მათი ერთ-ერთი ორგანიზატორი.

*თხზ.: „ტრადიციების არსი და ფუნქცია" (თბილისი, 1977); „რელიგიის სოციოლოგია" (თბილისი, 1984); „რელიგია, როგორც სოციალური მოვლენა" (თბილისი, 1986); „რელიგიათმცოდნეობა" (თბილისი, 1999).*

## გაგოიძე ვახტანგ

**- 1920-2003** - ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი (1964), პროფესორი (1965), მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1982), საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1995), დაიბადა ახმეტის რაიონის სოფელ ალვანში. 1938 წელს დაამთავრა ქ. ბაქოს საშუალო სკოლა და იმავე წელს შეიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთის ენათა და ლიტერატურის ფაკულტეტზე. პირველი სემესტრის დასრულებისთანავე გადავიდა მოსკოვის ნ. ჩერნიშევსკის სახელობის ისტორია-ფილოსოფიის სახელმწიფო ინსტიტუტში.

ვ. გაგოიძე მეორე მსოფლიო ომის მონაწილეა. ომის დამთავრების შემდეგ სწავლას აგრძელებს მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტში, მაგრამ მალე გადმოდის თბილისის უნივერსიტეტში და 1949 წელს ამთავრებს ამავე უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტს, შემდეგ იგი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის ასპირანტია.

ფართო იყო ვ. გაგოიძის სამეცნიერო მოღვაწეობის სფერო: ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორია, მარქსისტული ფილოსოფიის ისტორია, სოციოლოგია, მედიცინის ფილოსოფია, მეცნიერების როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში და სხვა.

*თხზ.: „ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობა" (თბილისი, 1962); „ფილოსოფიური აზრის ძირითადი მიმდინარეობანი XIX საუკუნის საქართველოში" (თბილისი, 1964); „ფილოსოფიური და სოციოლოგიური აზრის ისტორიიდან XIX საუკუნის საქართველოში" (თბილისი, 1971); „მეცნიერება - ტექნიკა - საზოგადოება" (ტ. I-II, თბილისი, 1982-1985); „მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია და მისი ძირითადი თავისებურებანი" (თბილისი. 1985); „მეცნიერების გადაქცევა უშუალო საწარმოო ძალად" (თბილისი. 1979); „ნარკვევები XIX საუკუნის ფილოსოფიური და საზოგადოებრივი აზრის ისტორიიდან საქართველოში" (თბილისი, 1971).*

## ტახოკიძე

**ზაზა - 1945** - ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი (1984), პროფესორი (1985), საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიოსი (1996), დაიბადა თბილისში, დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ქიმიის ფაკულტეტი (1967). 1990 წლიდან მუშაობს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოორგანული ქიმიის კათედრის გამგედ. კვლევის ძირითადი მიმართულებებია: ბიოორგანული ქიმია, მეცნიერების (ქიმიის) ფილოსოფიური პრობლემები. გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომები სპეციალობის მიხედვით, მათ შორის სამი წიგნი. რ. გახოკიძე არის საქართველოს სახელმწიფო პრემიისა (1996) და მელიქიშვილის პრემიის (1988) ლაურეატი.

*თხზ.: „ალექსანდრე ბოროდინი" (თბილისი, 1978); „Методологические вопросы философии и науки" (თბილისი, 1985); „მეცნიერება, ხელოვნება, აღზრდა" (თბილისი, 1991); „ბიოენერგოაქტივატორი" (თბილისი, 2002); „ბიოორგანულ ნაერთთა კვლევის მეთოდები" (თბილისი, 2003).*

## ბერეშიძე

**დავით - 1935-2003** - ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი (1982), პროფესორი (1985), საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, დაიბადა ბაღდათის რაიონში. 1957 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 1982 წელს მიენიჭა უმაღლესი სკოლის დამსახურებული მოღვაწის წოდება. 1957 წლიდან მუშაობდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პრორექტორად. სიცოცხლის ბოლო წლებში იყო ამავე უნივერსიტეტის საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის გამგე.

მეცნიერული მოღვაწეობის ძირითადი მიმართულებებია: რელიგიის ფილოსოფია, პოლიტოლოგია, ბიოეთიკა, ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის ძირითადი მეთოდები.

*თხზ.: „სექტანტური იდეოლოგიის რეაქციული არსი (ბაპტიზმი და ორმოცდაათიანელები)" (თბილისი, 1966); „რელიგიური რწმენა და მეცნიერული ცოდნა" (თბილისი, 1969, თანააეტორი); „ათეიზმი, რელიგია, თანამედროვეობა" (თბილისი, 1982); „საქართველოს ისტორიაში ქრისტიანობის ადგილისა და როლის საღვთისმეტყველო კონცეფციის კრიტიკა" (თბილისი, 1986); „ტეიარ დე შარდენის იდეოლოგია" (თბილისი, 1995); „Православная церковь в Грузии" (Москва, 1972).*

## გელაშვილი

**ანტონ - 1923-1977** - ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი (1970), პროფესორი (1972), დაიბადა თბილისში. 1949 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე; 1941-1946 წლებში მსახურობდა საბჭოთა არმიაში, 1950 წელს ამთავრებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტს. 1950-1953 წლებში ამავე უნივერსიტეტის ლოგიკის კათედრის ასპირანტია.

ა. გელაშვილის მეცნიერული კვლევის ინტერესებს წარმოადგენდა ლოგიკის, ფილოსოფიის ისტორიის, რელიგიის ფილოსოფიისა და განსაკუთრებით ათეიზმის პრობლემები.

*თხზ.: „ღმერთის ცნების საკითხისათვის" (თბილისი, 1966); „რელიგიის გნოსეოლოგიური ფესვები" (თბილისი, 1967); „ღმერთის არსებობის ონტოლოგიური დასაბუთება და მისი უსაფუძვლობა" (თბილისი, 1968); „თანამედროვე რელიგია და ღმერთის არსებობის დასაბუთების საკითხები" (თბილისი, 1970); „სამყარო, ღმერთი და ადამიანი" (თბილისი, 1972); „ათეიზმის თეორიის საკითხები" (თბილისი, 1975).*

## გიორგი

**მთაწმიდელი - 1009-1065** - საეკლესიო მოღვაწე, მწერალი, მთარგმნელი, ათონის სალიტერატურო სკოლის უმნიშვნელოვანესი წარმომადგენელი, ეფთვიმე მთაწმიდელის ტრადიციების გამგრძელებელი და განმავითარებელი; დაიბადა სამხრეთ საქართველოში, წარჩინებული გვარის ოჯახში. 12 წელი სწავლობდა კონსტანტინოპოლში. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ბერად აღიკვეცა. 1040 წლიდან ათონის ივერთა მონასტერში დაიწყო მოღვაწეობა, 1044 წლიდან კი - მონასტრის წინამძღვარია. 1056 წელს თავს ანებებს წინამძღვრობას, მიემგზავრება ანტიოქიაში და მთლიანად მწიგნობრულ მოღვაწეობას ეწევა. 1060 წელს მეფე ბაგრატ IV-ის მოწვევით ჩამოდის საქართველოში და მნიშვნელოვან როლს ასრულებს საეკლესიო საქმეების ორგანიზაციასა და მოწესრიგებაში.

გიორგი მთაწმიდელის უპირველესი მიზანი იყო ქართული საზოგადოების საარსებო ვითარებისა და სულიერი მოთხოვნილებების შესატყვისი ძეგლების შექმნა, ქართველთა კულტურული ცნობიერების ამაღლება და მათი საერთაშორისო ასპარეზზე გაყვანა. გიორგი მთაწმიდელის შემოქმედებაში უხვად ვხვდებით ფი-

ლოსოფიურ იდეებს, თუმცა ეს იდეები ერთად თავმოყრილი და გაერთიანებული არ არის, არ წარმოადგენს ერთ მწყობრ სისტემას, მაგრამ ეპოქის საზრიანო ვითარებაზე გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის.

გიორგი მთაწმიდელის თარგმანებმა და ორიგინალურმა ნაშრომებმა („დიდი სუნაქსარი", „სახარებაი გამოკრებული საწელიწადო" და სხვა); დიდი როლი შეასრულა მომდევნო დროის ქართულ-ქრისტიანული კოსმოლოგიისა და ანთროპოლოგიურ შეხედულებათა ჩამოყალიბებაში.

*თხზ.: „იოანეს და ექვთიმეს ცხოვრება", ქართული პროზა, ტ. I (თბილისი, 1981).*

## ტეიშაანი

**ჯაგმენ - 1928** - ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი (1969), პროფესორი (1969), საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი (1979), სოციოლოგიის სისტემური ანალიზისა და თანამედროვეობის გლობალური პრობლემების მკვლევარი, დაიბადა ქ. ახალციხეში, დაამთავრა მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტი. 1977 წლიდან სისტემური გამოკვლევების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორია, 1992 წლიდან - ამ ინსტიტუტის საპატიო დირექტორი.

*თხზ.: „Социология бизнеса" (Москва, 1962); „Социальная роль науки и научная политика" (Москва, 1968); „Организация*

*и управления" (Москва, 1972, 3-ье издание - 1998); „Диалектико-материалистические основания системных исследований" (Москва, 1986).*

## გოგებაშვილი

**იაკობ - 1840-1912** - ქართული მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებელი. პუბლიცისტი, საბავშვო მწერალი და საზოგადო მოღვაწე, დაიბადა და გაიზარდა სოფელ ვარიანის საეკლესიო მოღვაწის ოჯახში. სწავლობდა გორის, შემდეგ კი - თბილისის სასულიერო სემინარიებში, 1861 წელს ჩაირიცხა კიევის სასულიერო აკადემიაში. 1863 წელს სამშობლოში ბრუნდება და იწყებს ნაყოფიერ სამეცნიერო, პედაგოგიურსა და საზოგადოებრივ საქმიანობას.

ი. გოგებაშვილი იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ერთ-ერთი დამაარსებელი, სასკოლო სახელმძღვანელოების ავტორი, პედაგოგიკის თეორეტიკოსი, ქართული საბავშვო ლიტერატურის ფუძემდებელი. მისი აზრით, ერი ეფუძნება ოთხ ბურჯს: ტერიტორიული მთლიანობა, ეროვნული ენა, სკოლა და ეკლესია. ერთ-ერთი ბურჯის გამოცლა ერისათვის დამღუპველი და გაქრობის საწინდარია. ქართველი ერის არსებობისა და განვითარების ერთ-ერთ აუცილებელ პირობად ქართული ეროვნული ლიტერატურის წინსვლა მიაჩნდა. იგი თვლიდა, რომ „ქართველებმა შექმნეს მდიდარი ათასწლიანი ლიტერატურა და კულტურული ერების სიმაღლეებამდე ავიდა". ამასთანავე, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა რელიგიურ-ფილოსოფიური

ლიტერატურის განვითარებას ქართული მწერლობისა და, საერთოდ, კულტურული პროგრესის საქმეში.

ი. გოგებაშვილის მთელი შემოქმედება გამსჭვალულია უსაზღვრო ჰუმანიზმით, ადამიანის სოციალურ-პოლიტიკური და ეროვნული თანასწორობის გრძნობით. დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ინტელიგენციის კავშირს ხალხთა მასებთან; თვლიდა, რომ ერის წინამძღოლი და გზის გამკაფავი არის ინტელიგენცია.

*თხზ.: „თხზულებანი", ტ. I-X (თბილისი, 1952-1965).*

## გოგიბერიძე

**მოხე - 1897-1949** - XX საუკუნის ქართული ფილოსოფიური აზრის თვალსაჩინო წარმომადგენელი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი (1922), პროფესორი (1930). დაიბადა სოფელ ქვენობანში (ჩოხატაურის რაიონი); დაამთავრა ხონის სამასწავლებლო სემინარია. 1918-1922 წლებში სწავლობდა ბერლინისა და მარბურგის უნივერსიტეტებში ფილოსოფიას, ბუნებისმეტყველებასა და პოლიტეკონომიას. ცნობილი გერმანელი ფილოსოფოსის - ნ. ჰარტმანის ხელმძღვანელობით მარბურგში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, იმავე წელს დაბრუნდა საქართველოში. 1923 წლიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომელია; იყო შალვა ნუცუბიძის მიერ დაარსებული ფილოსოფიური სემინარის აქტიური წევრი, კათედრის გამგე. ეწეოდა ფართო სამეცნიერო, სალიტერატურო, პედაგოგიურსა და საზოგადოებრივ მოღვაწეობას. სიცოცხლის ბოლო წლები პოლიტ-

პატიმრობაში გაატარა. გარდაიცვალა გადასახლებაში, დასაფლავებულია თბილისში, ვაკის სასაფლაოზე.

მოსე გოგიბერიძის კვლევის ძირითადი სფეროებია: შემეცნების თეორია, მარქსისტული ფილოსოფია, ქართული და მსოფლიო ფილოსოფიის ისტორია. მისი რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი ოთხ ტომად (1970-1978) გამოსცა გურამ თევზაძემ. მოსე გოგიბერიძემ თარგმნა და გამოსცა კანტის „პროლეგომენები" (1936) და „წმინდა გონების კრიტიკა".

მოსე გოგიბერიძე იმთავითვე მარქსისტ-ფილოსოფოსად ჩამოყალიბდა. 1916 წელს, ჯერ კიდევ ხონის სემინარიის მოწაფე, ქუთაისში კითხულობს საჯარო ლექციას თემაზე: „პროლეტარული ფილოსოფია". მარქსისტული ფილოსოფიის პრობლემებისადმია მიძღვნილი მისი წიგნებისა და სტატიების უმრავლესობა, განსაკუთრებით, წიგნი „ლენინი, როგორც ფილოსოფოსი" (თბილისი, 1930). მ. გოგიბერიძე ღრმად იცნობდა ფილოსოფიის (ძირითადად ფილოსოფიის ისტორიის) პრობლემებს და აწარმოებდა მათ ორიგინალურ გააზრებას. ამის ნიმუშია მისი თხზულება „შემეცნების აქსიომატური დასაბამი".

მ. გოგიბერიძემ დიდი წელილი შეიტანა ქართული ფილოსოფიის ისტორიის პრობლემების დამუშავების საქმეში. მან გამოიკვლია რუსთაველის მსოფლმხედველობის კავშირი ქრისტიანულ იდეოლოგიასთან, აჩვენა „ვეფხისტყაოსნის" რენესანსული შინაარსი, შეისწავლა რუსთაველის პოეტური ენა, მისი ესთეტიკური შინაარსი. საყურადღებოა მ. გოგიბერიძის გამოკვლევები პეტრიწის ფილოსოფიის შესახებ.

მ. გოგიბერიძე იკვლევდა დასავლეთევროპულსა და ქართული ფილოსოფიის ისტორიის საკითხებს. მის თხზულებაში „ფილო-

სოფიის ისტორია" (ტ. I) ფილოსოფიის ისტორიის პერიოდიზაციის საფუძვლად აღებულია არა გეოგრაფიული პრინციპი, შიშველი ქრონოლოგია ან პერიოდიზაცია პრობლემების მიხედვით, არამედ ნაჩვენებია ფილოსოფიის კავშირი საზოგადოებრივ-ეკონომიკურ განვითარებასთან. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია XI-XII საუკუნეების ქართული ფილოსოფიური აზროვნების კლასიკური ნიმუშების ჩართვა მსოფლიო ფილოსოფიის ისტორიის ზოგად კურსში.

ქართული ფილოსოფიის ისტორიაში მ. გოგიბერიძის საყურადღებო ნაშრომებია: „იოანე პეტრიწი და მისი მსოფლმხედველობა", „რუსთაველის მსოფლმხედველობის სათავეები", „შოთა რუსთაველი და ნეოპლატონიზმი", „უზენაესი არსების ცნება ვეფხისტყაოსანში" და სხვა. მ. გოგიბერიძის აზრით, რუსთაველის მსოფლმხედველობის ერთ-ერთი წყარო არაბული არისტოტელიზმია. რუსთაველი ორთოდოქსული არისტოტელიკოსი ისევე არ ყოფილა, როგორც არც იყო ნეოპლატონიკოსი. რუსთაველის მსოფლმხედველობის მეორე წყაროა პეტრიწის ფილოსოფია.

მ. გოგიბერიძის ფილოსოფიურ მემკვიდრეობაში გარკვეული ადგილი უჭირავს სოციოლოგიური საკითხების კვლევასაც. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ბურჟუაზიული სოციოლოგიისა და კ. კაპანელის ორგანოტროპიზმის კრიტიკა. ეს კრიტიკული მოსაზრებანი დღესაც ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას, ხოლო, რაც შეეხება დიალექტიკის თეორიული საკითხების დამუშავებას, მ. გოგიბერიძის მიერ იმ დონეზე იყო აყვანილი, რომ მის მიერ დასმულმა რიგმა საკითხმა შემდგომი განვითარება პოვა ქართულ ფილოსოფიაში.

*თხზ.: „ფილოსოფიის ისტორია“. ტ. I (თბილისი, 1941); „რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი“ (გ. თევზაძის რედაქციით) 4 ტომად (ტ. I, თბილისი, 1970. ტ. II, თბილისი, 1971, ტ. III. თბილისი, 1972, ტ. IV, თბილისი, 1978).*

## გ ო გ ო ბ ე რ ი შ ვ ი ლ ი

ვ ა ჟ ა - **1929-1999** - ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი (1975), საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1995). 1952 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი, ხოლო 1955 წელს - ასპირანტურა. იგი მრავალი სამეცნიერო შრომისა და გამოკვლევის ავტორია. მის მიერ ორიგინალურად იქნა შეფასებული თანამედროვეობის ერთ-ერთი გავრცელებული და პოპულარული მიმდინარეობა პრაგმატიზმი. მეცნიერულადაა წარმოჩენილი პოზიტივიზმის ღირსებები და ნაკლი, ამავე რაკურსითაა გადმოცემული ლინგვისტური ფილოსოფიის თავისებურებანი.

ვ. გოგობერიშვილი ოთხ ათეულ წელზე მეტხანს ემსახურებოდა სტუდენტი ახალგაზრდობის განათლებისა და სამეცნიერო კადრების აღზრდის საქმეს. ლექციებს კითხულობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში.

*თხზ.: „პრაგმატიზმის ფილოსოფია“ (თბილისი. 1966); „მეტაფიზიკის დაძლევის ცდები თანამედროვე პოზიტივიზმში“ (თბილისი. 1973); „რწმენისა და ცოდნის ურთიერთმიმართების გაგების ისტორიიდან“ (თბილისი, 1979); „რელიგიების პრობლემა მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ეპოქაში“ (თბილისი, 1989).*

## გოგოჭური

**ხვთისო - 1941-1997** - დაიბადა თელავის რაიონის სოფელ თეთრწყლებში, სართიჭალის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ (1958) მსახურობდა არმიაში, მუშაობდა სხვადასხვა წარმოებაში. 1970 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტი ფილოსოფიის სპეციალობით. იმავე წელს ჩაირიცხა ფილოსოფიის ინსტიტუტის ასპირანტურაში. 1977 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია.

ხვთისო გოგოჭურის კვლევა-ძიების ძირითადი სფერო იყო ფილოსოფიური ცოდნის თავისებურება, რელიგიური ფილოსოფიის პრობლემები, ფილოსოფიისა და რელიგიის, ფილოსოფიისა და ხელოვნების ურთიერთმიმართება. მის გამოკვლევებში ამ კუთხით გაშუქებული იყო ფილოსოფიური ცოდნის თავისებურება და მისი მიმართება სპეციალურ-მეცნიერულ ცოდნასთან, მხატვრულ შემოქმედებასა და რელიგიურ რწმენასთან. ხვთისო გოგოჭურმა სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა რუსი ფილოსოფოსის ნ. ბერდიაევის შემოქმედებას.

*თხზ.: „ფილოსოფიური ცოდნის სპეციფიკის რელიგიურ-ეგზისტენციალური გაგების მარქსისტული კრიტიკისათვის ნ. ბერდიაევის ფილოსოფიის მაგალითზე“ (თბილისი, 1980); „რა არის ფილოსოფია?“ (თბილისი, 1996).*

## ბოგხაძე

**კარლო - 1929** - ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი (1990), პროფესორი (1992), დაიბადა ბაღდათში. 1953 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი. მუშაობდა უმაღლესი განათლების სისტემაში, ლექციებს კითხულობდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, ს.ს. ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიურ უნივერსიტეტში, ბრატისლავის კომენსკის სახელობის უნივერსიტეტში; იყო საქართველოს ზოოვეტერინარული ინსტიტუტის ფილოსოფიის კათედრის გამგე.

კარლო გოგსაძის კალამს ეკუთვნის ფილოსოფიური ნარკვევები და პუბლიცისტური სტატიები რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთებში. იგი ავტორია დამხმარე სახელმძღვანელოებისა: „დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი" (თბილისი, 1987) და „ფილოსოფიურ ცოდნათა საფუძვლები" (თბილისი, 1989).

*თხზ.: „დიალექტიკური უარყოფა" (თბილისი, 1973); „პიროვნების ჩამოყალიბების დიალექტიკა" (თბილისი, 1987); „ადამიანის ფაქტორი" (თბილისი, 1987); „ბილიკები", წიგნი I (თბილისი, 1999); წიგნი II (თბილისი, 2002).*

## გოგუაძე

**ვახტანგ** - **1940** - ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი (1984), პროფესორი (1985), დაიბადა ლანჩხუთის რაიონის სოფელ ლესაში. 1958 წელს დაამთავრა ამავე სოფლის საშუალო სკოლა და სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც 1963 წელს დაამთავრა. იმავე წელს ჩაირიცხა ასპირანტურაში ესთეტიკის სპეციალობით (ფილოსოფიის ფაკულტეტზე). თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორად მუშაობდა 1990 წლის დეკემბრამდე, 1992 წლის მარტში ინიშნება სახელმწიფო საბჭოს მდივნად. 1992 წლის ნოემბერში არჩეულ იქნა საქართველოს პარლამენტის სპიკერად, ამ თანამდებობაზე მუშაობდა 1995 წლის ნოემბრამდე.

ვახტანგ გოგუაძის სამეცნიერო ინტერესები განისაზღვრება ესთეტიკისა და ფილოსოფიური ანთროპოლოგიის საკითხებით; ამ პრობლემებს იხილავს ფილოსოფიისა და თეოლოგიის ერთიან სიბრტყეზე.

*თხზ.: „ადამიანი, როგორც ესთეტიკური ფენომენი" (თბილისი, 1980, რუსულ ენაზე - თბილისი, 1989); „Starez Zosima und Vater Sergij" (Ostkirchlichen Studien, Würzburg. 1987).*

## გოკიელი

**ლევან - 1901-1975** - ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი (1935), პროფესორი (1936), მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1944), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1961); დაიბადა ქუთაისში; დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 1935-1948 წლებში მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკის ინსტიტუტში, ხოლო 1948-1953 წლებში - ამავე აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტში. იყო საქართველოს მათემატიკური საზოგადოების პრეზიდენტი (1967-1970). ლევან გოკიელი მუშაობდა მათემატიკის ფილოსოფიური საფუძვლების საკითხებზე. მისი სამეცნიერო მოღვაწეობის ძირითად სფეროს დიალექტიკური ლოგიკის პრობლემები წარმოადგენდა. შეიმუშავა „ძირეული დასკვნების თეორია", რომელიც, მისი აზრით, საფუძვლად უნდა დაედოს ლოგიკურ აზროვნებას. მან ამ თეორიის საფუძველზე ახსნა მათემატიკური და ლოგიკური პარადოქსები. ლევან გოკიელის „ძირეული დასკვნის თეორია" უარყოფით დიალექტიკას ეფუძნება.

„ძირეული დასკვნის" არსი, ლევან გოკიელის აზრით, იმაში მდგომარეობს, რომ რაიმეს უარყოფა იწვევს რეგრესს უსასრულობაში, სახელდობრ, ნებისმიერი უარყოფა აუცილებლობით გულისხმობს უარყოფის უარყოფას და ასე - უსასრულოდ. თუ უარყოფას უარვყოფთ, მაშინ მანამდე აუცილებელი გახდება მისი უარყოფა. აქ „უარყოფითი მომენტი ფიგურირებს არა როგორც დადებითი სახით გამოწვევრებული წანამძღვარი, არამედ ის ორგანულად მონაწილეობს იმ ერთიან ლოგიკურ პროცესში, რომელშიც იგი გარკვეულ დადებით როლს ასრულებს" (ლ. გოკიელი).

ლევან გოკიელის „ძირეული დასკვნის თეორია“ დიალექტიკური ლოგიკის ერთ-ერთ ვარიანტს წარმოადგენს. იგი თვლიდა, რომ ლოგიკა მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს და ეს არის დიალექტიკური ლოგიკა. ფორმალური ლოგიკა კი არის მისი დაბალი საფეხური, მისი ლოგიკური განვითარების ეტაპი.

*თხზ.: „სიმრავლეთა თეორიის დაფუძნების საკითხები“ (თბილისი, 1934); „კ. მარქსის „მათემატიკური ხელნაწერების“ ქართული თარგმანი და ვრცელი გამოკვლევა“ (თბილისი, 1947); „О понятии числа“ (Тбилиси, 1951); „მათემატიკის საფუძვლები“ (თბილისი, 1957); „О природе логического“ (Тбилиси, 1958); „Логика“, т.т. I-II, (Тбилиси, 1965-1967).*

## ტომაშოელი

**იანე - 1875-1932** - ცნობილი ქართველი ექიმი და პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე. სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა XIX საუკუნის დასასრულს და ნ. ჟორდანიასთან ერთად იმთავითვე დადგა „ლეგალური მარქსიზმის“ პოზიციაზე. „ლეგალური მარქსიზმის“ თანახმად, არსებული საზოგადოებრივი ურთიერთობები კი არ უნდა გარდაქმნილიყო რევოლუციური მარქსიზმის შესაბამისად, არამედ, პირიქით, მარქსიზმი უნდა შეგუებოდა არსებულ სინამდვილეს. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ივ. გომართელი პრინციპულად უარყოფდა კლასთა ბრძოლის მარქსისტულ თეორიას და, „საერთო ნიადაგის თეორიაზე“ დაყრდნობით კატეგორიულად მოითხოვდა პროლეტარული ინტერნაციო-

ნალიზმის შეცვლას პროლეტარული ნაციონალიზმით. ივ. გომართლის აზრით, ის, ვინც პროლეტარიატის გაერთიანებას ცდილობს ეროვნული საზღვრების ხარჯზე - პროლეტარიატის მტერია. ეს კი, ივ. გომართლის მტკიცებით, იმას ნიშნავს, რომ მხოლოდ ტერიტორიული ავტონომიის საფუძველზე შეიძლება სწორად გადაწყდეს ეროვნული საკითხი, მხოლოდ ტერიტორიულ ავტონომიას შეუძლია უზრუნველყოს ის, რომ „ყველა ერი თავისუფალი და სხვებთან თანასწორი უფლებებით შეერთებულ ერთეულს წარმოადგენდეს".

ივ. გომართელი მატერიალისტია. იგი იზიარებს მზის სისტემის ქმნადობის კანტისეულ ჰიპოთეზას, მაგრამ, კანტისგან განსხვავებით, ათეისტია და ფიქრობს, რომ არსებული სამყარო შექმნილია „მსოფლიო ნივთიერების", „ნისლოვანი ნივთიერების" მოძრაობა-ცვალებადობის ნიადაგზე და „გარეშე ამ მარად მოძრავი, მარად ცვალებადი ნივთიერებისა ბუნებაში არ არსებობს არაფითარი ღმერთი". სამყარო მოძრაობს და იცვლება საკუთარი კანონების შესაბამისად, ხოლო „კანონებიც თვისებაა ამ ნივთიერებისა და მისი მოძრაობის". ივ. გომართელი აღიარებდა სინამდვილის მოძრაობა-ცვალებადობის კანონების ობიექტურ არსებობას, მაგრამ მისთვის გაუგებარი დარჩა, როგორც აუცილებლობისა და შემთხვევითობის, ისე აუცილებლობისა და თავისუფლების ბუნება.

ივ. გომართლის აზრით, მატერიის, ანუ „პირველი ნივთიერების" განუყრელი თვისებებია მოძრაობა და შეგრძნება: პირველიდან იბადება მატერიის არსებობის სხვადასხვა ფორმა, ხოლო მეორიდან - შეგრძნებიდან - ადამიანის სულიერი ცხოვრება. სულიერი ცხოვრების, აზროვნების ბინა და სახლი ტვინია. აზროვნებას ტვინისგან დამოუკიდებლად არსებობა არ შეუძლია, რადგან „აზრ-

ოვნება მხოლოდ ფუნქციაა თავის ტვინისა". ამასთან ერთად ივ. გომართელი მტკიცედ იცავდა გრძნობადი და რაციონალური შემეცნების ერთიანობის პრინციპს.

ივ. გომართელი იყო ცნობილი მწერალი და კრიტიკოსი. ამიტომ განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მისი ესთეტიკური შეხედულებანი. ივ. გომართლის აზრით, ხელოვნების ნაწარმოები, სულერთია ქანდაკება იქნება ეს, ფერწერული ტილო თუ პოეტური შემოქმედება სინამდვილეს უნდა ასახავდეს, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ თითქოს ხელოვანი საკუთარ გრძნობებს, საკუთარ მიზნებსა და განცდა-განწყობებს არ დებდეს თავის შემოქმედებაში. პირიქით, გარეგან სინამდვილესთან ერთად, „ყოველი ხელოვანი გვიხატავს თავის საკუთარ წარმოდგენებს და გრძნობებს და ამით ის, ერთი მხრივ, ჰბაძავს გარეშე ბუნებას, მეორე მხრივ - თავის საკუთარ ბუნებას, ანუ საერთოდ - სინამდვილეს". საზოგადოებრივი ცნობიერების სხვა ფორმებთან ერთად ივ. გომართელი უაღრესად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ხელოვნებისა და ლიტერატურის ყველა ფენომენს და მათ ადამიანთა საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების ერთ-ერთ აუცილებელ პირობად თვლიდა.

*თხზ.: „ეროვნული საკითხი" (თბილისი, 1906); „ტვინი და სული" (თბილისი, 1925); „რჩეული ლიტერატურული წერილები" (თბილისი, 1966).*

## გონაშვილი

**აზრილ - 1927-2001** - ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი (1989), პროფესორი (1990), საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1995), დაიბადა სოფელ არბოშიკში (დედოფლისწყაროს რაიონი). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი (1949), ასპირანტურა (1952).

ა. გონაშვილს გამოქვეყნებული აქვს 80-მდე სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის რამდენიმე წიგნი. ამ ნაშრომებში შესწავლილია ცნობიერების, სოციალური ფილოსოფიის, ფილოსოფიური მეთოდოლოგიისა და ფილოსოფიური ანთროპოლოგიის საკითხები. მისი აზრით, მეთოდოლოგია, სხვა დარგების ანალოგიურად, არის ფილოსოფიის ერთ-ერთი ძირითადი დარგი. მეთოდი არის ადამიანის არსის რეალიზაციის გზებისა და საშუალებების ერთიანობა.

ა. გონაშვილი იკვლევდა ფილოსოფიური ანთროპოლოგიის საგნის პრობლემას, ქიმიის ფილოსოფიურ პრობლემებს, ადამიანის შესახებ ფილოსოფიური მოძღვრების თეორიულსა და პრაქტიკულ მნიშვნელობას.

*თხზ.: „ქიმიის ფილოსოფიური საკითხები“ (თბილისი, 1975); „დიალექტიკური მატერიალიზმი - მეცნიერებათა ზოგადი მეთოდოლოგია“ (თბილისი, 1979); „დიალექტიკური მეთოდის შემოქმედებითი გამოყენება“ (თბილისი, 1984); „დარგის ფილოსოფია და მისი პრობლემები“ (თბილისი, 1999).*

**გოუბარი**

**ეშ - (Gobar Ash) - 1930** - ფილოსოფიის დოქტორი (1959), ტრანსილვანიის უნივერსიტეტის (ქ. ლექსინგტონი, კენტუკის შტატი, აშშ) პროფესორი (1968-1995), საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის უცხოელი წევრი - აკადემიკოსი (1996), ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქე (წარმოშობით ქართველი); დაიბადა 1930 წელს საქართველოში (ფოთის მახლობლად). 1937-1938 წლებში მშობლებთან ერთად წავიდა ემიგრაციაში, ცხოვრობდა ჯერ ბულგარეთში, იუგოსლავიაში, საბერძნეთსა და გერმანიაში, 1950 წლიდან კი - ცხოვრობს ამერიკის შეერთებულ შტატებში. დაამთავრა უისკონსინის უნივერსიტეტი (1954), მუშაობდა ჟენევის უნივერსიტეტში (1959-1961), ადიუნქტ-პროფესორი (1961-1967). ეშ გოუბარმა შეიმუშავა ფილოსოფიური თეორია, რომელიც ცნობილია „დიალექტიკური რეალიზმის" სახელწოდებით. 1990 წლის შემოდგომაზე იმყოფებოდა საქართველოში, სადაც მან წაიკითხა ლექცია თემაზე: „ხელახალი შეხვედრა მეცნიერების ფილოსოფიასთან. დიალექტიკური რეალიზმი". მოხსენების ტექსტის ქართული თარგმანი დაიბეჭდა ჟურნალ „მაცნეში" (ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სერია, 1993, №2). მისი სტატიები დაიბეჭდა „ფილოსოფიური ძიებანის" მესამე (1999), მეხუთე (2001), მეშვიდე (2003) და მეცხრე (2004) კრებულებში. ეშ გოუბარს გამოქვეყნებული აქვს მრავალი სტატია ევროპისა და ამერიკის ფილოსოფიურ ჟურნალებში ონტოლოგიის, გნოსეოლოგიის, მეცნიერების ფილოსოფიისა და სიცოცხლის ფილოსოფიის პრობლემებზე, აგრეთვე სტატიები თანამედროვე ქართული ფილოსოფიის შესახებ ინგლისურენოვანი მკითხველისათვის.

*თხზ.: „Philosophic Foundations of Psychology" (1968); „Philosophy as Higher Enlightenment" (1994, Ny). („ფსიქოლოგიის ფილოსოფიური საფუძვლები", „ფილოსოფია, როგორც უმაღლესი განმანათლებლობა").*

## გულუა

**ალადიმერ - 1922** - ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი (1975), პროფესორი, დაიბადა სოფელ ხაბუმეში (ჩხოროწყუს რაიონი). 1940 წელს დაამთავრა წალენჯიხის პედაგოგიური ტექნიკუმი, 1942 წელს - ზუგდიდის სამასწავლებლო ინსტიტუტი, შემდეგ - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი და ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ასპირანტურა ლოგიკის სპეციალობით.

ვ. გულუა სხვადასხვა დროს მუშაობდა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოსოფიის კათედრის გამგედ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პ. გუგუშვილის სახელობის ინსტიტუტის ეკონომიკური ეთიკის განყოფილების გამგედ, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის მთავარ მეცნიერ თანამშრომლად.

*თხზ.: „სოციოლოგიური კვლევის ჰორიზონტები" (თბილისი, 1971); „ემოციურისა და რაციონალურის დიალექტიკა მორალში" (თბილისი, 1981).*

## გუჯაბიძე

**პარმენ - 1907-1985** - ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი (1950), დოცენტი, დაიბადა სოფელ ჩოჩხათში (ლანჩხუთის რაიონი), 1932 წელს დაამთავრა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სხვადასხვა დროს მუშაობდა პარტიულ ორგანოებსა და რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში: 1941-1953 წლებში იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და უმაღლესი სასწავლებლების განყოფილების გამგე, 1953-1954 წლებში – აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის სამეცნიერო-კელევითი ინსტიტუტის დირექტორი, 1954-1963 წლებში – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის კათედრის გამგეა. აქ მისი რედაქციით გამოიცა სტუდენტებისთვის სამი სახელმძღვანელო ფილოსოფიაში: „დიალექტიკური მატერიალიზმი" (თბილისი, 1955), „ისტორიული მატერიალიზმი" (თბილისი, 1957), „ფილოსოფიის ისტორია" (თბილისი, 1961). 1963-1970 წლებში პ. გუჯაბიძე მოღვაწეობდა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტში (სოხუმი), სადაც მისი ინიციატივით და რედაქტორობით გამოვიდა დამხმარე სახელმძღვანელო „მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფია" (სოხუმი, 1969). 1984-1985 წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელია.

პარმენ გუჯაბიძე მუშაობდა დიალექტიკური მატერიალიზმისა და ლოგიკის პრობლემებზე.

*თხზ.: „აზროვნების ლოგიკური კანონების შესახებ“ (თბილისი, 1951); „შინაგანი და გარეგანი წინააღმდეგობათა საკითხისათვის“ (თბილისი, 1953); „მატერია და ცნობიერება“ (თბილისი, 1958); „ვ.ი. ლენინის ბრძოლა ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ“ (თბილისი, 1971).*

**დავით გარეჯელი** - VI - ასურელ მამათაგან ერთ-ერთია, რომელიც საქართველოში ანტიოქიიდან მოვიდა VI საუკუნის პირველ ნახევარში. ასურელი მამები საქართველოში მოვიდნენ ქრისტიანობის დაცვა-განმტკიცების მიზნით.

დავით გარეჯელმა გარეჯის მთიან სანახებში დააარსა დავით გარეჯის მონასტერი, რომლის პირველი წინამძღვარი თვითონ იყო. იგი აქტიურად იბრძოდა საქართველოში ქრისტიანობის განსამტკიცებლად, იღვწოდა აგრეთვე წარმართ ქართველთა გაქრისტიანებისათვის.

დავით გარეჯელი რელიგიური მოღვაწეა და მისი მსოფლმხედველობა მონოთეისტურია. მას ღმერთი წარმოედგინა როგორც სამყაროს შემოქმედი. ეს ქვეყანა წარმავალია, ხოლო იმქვეყნიური ცხოვრება მუდმივი და ღირებულია. დავით გარეჯელი ფილოსოფიისთვის უპირველესად საინტერესოა იმით, რომ იგი თავისი რელიგიური მსოფლმხედველობის დასაბუთებას ფილოსოფიის მეშვეობით ცდილობდა.

*თხზ.: „ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები“ (ილია აბულაძის გამოცემა, თბილისი, 1955); „ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი 3“ (ილია აბულაძის რედაქციით, თბილისი, 1971).*

**დანელია**
**სერგი** - **1899-1963** - ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი (1927), პროფესორი (1930), მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1944), XX საუკუნის ქართული ფილოსოფიისა და ლიტერატურათმცოდნეობის თვალსაჩინო წარმომადგენელი, დაიბადა სოფელ ნაჯახაოში (მარტვილის რაიონი), სწავლობდა ხარკოვისა და მოსკოვის უნივერსიტეტებში. მისი მეცნიერული კვლევის ძირითადი მიმართულებებია: ფილოსოფიის (ძირითადად ანტიკური ფილოსოფიის) ისტორია, რუსული ლიტერატურის ისტორია. მასვე ეკუთვნის გამოკვლევები სპინოზას, ჰიუმის, კანტის, რუსოს, კონტის, პუშკინის, ლერმონტოვის, გოგოლის, ტურგენევის, ლ. ტოლსტოისა და სხვათა შესახებ. ეწეოდა მთარგმნელობით მოღვაწეობას, ქართულად თარგმნა არისტოტელეს „პოეტიკა" და „განმარტებისათვის", პლატონის „სოკრატეს აპოლოგია", დეკარტის „მეტაფიზიკური განაზრებანი", რუსოს „ემილი" და სხვა.

ს. დანელია იყო უაღრესად ფართო დიაპაზონის მეცნიერი. მისი ნაშრომები, ისევე როგორც თარგმანები, გამოირჩევა მეცნიერული სიზუსტით, პუნქტუალობითა და სიღრმით, რომელიც დღემდე ინარჩუნებს თავის მეცნიერულ ღირებულებას. იგი ელინური ფილოსოფიური აზროვნების მეცნიერულ-სისტემატური კვლევის ფუძემდებელია. იგი იცავდა ფილოსოფიის დასავლური, კერძოდ, ბერძნული წარმოშობის იდეას, ვინაიდან, მისი აზრით, იგი პირველად სწორედ აქ გამოეყო მითოლოგიას და აზროვნების დამოუკიდებელ მიმართულებად (ავტონომიურ სფეროდ) ჩამოყალიბდა. ფილოსოფიური აზროვნების აღმოცენების პირობაა თავისუფლება; სწორედ ძველ საბერძნეთში შეიქმნა სოციალურ-კულტურული

წანამძღვრები ინდივიდის მიერ სამყაროს თავისუფალი მოაზრებისათვის, რაც სრულიად უცხოა დესპოტიზმსა და რელიგიურ დოგმატიზმზე დამყარებული აღმოსავლური კულტურისათვის.

ს. დანელიამ შეიმუშავა ფილოსოფიის ისტორიული კვლევის საკუთარი მეთოდოლოგიური პრინციპი, რომლის მიხედვით ფილოსოფიური ნააზრევის განხილვა უნდა ეფუძნებოდეს ტექსტის ფაქიზსა და კრიტიკულ-ფილოლოგიურ ანალიზს. ს. დანელია, როგორც პიროვნება; იყო უაღრესად პრინციპული, შრომისმოყვარე, უცხო ენების (ბერძნული, ლათინური, ფრანგული, გერმანული, რუსული) ბრწყინვალე მცოდნე და თავისი ქვეყნის პატრიოტი.

*თხზ.: „ატომისტური ფილოსოფია ძველ საბერძნეთში" (თბილისი, 1925); „ქსენოფანე კოლოფონელის მსოფლმხედველობა" (თბილისი, 1925); „ანტიკური ფილოსოფია (სოკრატის წინ)" (თბილისი, 1926); „სოკრატის ფილოსოფია" (თბილისი, 1935); „კანტის ცხოვრება და ფილოსოფიური მოღვაწეობა" (თბილისი, 1977); „ოგიუსტ კონტის ცხოვრება და ფილოსოფიური მოღვაწეობა" (თბილისი, 1959); „ლიტერატურული ნარკვევები" (თბილისი, 1960), „О философии Грибоедова" (Тбилиси, 1931); „ნარკვევები XIX საუკუნის რუსული ლიტერატურის ისტორიიდან" (თბილისი, 1936).*

## დავალიშვილი

**ემანუელ - 1927** - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი (1983), პროფესორი (1986), საქართველოს დამსახურებული ექიმი, საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1999), დაიბადა სოფელ სულორში (ვანის

რაიონი), დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი (1953), მუშაობს მედიცინის თეორიულსა და პრაქტიკულ საკითხებზე, იკვლევს მედიცინის ფილოსოფიურ პრობლემებს. მედიცინა, მისი აზრით, სამყაროს უნივერსალური კანონზომიერების ცოდნას უნდა ემყარებოდეს, სხვაგვარად მისი განვითარების უზრუნველყოფა შეუძლებელია. მან შეისწავლა აგრეთვე ბიოენერგოინფორმაციის მართვისა და თვითმართვის კანონზომიერება, ასაბუთებს ბიოლოგიურისა და სოციალურის ერთიანობას ადამიანის ორგანიზმში, რაც, მისი აზრით, საფუძვლად უნდა დაედოს სამედიცინო დარგში პრაქტიკულ მოღვაწეობას. გარეგან სამყაროს, რომლის შემადგენელ ნაწილს ადამიანის ორგანიზმი წარმოადგენს, არსებითი მნიშვნელობა აქვს პიროვნების თავისებურებათა ჩამოყალიბების პროცესში, რაც განსაკუთრებით სოციალურ სფეროში გამოვლინდება. ბიოლოგიური და სოციალური თავისებურებების ურთიერთკავშირი განაპირობებს ინდივიდის ევოლუციის პროცესს. ამასთანავე, ავტორის აზრით, ბიოლოგიური პროცესების ურთიერთგანპირობებულობა სოციალური კანონმდებლობის ერთ-ერთი საფუძველი უნდა გახდეს, რაც საზოგადოების ფსიქოფიზიკური ჯანმრთელობის აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

ე. დვალიშვილის თეორიული კვლევისა და პრაქტიკული მოღვაწეობის ძირითად სფეროს მაინც მედიცინა წარმოადგენს. ამ მიმართულებით მას გამოქვეყნებული აქვს მრავალი ნაშრომი ქართულსა და რუსულ ენებზე. არის სამედიცინო დარგის ორგანიზატორი და გამოკვლევის მრავალი ახალი მეთოდის დამნერგავი ლიკანის (ბორჯომის), მისდამი დაქვემდებარებულ სანატორიუმში.

*თხზ.: „სიცოცხლის კანონზომიერება და მედიცინის თეორიული და პრაქტიკული პრობლემები“ (თბილისი, 2001); „სიცოცხლის კანონზომიერება. როგორც სამედიცინო მეთოდოლოგიისა და სოციალური კანონმდებლობის საფუძველი და კრიტერიუმი“ (თბილისი, 2002); „აზროვნება ცოცხალ არსებათა ძირითადი ნიშან-თვისებაა“ (თბილისი, 2002).*

## დოდაშვილი

**სოლომონ - 1805-1836** - დიდი ქართველი ფილოსოფოსი, საზოგადო მოღვაწე, დაიბადა სოფელ მაღაროში (სიღნაღის რაიონი), აქედან მისი რუსული ფსევდონიმი „დოდაევ-მაგარსკი“ (Додаев-Магарский). სწავლობდა სიღნაღის სასულიერო სასწავლებელში, შემდეგ - თბილისის სასულიერო სემინარიაში. 1824 წელს გაემგზავრა პეტერბურგში და ქართველ ბატონიშვილთა და იონა ხელაშვილის დახმარებით (რომლებიც მაშინ იძულებით ემიგრაციაში იმყოფებოდნენ რუსეთში) გახდა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის თავისუფალი მსმენელი ფილოსოფიის განხრით. 1827 წელს მან რუსულ ენაზე პეტერბურგში გამოაქვეყნა თხზულება „ფილოსოფიის კურსი, ნაწილი პირველი, ლოგიკა“. ეს იყო ერთ-ერთი პირველთაგანი ნაშრომი ლოგიკაში, რომელიც რუსულ ენაზე გამოქვეყნდა. რუსულმა პრესამ მაღალი შეფასება მისცა სოლომონ დოდაშვილის ამ ნაშრომს. 1827 წელს ს. დოდაშვილი თბილისში ბრუნდება და იწყებს პედაგოგიურ მოღვაწეობას. მისი ერთ-ერთი მოწაფე იყო დიდი ქართველი რომანტიკოსი ნიკოლოზ ბარათაშვილი.

1832 წელს სოლომონ დოდაშვილი დააპატიმრეს როგორც შეთქმულების ერთ-ერთი აქტიური მონაწილე და ქალაქ ვიატკაში გადაასახლეს, სადაც ის ტუბერკულოზით გარდაიცვალა. 1994 წელს მისი ნეშტი ჩამოასვენეს თბილისში და დაასაფლავეს მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

დასტურდება, რომ ს. დოდაშვილი კარგად იცნობდა გერმანულ კლასიკურ ფილოსოფიას, განსაკუთრებით, კანტისა და შელინგის მოძღვრებას, განზრახული ჰქონდა შეექმნა ფილოსოფიური სისტემა, რომლის პირველ ნაწილს რუსულ ენაზე გამოქვეყნებული „ლოგიკა" წარმოადგენდა, მაგრამ ამ გეგმის განხორციელება მან ვერ მოასწრო. მისი ფილოსოფიური მსოფლმხედველობა იდეალისტურია, კერძოდ, იგი ენათესავება კანტის სუბიექტურ იდეალიზმს.

გადასახლებამდე სოლომონ დოდაშვილმა აქტიურად იღვაწა ქართულ სამეცნიერო და ლიტერატურულ სფეროში. 1830 წელს გამოსცა „შემოკლებული ქართული გრამატიკა", რომელსაც ქართულ გიმნაზიაში სახელმძღვანელოდ იყენებდნენ. მის კალამს ეკუთვნის აგრეთვე „რიტორიკა" და „პოეტიკა", რომელიც ავტორის სიცოცხლეში არ გამოქვეყნებულა. ს. დოდაშვილი აქტიურად თანამშრომლობდა გაზეთში „ტფილისის უწყებანი" (1828). მანვე დააფუძნა აღნიშნული გაზეთის დამატება „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანისა", რომლის გამოცემა შეწყდა ს. დოდაშვილის დაპატიმრების შემდეგ. სწორედ გაზეთის სალიტერატურო ნაწილში დაიბეჭდა ს. დოდაშვილის „მოკლე განხილვა ქართულ ლიტერატურის ისტორიისა". მასვე ეკუთვნის მხატვრული ნაწარმოები „ელენა", რომელშიც გატარებულია იმდროინდელი რუსული პრესისათვის დამახასიათებელი დემოკრატიული იდეები.

შემონახულია ს. დოდაშვილის პირადი წერილები იონა ხელაშვილის, ფილადელფოს კიკნაძის, ანა დედოფლის, ოქროპირ ბატონიშვილისა და სხვათა მიმართ.

*თხზ.: „Курс философии. Часть 1. Логика" (СПБ 1827); „თხზულებანი" (თბილისი, 1989, პროფ. თამარ კუკავას გამოცემა).*

## დოლიძე

**მამუკა - 1948** - ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი (1990), საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1997), საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი (1985), დაიბადა თბილისში, დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი (1972), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის ასპირანტურა. მუშაობს მეცნიერების ფილოსოფიისა და ესთეტიკის პრობლემებზე, გამოქვეყნებული აქვს წიგნი და სამეცნიერო სტატიები, სადაც მ. დოლიძემ მოახდინა ბორის დამატებითობის პრინციპის ექსტრაპოლაცია მხატვრულ შემოქმედებაში. მეცნიერული მუშაობის პარალელურად ეწევა სამწერლო მოღვაწეობას, უკანასკნელ წლებში მუშაობს ფენომენოლოგიის პრობლემებზე. მ. დოლიძე ავტორია ოთხი პროზაული კრებულისა. მისი პიესის - „მდგმურების" მიხედვით გადაღებულია კინოფილმი (1990 წელი, რეჟისორი დავით ჯანელიძე).

*თხზ.: „დამატებითობა, როგორც ზოგადფილოსოფიური პრინციპი" (თბილისი, 1989).*

## ერქომაიშვილი

**ვახტანგ - 1932-2001** - ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი (1973), პროფესორი (1979), დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი (1956). მისი სამეცნიერო კვლევის ძირითადი სფეროა პოზიტივიზმი, მეცნიერების ფილოსოფია, დეტერმინიზმი, ადამიანი და იდეოლოგია.

ვ. ერქომაიშვილის ნაშრომებში განხილულია ლოგიკური პოზიტივიზმის თავისებურებანი, ნაჩვენებია მისი შეზღუდულობა და ცალმხრივობა, კრიტიკულად შეფასებულია ფილოსოფიის საგნისა და მეცნიერების ბუნების ლოგიკურ-პოზიტივისტური გაგება. თავისუფლებისა და პასუხისმგებლობის პრობლემას ვ. ერქომაიშვილი განიხილავს ადამიანის ყოფიერების წესთან მიმართებაში, ერთმანეთისაგან გამიჯნულია ადამიანის და პიროვნების თავისუფლების საკითხები, დახასიათებულია თავისუფლების სტრუქტურა, გაანალიზებულია ზნეობრივი პასუხისმგებლობის პრობლემა. განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მეცნიერის ზნეობრივ პასუხისმგებლობას, ვინაიდან დარწმუნებულია, რომ თავისუფლების დაფუძნება შეუძლებელია იმ ფილოსოფიურ თეორიებში, რომლებიც აღიარებს ბედისწერას, განგებას, მიზეზობრიობასა და შემთხვევითობას.

*თხზ.: „ლოგიკური პოზიტივიზმი“ (თბილისი, 1974); „ბედისწერის რწმენა და მისი უარყოფითი შედეგები“ (თბილისი, 1984); „ადამიანის თავისუფლება და პასუხისმგებლობის პრობლემა“ (თბილისი, 1988); „ფილოსოფია“ (თბილისი, 1998); „ერი და იდეოლოგია“ (თბილისი, 2000).*

## ეფთვიმე

**მთაწმიდელი - 955-1028** - სასულიერო მოღვაწე, მოაზროვნე და მთარგმნელი, ათენის ქართული ლიტერატურული სკოლის დამაარსებელი და მისი თვალსაჩინო წარმომადგენელი. დაიბადა სამხრეთ საქართველოში, დიდგვაროვანთა ოჯახში. ეფთვიმე მთაწმიდელის ღვაწლი ქართული კულტურის წინაშე უპირველესად მის მიერ გაწეული მთარგმნელობითი საქმიანობაა (თარგმნა 160-ზე მეტი თხზულება), რომელიც მოიცავს სასულიერო მწერლობას, ბიზანტიურ თეოლოგიურ და ფილოსოფიურ ლიტერატურას. მან სრულად თარგმნა ბასილი კესარიელის „ითიკა", აგრეთვე მისი წერილები, გრიგოლ ნაზიანზელის ჰომილიები და სხვა.

ეფთვიმე მთაწმიდელის შემოქმედებაში დიდი ადგილი უკავია მის მიერ თარგმნილი ძეგლების კრებულს - „წინამძღვარი", რომელიც იოანე დამასკელის „გარდამოცემის" მიხედვით არის შექმნილი და მასში შესულია: დამასკელის „გარდამოცემა", ანასტას სინელის „წინამძღვარი", კირილე ალექსანდრიელის თხზულებანი. მასვე ეკუთვნის იოანე ოქროპირის, მაქსიმე აღმსარებლის და ეფრემ ასურის სხვადასხვა ხასიათის თხზულებათა თარგმანები. ეფთვიმე მთაწმიდელს ეკუთვნის სახარების - ოთხთავის, იოანე ღვთისმეტყველის გამოცხადებისა და დავითნის თარგმანები. იგი თარგმნიდა ბერძნულიდან ქართულად და პირიქით (ბიოგრაფები ამის მაგალითად ასახელებენ „სიბრძნე ბალაპვარისას"). თარგმნა აგრეთვე ბერძნული სამართლის კანონიკური ძეგლები, ე.წ. მცირე სჯულის კანონი, რომელიც, ივანე ჯავახიშვილის აზრით, არა მხოლოდ თარგმანია, არამედ „მთარგმნელის მიერ გადაკეთებული და განმარტებებით შემკული რედაქციაა".

ეფთვიმე მთაწმიდელის მოღვაწეობამ ნიადაგი მოამზადა იმ დიდი მთარგმნელობითი და თეოლოგიურ-ფილოსოფიური მოღვაწეობისათვის, რაც შემდგომ განახორციელეს ეფრემ მცირემ, არსენ იყალთოელმა და იოანე პეტრიწმა.

*თხზ.: „მცირე სჯულის კანონი" (თბილისი, 1972).*

## ეფრემ მცირე

**XI** - შუა საუკუნეების გამოჩენილი ქართველი ფილოსოფოსი, ღვთისმეტყველი, მწერალი და მთარგმნელია. მან ბერძნულიდან ქართულ ენაზე თარგმნა ასზე მეტი ნაშრომი, რითაც უმნიშვნელოვანესი წელილი შეიტანა ქართული კულტურის აღმავლობაში.

განუზომელია ეფრემ მცირეს ღვაწლი ქართული ფილოსოფიური ტერმინოლოგიის შექმნაში, ფილოსოფიის არსებობის კანონიერების დაცვაში, თარგმნის წესების დამკვიდრებაში, პუნქტუაციის შემოღებაში და სხვა. მასთან მოღვაწეობდნენ და სათანადო წრთობა მიიღეს გამოჩენილმა ფილოსოფოსებმა - იოანე პეტრიწმა და არსენ იყალთოელმა.

ეფრემ მცირე პრინციპულად დაუპირისპირდა ბერძნული ეკლესიის მესვეურებს, რომლებიც არ სცნობდნენ ქართული ეკლესიის ავტოკეფალიას იმ უსაფუძვლო ბრალდებით, თითქოსდა, საქართველოში არც ერთ მოციქულს ქრისტიანობა არ უქადაგია. ეფრემ მცირემ ანტიოქიის ბიბლიოთეკებში მოიძია მასალები და აღმ-

ოაჩინა, რომ საქართველოში ქრისტიანობა გაუვრცელებია წმ. ანდრია მოციქულსა და ბართლომეს, ხოლო საკუთარი კათალიკოსის დასმის უფლება ანტიოქიის საეკლესიო კრებას მიუნიჭებია.

ეფრემ მცირეს ფილოსოფიური კრედო გადმოცემულია დამასკელის „ცოდნის წყაროს" თარგმანზე დართულ კომენტარებში. მანვე გრძნობადი სინამდვილე შეგრძნებებში უშუალოდ მოცემულ რეალობას უწოდა, ხოლო შემეცნების ძირითად საგნად უხილავი და გონებით მისაწვდომი სინამდვილე დასახა.

ეფრემ მცირე თვლის, რომ ფილოსოფია („სიბრძნე") უფრო ზოგადია, ვიდრე მეცნიერება, რადგანაც პირველი ხილულსაც ეხება და უხილავსაც. ამით მან ფილოსოფიის სფერო გააფართოვა და მასში რელიგიაც იგულისხმა. საყურადღებოა აგრეთვე ეფრემ მცირეს ლოგიკური შეხედულებები.

*თხზ.: იოანე დამასკელი, „დიალექტიკა" (თბილისი, 1976); პეტრე იბერიელი (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი), „შრომები" (თბილისი, 1961).*

## ეკა-ფშაველა

(ლუკა ბაზიკაშვილი) - **1861-1915** - XIX და XX საუკუნეების ქართული კრიტიკული რეალიზმის ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი წარმომადგენელი, პოეტი, მოაზროვნე, დაიბადა სოფელ ჩარგალში. სწავლობდა თელავის სასულიერო სასწავლებელსა და თბილისის სამასწავლებლო ორკლასიან სამოქალაქო სასწავლებელში, 21 წლისამ დაამთავრა გორის სამასწავლებლო (საოსტატო) სემინარია. 1883-1884 წლე-

ბში პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტია, მაგრამ ხელმოკლეობის გამო სოფელში ბრუნდება.

დიდია ქართული კულტურისათვის ვაჟა-ფშაველას შემოქმედების ფილოსოფიური და მხატვრულ-ესთეტიკური მნიშვნელობა. ღრმა ფილოსოფიური დაკვირვებებით არის გამსჭვალული მისი პოეტური ქმნილებები, თეორიული ხასიათის სტატიები და ნარკვევები. მათში ჩანს მწერლისა და შემოქმედის სოციალურ-ფილოსოფიური, ეთიკური და ესთეტიკური შეხედულებების ფართო თვალსაზრისი. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ვაჟას წერილები: „ფიქრები", „Pro domo sua", „ფიქრები „ვეფხისტყაოსნის" შესახებ", „სად არის პოეზია", „ეთნოგრაფიული წერილები", „ყოველდღიური ფიქრები", „რამე-რუმე მთისა", „ნიჭიერი მწერალი", „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი", „საგაზაფხულო ფიქრები" და სხვა.

ვაჟა-ფშაველას ფილოსოფიური მსოფლმხედველობისათვის ამოსავალია ობიექტური რეალობის აღიარება ერთადერთ ჭეშმარიტ სინამდვილედ. ბუნება, მისი აზრით, გონიერია იმდენად, რამდენადაც მასში ყველაფერი კანონზომიერად ხდება. ამ აზრით, კანონზომიერებას დამორჩილებული ბუნება აღემატება კიდეც ადამიანს თავისი გონიერებით. გონიერების ცნების ქვეშ ამ შემთხვევაში ბუნებაში არსებული გასაოცარი კანონზომიერება, მიზანშეწონილობა იგულისხმება. ამგვარი კანონზომიერება, მისი აზრით, არ შეიძლება გონების პროდუქტი არ იყოს.

ბუნება, მისი აზრით, თავის თავში შეიცავს დაპირისპირებულობას, მაგალითად, სიკვდილისა და სიცოცხლის, ბოროტებისა და სიკეთის მარადიულ ბრძოლას, მაგრამ სიკეთე იმარჯვებს ბოროტებაზე, სიცოცხლე იმარჯვებს სიკვდილზე. ფიზიკურ სიკვდილს

სულიერი უკვდავება ამარცხებს. ამიტომ, ვაჟა-ფშაველა არ იზიარებს ადამიანის ნატურალისტურ გაგებას, საზოგადოების კანონების პოზიტივისტურ, ორგანიცისტულ ახსნას.

ვაჟა-ფშაველას ეთიკური მრწამსი მთლიანად მის ჰუმანისტურ მსოფლმხედველობას ეფუძნება. იგი თანაგრძნობის, მორალის მქადაგებელია. სიკეთე, უწინარეს ყოვლისა, თანაგრძნობის გზით ხორციელდება. აქ ვაჟას ეთიკური მრწამსი ორიგინალურია თავისი გამოხატვის ფსიქოლოგიური ნიშნებით.

ვაჟა-ფშაველას ესთეტიკური ნააზრევი, მისი დაკვირვებები „ვეფხისტყაოსნის" შესახებ, მწერლობისა და პოეზიის რაობასა და მისიაზე მოწმობს იმას, რომ ვაჟას პოეზია დიდი თეორიული ფილოსოფიური სიღრმით ნასაზრდოები შემოქმედებაა.

## პეკუ

**გიორგი - 1925** - ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი (1974), პროფესორი (1979), საქართველოს ფილოსოფიურ და სამედიცინო-ბიოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიების აკადემიკოსი (1995), დაიბადა სოფელ ქვემო ბარღებში (გალის რაიონი), მონაწილეობდა მეორე მსოფლიო ომში (1943-1945), დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი (1951), ამავე უნივერსიტეტის ასპირანტურა (1954). მუშაობდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ფილოსოფიის კათედრის გამგედ (1962-1994), ამჟამად თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის პროფესორია.

გ. ვეკუას მეცნიერული კვლევის ძირითადი მიმართულებაა მეცნიერების ფილოსოფიის, კერძოდ, მედიცინის ფილოსოფიური პრობლემები. მან გამოიკვლია ბიოლოგიურისა და სოციალურის თანაფარდობის პრობლემა მედიცინაში, გამოააშკარავა მცდარობა გაბატონებული შეხედულებისა ავადმყოფობის სოციალურობის შესახებ, აჩვენა, რომ დაავადების არსება ბიოლოგიურ კანონზომიერებას ექვემდებარება, მიუხედავად იმისა, რომ იგი სოციალურ არსებას (ადამიანს) ეკუთვნის.

მეორე პრობლემა, რომელიც გ. ვეკუამ დაამუშავა, არის მიზეზობრიობის პრობლემა ფილოსოფიასა და მედიცინაში (მიზეზის ცნების ახლებური განსაზღვრება, დაავადებათა მიზეზისა და პირობების, საერთო და განმასხვავებელი ნიშნების დადგენა, დაავადებათა პოლიეტიოლოგიურობის თეორიის უარყოფა და სხვა).

მესამე პრობლემა, რომელიც გ. ვეკუამ დაამუშავა, არის საკითხი საძიებო აქტივობის მნიშვნელობა ადამიანთა ჯანმრთელობის დაცვაში.

*თხზ.: „თანამედროვე მედიცინის ფილოსოფიური პრობლემები" (თბილისი, 1972); „სტრესი და ჯანმრთელობა" (თბილისი, 1975); „მიზეზობრიობის პრობლემა ფილოსოფიასა და მედიცინაში" (თბილისი, 1977); „მედიცინის ფილოსოფია" (თბილისი, 1997); „ბიოეთიკა" (თანაავტორი, თბილისი, 2000).*

**ზაქარიაძე**

**ანახტახია - 1954** - ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი (1999), დაიბადა თბილისში, 1976 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ა. ზაქარიაძის კვლევის ძირითადი მიმართულებაა - მითოსური ცნობიერებისა და მსოფლმხედველობის ფენომენოლოგიურ-ჰერმენევტიკული ასპექტები, მითოსის ისტორიულ-ფილოსოფიური და რელიგიურ-მეტაფიზიკური მხარეები, მითოსური ცნობიერების ძირეული სიმბოლოები და სტრუქტურები.

*თხზ.: „მითოსი და ბიბლია" (თბილისი, 1991); „მსოფლმხედველობის ნინალოგიკური საფუძველი და მითოსი" (თბილისი, 1992); „მითოსური მსოფლმხედველობა" (თბილისი, 2000).*

**თაყაძე**

**ილია - 1905-1973** - ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი (1964), პროფესორი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1967), დაამთავრა მოსკოვის პედაგოგიური ინსტიტუტი (1934), სხვადასხვა დროს იმყოფებოდა პარტიულ, სახელმწიფოებრივსა და დიპლომატიურ თანამდებობებზე, იყო რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის რექტორი (1955-1973). მუშაობდა ესთეტიკის, მატერიალისტური დიალექტიკისა და ლოგიკის საკითხებზე.

*თხზ.: „მხატერული გემოვნების აღზრდის საკითხისათვის" (თბილისი, 1961); „მშვენიერების პრობლემა მარქსამდელი ესთეტიკის ისტორიაში" (თბილისი, 1962); „Ленин о „Науке логики" Гегеля" (გრ. კალანდარიშვილის თანაავტორობით, თბილისი, 1959).*

**თარხნიშვილი**

**იოანე - 1846-1908** - დიდი ქართველი ფიზიოლოგი, პეტერბურგის სამხედრო-სამედიცინო აკადემიის აკადემიკოსი, საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერი. დაიბადა თბილისში თავად რამაზ თარხნიშვილის ოჯახში, აქვე მიიღო სოლიდური პირველდაწყებითი განათლება. ბავშვობაში სრულყოფილად დაეუფლა ფრანგულ ენას. 1860 წელს გაემგზავრა პეტერბურგში სასწავლებლად. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ დაამთავრა სამხედრო-სამედიცინო აკადემია, სადაც იგი დაუახლოვდა ი.მ. სეჩენოვს. 1877 წლიდან იგი ამ აკადემიის პროფესორია, ხოლო 1892 წლი-

დან - აკადემიკოსი. არაერთხელ იმოგზაურა ევროპაში სამეცნიერო მივლინებით. სხვადასხვა დროს არჩეული იყო ლონდონის, პარიზის, ბერლინის, ვენის, რომისა და ნიუ-იორკის სამეცნიერო საზოგადოების წევრად ან საპატიო წევრად. 1871 წელს თბილისში ჩამოდის და კითხულობს ლექციების ციკლს თემაზე: „ნერვული სისტემის როლი ცხოველთა მოძრაობაში", რომელშიც გატარებული იყო ი.მ. სეჩენოვის დეტერმინისტული იდეები. მის წინააღმდეგ მიმართული რეაქციული ძალების მოქმედების პროტესტის ნიშნად იგი ტოვებს სამხედრო-სამედიცინო აკადემიას და პეტერბურგის უნივერსიტეტში განაგრძობს მუშაობას. 1895 წელს პეტერბურგის ინტელიგენციამ დიდი ზეიმით აღნიშნა ი. თარხნიშვილის სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის 25 წლისთავი. იგი ახლოს იცნობდა ი.პ. პავლოვს (იყო მისი სადოქტორო დისერტაციის ოპონენტი), დ. მენდელეევს, ა. ბოროდინს, ვ. ბეხტერევს, ი. რეპინს, მაქსიმ გორკის და რუსეთის მოწინავე ინტელიგენციის წარმომადგენლებს. გარდაიცვალა კრაკოვის მახლობლად, დაკრძალულია პეტერბურგის ალექსანდრე ნეველის ლავრაში.

ი. თარხნიშვილი უარყოფს ერთი მხრივ ვიტალიზმის მოძღვრებას სასიცოცხლო ძალების შესახებ, ხოლო მეორე მხრივ - მექანიკიზმს, რომელიც სიცოცხლის მოვლენებს ატომების მოძრაობით ხსნის ან მანქანურ სტრუქტურაზე დაჰყავს. მისი აზრით, სიცოცხლის არსება შეუმეცნებადია, შესაძლებელია მხოლოდ მისი დახასიათება.

ი. თარხნიშვილი თვლის, რომ თავის ტვინი არის ფსიქიკის ორგანო და „მწარმოებელი". ორგანიზმში მიმდინარე ფიზიკური და ფსიქიკური პროცესები მჭიდრო კავშირშია. იგი იცავს სულისა და სხეულის ერთიანობის იდეას, თუმცა აღიარებს მათ შორის პრინ-

ციპულ განსხვავებას. ფიზიკურისა და ფსიქიკურის (სულისა და სხეულის) ურთიერთობის საკითხში იგი აკრიტიკებს იდეალიზმსაც და მატერიალიზმსაც და კვლავ აგნოსტიციზმის პოზიციაზე დგება: იზიარებს დიუბუა რეიმონის აზრს ფიზიკურსა და ფსიქიკურს შორის „ხიდის" შემეცნების შეუძლებლობის შესახებ. ფსიქიკურ მოვლენებზე დაკვირვების ერთადერთი მეთოდია თვითდაკვირვება. სხვისი ფსიქიკურის შემეცნება მხოლოდ და მხოლოდ ქცევაში გამოვლენის გზით შეიძლება. აზრების სივრცეში გადაცემა (ტელეპატია) შეუძლებელია. ფსიქიკური შეიძლება იყოს ცნობიერიც და არაცნობიერიც, რომლებიც გარკვეულ ვითარებაში ერთმანეთს ცვლის.

ი. თარხნიშვილი უარყოფს ნებელობის თავისუფლებას და მთლიანად იზიარებს ი.მ. სეჩენოვის დეტერმინისტულ კონცეფციას. საზოგადოებაში არსებულ ბოროტებას იგი სოციალური ვითარების შედეგად თვლის და არა ნებელობის თავისუფლების შედეგად.

ი. თარხნიშვილის ფილოსოფიური იდეები განსაკუთრებული რელიეფურობით გამოვლინდა მის გნოსეოლოგიურ შეხედულებებში, რომელიც ძირითადად გადმოცემულია მის ფილოსოფიურ ტრაქტატში „ცნობიერების ცთუნებანი" (1886 წ), სადაც იგი ამტკიცებს, რომ ცნობიერება წარმოდგენების ერთობლიობაა, ხოლო წარმოდგენების წყარო შეგრძნებებია, მაგრამ შეგრძნებები არ არის ობიექტური სინამდვილის ასახვა, არამედ მხოლოდ და მხოლოდ გრძნობათა ორგანოების ენერგიის გამოვლენა. ამ შემთხვევაში ი. თარხნიშვილი იზიარებს ი. მიულერის „სპეციფიკური ენერგიის" თეორიას, რომელსაც იგი ჰელმჰოლცის ტიპის იეროგლიფების თეორიამდე მიპყავს. ცნობიერებაში არსებული წარმოდგენები, ცნებები, შთაბეჭდილებები მხოლოდ პირობითი ნიშნებია, სიმ-

ბოლოებია, რაც შემეცნებისათვის სრულიად საკმარისია: სიმბოლოების საშუალებით სამყაროს კანონზომიერება ადამიანის გონებისათვის მისაწვდომია. ი. თარხნიშვილი კანტისა და კანტიანელების (ძირითადად, ჰელმჰოლცის) გავლენით აწესებს შემეცნების საზღვრებს და არსებითად ფენომენალიზმის პოზიციებზე დგება.

ი. თარხნიშვილის სოციალ-პოლიტიკური შეხედულებანი რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების გავლენით ჩამოყალიბდა. იგი მკაცრად აკრიტიკებდა რუსეთის ცარიზმს და მოითხოვდა სოციალური ვითარების ლიბერალიზაციას.

*თხზ.: „Роль нервной системы в движении животных" („Медицинский сборник", № 14, Тбилиси, 1872); „Обманы сознания" („Вестник Европы", № 12, СПБ, 1886); „Дух и тело" (СПБ, 1904).*

## ოქუზაძე

**გ°გ° - 1967** - ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი (1997), დაიბადა თბილისში, დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი. მუშაობს თანამედროვე ფილოსოფიისა და სოციოლოგიის პრობლემებზე, სცემს ჟურნალს „პარალელური ტექსტები".

*თხზ.: „ჩვენი დრო. სფინქსი და ძენონის ისარი" (თბილისი, 1991); „მომავლის ნიშნები" (თბილისი, 1995).*

## თევზაძე

**გურამ - 1932** - ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი (1963), პროფესორი (1968), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1993), დაიბადა თბილისში, დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი (1954), ასპირანტურა ფილოსოფიის ისტორიის სპეციალობით (1957). მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტში ფილოსოფიის ისტორიის განყოფილების გამგედ. ამჟამად არის ფილოსოფიის ისტორიის კათედრის გამგე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და სოციოლოგიის ფაკულტეტზე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი.

აკადემიკოს გურამ თევზაძეს ეკუთვნის მრავალი ნაშრომი ფილოსოფიის ისტორიის დარგში, გამოქვეყნებული აქვს სტატიები იოანე პეტრიწის შესახებ. მისი თანარედაქტორობით, წინასიტყვაობითა და კომენტარებით ფილოსოფიურ მემკვიდრეობის სერიაში დაიბეჭდა ი. ფანცხავას მიერ რუსულ ენაზე თარგმნილი იოანე პეტრიწის თხზულება „განმარტებაი პლატონურისა ფილოსოფიისა და პროკლე დიადოხოსისა“ (მოსკოვი, 1984). მანვე გამოსცა მოსე გოგიბერიძის თხზულებათა ოთხტომეული, საკლე წერეთლის თხზულებათა ორტომეული, გერმანული ენიდან თარგმნა მ. ჰაიდეგერის „ყოფიერება და დრო“, ი. კანტის „რელიგია მხოლოდ გონების საზღვრებში“ და ნიკოლაი ჰარტმანის „ონტოლოგიის ახალი გზები“. გურამ თევზაძის თაოსნობით, თანაავტორობითა და თანარედაქტორობით დაიბეჭდა ავტორთა კოლექტივის ორტომიანი თხზულება „შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორიის პრობლემები“. ავტორთა კოლექტივის ორტომიანი თხზულება „მეოცე

საუკუნის ბურჟუაზიული ფილოსოფია". მონაწილეობდა კანტის საერთაშორისო კონგრესების (III, IV, V) მუშაობაში (მოხსენებები გამოქვეყნებულია კონგრესის შრომებში). გურამ თევზაძემ აღზარდა მრავალი ახალგაზრდა მეცნიერი მუშაკი ფილოსოფიის ისტორიის სპეციალობით. იგი არის მეცნიერების ორგანიზატორი. ლექციებს კითხულობდა ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის უნივერსიტეტში (1981), ვილნიუსის ფილოსოფიისა და სამართლის ინსტიტუტში (1986), იენის უნივერსიტეტში (1974 და 1997) და სხვ.

*თხზ.: „გერმანული ნეოკანტიანელობის შემეცნების თეორია" (თბილისი, 1963); „ნიკოლაი ჰარტმანის ონტოლოგიის კრიტიკა" (თბილისი, 1967); „იმანუელ კანტი" (თბილისი, 1974, 1979 რუსულად); „ანტიკური ფილოსოფია" (1995), „შუა საუკუნეების ფილოსოფია" (1996); „XX ს. ფილოსოფიის ისტორია" (2002).*

**თევზაძე**

**ზეკაზ - 1928** - ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი (1988), პროფესორი (1991). 1952 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. სხვადასხვა დროს მუშაობდა გაზეთ „სახალხო განათლების" რედაქტორის მოადგილედ, ჟურნალ „ცისკრის" პასუხისმგებელ მდივნად, ქართული ენციკლოპედიის რედაქციის გამგედ, გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს" მთავარ რედაქტორად. 1968-1991 წლებში იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ მუშაკი. 1991 წლიდან - რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის განყოფილების გამგეა.

რ. თვარაძე უპირატესად იკვლევს შუა საუკუნეების ქართული რელიგიურ-ფილოსოფიური აზრის ისტორიას, განსაკუთრებით იმ ეპოქის ძირითად მსოფლმხედველობრივ პრობლემებს „ზეცისა“ და „მიწის“ მიმართების, ამ სფეროში აღძრული დუალიზმისა და ამ დუალიზმის დაძლევის გზათა პრობლემას. მისი კვლევის უმთავრესი შედეგია დებულება, რომლის თანახმად, ზეციურ და მიწიერ სამყაროთა შორის გარღვეული უფსკრულის გადალახვა და „სოფლისა“ და „ზესთასოფლის“ ჰარმონიულ მთლიანობაში დასახვა აღნიშნულ ეპოქაში შესაძლო იყო არა ზეციურის „მოხსნით“, არამედ დუალიზმის შიგნიდანვე დაძლეევით ქრისტიანობის წიაღშივე, ამ რელიგიის რაობის შეულახავად, მის არსებით დებულებათა ხელყოფის გარეშე. ეს მისია შეასრულა ფსევდო-დიონისე არეოპაგელმა, რომლის ტრაქტატში „საღმრთოთა სახელთათეის“ წარმოდგენილი სიყვარულის მოძღვრება პლატონის ნააზრევისა და ქრისტიანობის სინთეზია.

*თხზ.: „თხუთმეტსაუკუნოვანი მთლიანობა“ (თბილისი, 1985); „გადასახედი“ (თბილისი, 1997); „ქართული ლიტერატურის ისტორია“ (თბილისი, 2001).*

**თოფურიძე**

**ელენე - 1922 - 2004** - ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი (1971), პროფესორი (1977), 1945 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი და სწავლა განაგრძო მოსკოვში, ასპირანტურაში, რომელიც 1950 წელს დაამთავრა.

ე. თოფურიძე ესთეტიკის სპეციალისტია, გამოქვეყნებული აქვს მონოგრაფიები და სამეცნიერო სტატიები თანამედროვე დასავლეთის ესთეტიკოს-ფილოსოფოსებზე და, საერთოდ, ესთეტიკის პრობლემებზე.

ელენე თოფურიძე ეწეოდა მთარგმნელობით მოღვაწეობასაც. კერძოდ, მან რუსულ ენაზე თარგმნა აკადემიკოს გურამ თევზაძის წიგნი „იმანუელ კანტი" (1979). წიგნი დაიბეჭდა მთარგმნელის რედაქციით.

*თხზ.: „Эстетика Бенедетто Кроче" (თბილისი, 1967, 1978 წელს ითარგმნა იაპონურ ენაზე და დაიბეჭდა ტოკიოში); „Элеонора Дузе" (Москва, 1960); „Философская концепция Луиджи Пиранделло" (Тбилиси, 1971); „Человек в античной трагедии" (Тбилиси, 1984).*

**იოანე**

**პეტრიწი** - XI-XII - შუა საუკუნეების ქართული რელიგიურ-ფილოსოფიური აზრის გამოჩენილი წარმომადგენელია, ფილოსოფოსი და თეოლოგი, მთარგმნელ-კომენტატორი, პოეტი. ნეოპლატონური ფილოსოფიის გამგრძელებელი საქართველოში.

სწავლობდა კონსტანტინოპოლში, მანგანას აკადემიაში, მიქაელ ფსელოსისა და იოანე იტალოსის წრეში. ვარაუდობენ, რომ ალექსი კომნენოსის მიერ იტალოსის განდევნის შემდეგ იოანე პეტრიწი ერთხანს პეტრიწონის მონასტერში (ბულგარეთი) გადასახლდა. შემდეგ კი დავით აღმაშენებელმა მის მიერ დაარსებულ გელათის აკადემიაში მიიწვია. პეტრიწს მიაკუთვნებენ: ქრისტიან წმინდანთა საქებარ იამბიკოებს, დავით აღმაშენებლის ისტორიას „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი", სხვადასხვა ცნობებით არისტოტელეს ორი თხზულების - „ტოპიკა" და „განმარტებისათვის" თარგმანსაც (თუმცა მათ ჩვენამდე არ მოუღწევიათ). უმთავრესი და უტყუარია ნეოპლატონიკოს ფილოსოფოსთა თხზულებების თარგმანები: ნემესიოს ემესელის „ბუნებისათვის კაცისა" (V ს), რომელიც ქრისტიანული ანთროპოლოგიის სახელმძღვანელოდ ითვლებოდა შუა საუკუნეების სკოლებში და, მეორე, ნეოპლატონიზმის ყველაზე დიდი სისტემატიკოსის პროკლე დიადოხოსის ტრაქტატის - „თეოლოგიის საფუძვლები" (პეტრიწის თარგმანში „კავშირნი ღვთისმეტყველებითნი"). „კავშირნით" და მასზე დართული კომენტარებით პეტრიწი გვევლინება არა მხოლოდ ერუდირებულ კომენტატორად (დასავლეთის ცნობილი კომენტატორების - თომა აქვინელის, ავეროესის მსგავსად), არამედ ორიგინალურ ფილოსოფოსადაც.

პეტრიწის მსოფლმხედველობის უშუალო წყარო ქრისტიანული რელიგია და პროკლეს ფილოსოფიაა. მან ქართველებს შეუქმნა ფილოსოფიური ენა, განსხვავებული ჩვეულებრივი სალიტერატურო ენისაგან. ნათელი და მწყობრი ტერმინოლოგიით, რითაც მეცნიერულ ცნებათა თეორიას მიუახლოვდა.

პეტრიწის უმთავრესი მიზანი არის ერთის (პირველმიზეზის) დასაბუთება, „წარმოჩენა" და ერთისა და სიმრავლის დამოკიდებულების საკითხი, რომელიც მონიზმის პოზიციიდან არის გადაწყვეტილი. ერთი არის ჭეშმარიტი არსი, ნამდვილი მყოფი, გონების სფეროს დასაბამი, რომლის მიმართება ზესთა ერთთან მოაზრებულია. როგორც ლოგოსის, ანუ ძის, მიმართება მამა ღმერთთან.

იოანე პეტრიწი სქოლასტიკის ისტორიაში იმ მიმართულების ერთ-ერთი წარმომადგენელია, რომელიც იძულებული იყო ეცნო ფილოსოფია. ეს აზრი იოანე პეტრიწმა უფრო ნათლად და გაბედულად გამოხატა, ვიდრე რომელიმე მისმა თანამედროვე თანამოაზრემ. მის კომენტარებში გატარებული პროგრესული იდეების გამო (სიკეთის მონიზმი, ბოროტების არასუბსტანციურობა, ადამიანის პრობლემის დასმა და მისი ღირებულად გამოცხადება). პეტრიწის ფილოსოფია რენესანსული და წინარენესანსული მსოფლმხედველობის ფილოსოფიურ საფუძვლადაა მიჩნეული. იგი, არეოპაგიტიკასთან ერთად, „ქართული ნეოპლატონიზმის" ცნების შინაარსს განსაზღვრავს.

*თხზ.: „ნემესიოს ემესელი, „ბუნებისათვის კაცისა", ბერძნულიდან გადმოლებული იოანე პეტრიწის მიერ (ს. გორგაძის გამოცემა, ტფილისი, 1914); „შრომები" 1-2 (თბილისი, 1937-1940); „სათნოებათა კიბე" (იე.*

*ლოლაშვილის წინასიტყვაობით, თბილისი, 1968); განმარტება პროკლე დიადოხოსის „ღვთისმეტყველების საფუძვლებისა“ (თანამედროვე ქართულზე გადმოიღო, გამოკვლევა, ლექსიკონი და შენიშვნები დაურთო დ. მელიქიშვილმა, თბილისი, 1999); „Рассмотрение Платоновской философии и Прокла Диадоха“ (Тбилиси, 1941), ილია ფანცხავას თარგმანი და კომენტარები, მეორე გადამუშავებული გამოცემა (მოსკოვი, 1984) (ილია ფანცხავას თარგმანი, გურამ თევზაძის წინასიტყვაობით).*

**იოსელიანი**

**პლატონ - 1809-1875** - ისტორიკოსი, არქეოლოგი, ფილოსოფოსი და ლიტერატორი. დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია, შემდეგ - პეტერბურგის სასულიერო აკადემია ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხით. აკადემიის დამთავრების შემდეგ დაინიშნა თბილისის სასულიერო სემინარიის ფილოსოფიისა და ფიზიკის მასწავლებლად. იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა გაზეთებსა და პეტერბურგის სპეციალურ ჟურნალებში, რედაქტორობდა რუსულ ენაზე გამომავალ გაზეთს „Закавказский вестник“.

1848 წელს პლატონ იოსელიანი გაემგზავრა ათონის მთაზე, სადაც დაყო 5 წელი. აქ მან შეისწავლა ქართული ბიბლიის სამი ნუსხა. პლატონ იოსელიანმა ნაყოფიერად იღვაწა მეცნიერებაში და გამოაქვეყნა მრავალი სამეცნიერო ნაშრომი. მან პეტერბურგში რუსულ ენაზე გამოაქვეყნა ქართული ეკლესიის მოკლე ისტორია (1843), რომლის ინგლისური თარგმანი გამოქვეყნდა ლონდონში 1866 წელს.

პლატონ იოსელიანის ფილოსოფიური მსოფლმხედველობა თეოლოგიური იყო. საზოგადოების განვითარების მამოძრავებელ ძალად ღვთაებას თვლიდა. ერთმანეთისაგან განასხვავებდა საზოგადოების განვითარების სამ საფეხურს: გვაროვნულს, ფეოდალურსა და კაპიტალისტურს. მისი აზრით, ქრისტიანობა უმაღლესი ფილოსოფიაა, „სახარების გარეშე არაა მოქალაქეობრიობა, არაა კაცობრიობის ამამაღლებელი და გამაუმჯობესებელი იდეები". იგი იყო იონა ხელაშვილის მსოფლმხედველობის კონსერვატიულ-იდეალისტური ხაზის უკიდურესი მემკვიდრე და გამგრძელებელი.

*თხზ.: „Краткая история грузинской церкви" (СПБ, 1843); „Введение в историю философскую" (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, S - 170).*

## კაკაბაძე

**ვიტალი - 1930-1998** - ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი (1975), პროფესორი (1985), დაიბადა ქ. ქუთაისში; 1952 წელს დაამთავრა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი (ამჟამად უნივერსიტეტი) ფსიქოლოგიის სპეციალობით.

ვ. კაკაბაძე 1952-1959 წლებში მუშაობდა ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში, 1959-1962 წლებში - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტში, 1962-1980 წლებში - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტში, ხოლო 1980-1990 წლებში - ფსიქოლოგიის ინსტიტუტის განყოფილების ხელმძღვანელად. 1990-1994 წლებში ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის კათედრის გამგეა და პრორექტორი სამეცნიერო დარგში, 1994 წლიდან გარდაცვალებამდე კვლავ ფსიქოლოგიის ინსტიტუტის განყოფილების ხელმძღვანელია.

ვ. კაკაბაძის მეცნიერული მოღვაწეობის სფეროებია ფილოსოფიური ანთროპოლოგია და ფსიქოლოგიის ფილოსოფიური პრობლემები, აგრეთვე პიროვნების რაობის საკითხი, არაცნობიერის პრობლემა. მისთვის პიროვნება არის ადამიანის განვითარების უმაღლესი საფეხური, რომლის შესასწავლად უნდა შეიქმნას ცალკე დისციპლინა „ფილოსოფიური პერსონალისტიკის“ სახელწოდებით.

*თხზ.: „სიღრმის ფსიქოლოგიის ფილოსოფიური საკითხები“ (თბილისი, 1975); „განწყობის თეორია და არაცნობიერი ფსიქიკის პრობლემები“ (თბილისი, 1990); „ფსიქოლოგიის შესავალი“ (თბილისი, 1992); „მუსიკის ფენომენი“ (თბილისი, 1993).*

## კაკაბაძე

**ზურაბ - 1926-1982** - ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი (1968), პროფესორი (1970), თანამედროვე დასავლური ფილოსოფიისა და კულტურის გამოჩენილი მკვლევარი, დაიბადა თბილისში. ზურაბ კაკაბაძე თბილისის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ ასპირანტურაში სწავლობდა პროფესორ კოტე ბაქრაძის ხელმძღვანელობით. 1967-1982 წლებში - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის ესთეტიკის განყოფილების ხელმძღვანელია. ზ. კაკაბაძე ქართულ, რუსულ, გერმანულ, ინგლისურ, იაპონურ, პოლონურ ენებზე გამოქვეყნებული 40-ზე მეტი ნაშრომის ავტორია. არჩეული იყო ჰუსერლის საერთაშორისო საზოგადოების ხელმძღვანელი კომიტეტის წევრად, იყო მრავალი საერთაშორისო კონგრესის მონაწილე; იკვლევდა ეთიკის, ესთეტიკის, დასავლური ფილოსოფიისა და კულტურის ძირეულ პრობლემებს. ყველა მისი გამოკვლევის ძირითადი მამოძრავებელია ადამიანის ბუნების რაობა და მისი ბედი თანამედროვე სამყაროში. გააკრიტიკა ობიექტივისტური და საერთოდ პოზიტივისტური თვალსაზრისები ადამიანის შესახებ, ნათელყო „ტექნიკური გაუცხოების" ბუნება. ეს საკითხი გაშუქებულია ნაშრომში „ევზისტენციალური კრიზისის" პრობლემა და ე. ჰუსერლის ტრანსცენდენტალური ფენომენოლოგია". ადამიანი ზ. კაკაბაძეს ესმოდა, როგორც თავისუფალი, შემოქმედი და მოქმედი არსება, რომელიც სწორედ ამის გამო პასუხისმგებელია იმ საზოგადოებისა და სამყაროს წინაშე, რომელშიც იგი ცხოვრობს.

მრავალრიცხოვან წერილებში, რომლებიც საკუთრივ ესთეტიკურ ფენომენებს ეხება, ზ. კაკაბაძე აყენებს თანამედროვე ადამიანის წინაშე მდგარ ცხოვრების საზრისის პრობლემას.

ზ. კაკაბაძის უკანასკნელი ნაშრომები ძირითადად ბუნებისა და ადამიანის მიმართების პრობლემებს ეძღვნება. მისთვის ადამიანი ერის ორგანული ნაწილია, ერი კი კავშირშია მშობლიურ მიწასთან, ვინაიდან გარემოს დიდი როლი ენიჭება ადამიანის ფსიქიკური და სხეულებრივი სპეციფიკის ფორმირებაში. რეალური ადამიანის მიუკერძოებელი ანალიზი, ზ. კაკაბაძის აზრით, ერთმნიშვნელოვნად ასაბუთებს სამყაროს შემეცნებისა და, საერთოდ, საკაცობრიო კულტურის წარმატებით განვითარებისათვის ეროვნულ ენათა და ეროვნულ კულტურათა მრავალფეროვნების აუცილებლობას.

*თხზ.: „ხელოვნება, ფილოსოფია, ცხოვრება“ (თბილისი, 1979); „წერილები“ (თბილისი, 1972); „Проблема „экзистенциального кризиса“ и трансцендентальная феноменология Э. Гуссерля“ (Тбилиси, 1966); „Человек как философская проблема“ (Тбилиси, 1970); „Феномен искусства“ (Тбилиси, 1980).*

## კალანდარიშვილი

**გრიგოლ - 1904-1965** - ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი (1962), პროფესორი (1964), დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (1931), ხოლო შემდეგ მოსკოვის ფილოსოფიის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის (МИФЛИ) ასპირანტურა (1935). საქართველოში და-

ბრუნების შემდეგ ეწეოდა ინტენსიურ სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას. სხვადასხვა დროს ლექციებს კითხულობდა გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ვლადივოსტოკის უნივერსიტეტსა და სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში. პედაგოგიური მოღვაწეობის პარალელურად ეწეოდა მეცნიერულ მუშაობას: იკვლევდა ლოგიკის აქტუალურ პრობლემებს, კერძოდ, ლოგიკური კანონების, ლოგიკური შეცდომების, დიალექტიკური და ფორმალური ლოგიკის ურთიერთობის პრობლემებს, დიალექტიკური ლოგიკის მოძღვრებას აზროვნებაში ობიექტური წინააღმდეგობის ასახვის შესახებ და სხვა. მრავალი წლის მანძილზე მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტში ლოგიკის განყოფილების გამგედ.

განსაკუთრებით საინტერესოა გრიგოლ კალანდარიშვილის გამოკვლევები ქართული ლოგიკის ისტორიის დარგში. ამ თემაზე მან გამოაქვეყნა მონოგრაფია „Очерки по истории логики в Грузии" (პირველი გამოცემა 1952 წელს, მეორე - 1955 წელს). ამ თხზულებაში პირველადაა შესწავლილი ლოგიკური აზროვნების ისტორია საქართველოში ძველი (IV საუკუნე) დროიდან XIX საუკუნის ჩათვლით. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იოანე პეტრიწის, ანტონ პირველისა და სოლომონ დოდაშვილის ლოგიკური მოძღვრების შესწავლას. ამ წიგნმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართული ლოგიკის ისტორიის კვლევის დარგში.

*თხზ.: „Очерки по истории логики в Грузии" (Тбилиси, 1955); „В.И.Ленин о „Науке логики" Гегеля" (Тбилиси, 1959, ილია თავაძის თანაავტორობით).*

**კალანდარიშვილი**
**ვახტანგ - 1923-1997** - ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი (1970), პროფესორი (1971), საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1996), დაიბადა ქ. სენაკში. 1948 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი, ხოლო შემდეგ, ამავე ფაკულტეტის დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის კათედრის ასპირანტურა.

1952 წლიდან 1982 წლამდე მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჯერ დოცენტად, შემდეგ - პროფესორად, 1981-1992 წლებში იყო საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის (ამჟამად უნივერსიტეტის) ფილოსოფიის კათედრის გამგე, ხოლო 1993-1997 წლებში - სამხედრო აკადემიის ფილოსოფიის კათედრის გამგე.

ვ. კალანდარიშვილის მეცნიერული კელევის სფეროს შეადგენდა საზოგადოებრივი პროგრესის თეორიის პრობლემები, მარქსიზმის ფუძემდებელთა ფილოსოფიური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების საკითხები.

*თხზ.: „ფრ. ენგელსი საზოგადოებრივი პროგრესის შესახებ“ (თბილისი, 1964); „საზოგადოებრივი პროგრესის მეცნიერული თეორიის შემუშავება“ (თბილისი, 1974).*

## კალანდაძე

**დიმიტრი - 1912-1992** - ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი (1965), პროფესორი (1967), დაიბადა სოფელ ბუკისციხეში (ჩოხატაურის რაიონი), სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე. 1938-1940 წლებში იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტი ფილოსოფიის სპეციალობით, 1944 წელს დაამთავრა მოსკოვის უმაღლესი პარტიული სკოლა.

დ. კალანდაძე 1946 წლიდან იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომელი, დოცენტი, ფილოსოფიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, 1953-1955 წლებში - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორი, 1955-1974 წლებში - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის კათედრის გამგე, ხოლო 1974-1979 წლებში - სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის (ამჟამად უნივერსიტეტის) ფილოსოფიის კათედრის გამგე, 1979 წლიდან - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის კათედრის პროფესორი.

დ. კალანდაძე იკვლევდა ძირითადად ისტორიული მატერიალიზმის საკითხებს.

*თხზ.: „მარქსიზმ-ლენინიზმი ბაზისსა და ზედნაშენის შესახებ“ (თბილისი, 1954); „ობიექტურობისა და სუბიექტურობის ერთიანობის საკითხი შემეცნებასა და საზოგადოებაში“ (თბილისი, 1964).*

**კაპანელი**

**კონსტანტინე (ჭანტუაია) - 1889-1952** - ქართული ფილოსოფიურ-ესთეტიკური აზროვნების წარმომადგენელი, დაიბადა სოფელ კაპანაში (აბაშის რაიონი). სწავლობდა ნანსის, სორბონისა და გრენობლის უნივერსიტეტებში (საფრანგეთი). დაასრულა გრენობლის უნივერსიტეტის სიტყვიერების ფაკულტეტი, იკვლევდა ლიტერატურის, ხელოვნების, ესთეტიკის საკითხებს. მან სპეციალური გამოკვლევები მიუძღვნა აგრეთვე რუსთაველის ფილოსოფიასა და ქართულ კულტურასთან მისი დამოკიდებულების პრობლემებს.

კონსტანტინე კაპანელმა შემოიტანა და განავითარა სიცოცხლის ფილოსოფიისა და ირაციონალიზმის ნაკადი ქართულ კულტურაში, რომლის საფუძველზე შექმნა ორგანიცისტულ-ბიოლოგისტური ხასიათის მოძღვრება „ორგანოტროპიზმის" სახელწოდებით. განიცადა ნიცშესა და ბერგსონის ძლიერი გავლენა. კაპანელის ორგანოტროპიზმი ორიგინალური თეორიაა. კ. კაპანელის აზრით, სამყარო არის ორგანულ ფორმათა განუწყვეტელი ურთიერთგარდაქმნის ირაციონალური პროცესი, რომლის გამოხატვა ლოგიკურ-რაციონალური მეთოდებით შეუძლებელია. ამ პროცესს რაიმე მიმართულება, გზა და საზრისი არ გააჩნია. მისი წვდომა შესაძლებელია მხოლოდ განცდების მეოხებით. ადამიანი ტრაგიკული არსებაა, მას ყოველთვის წარმავლობის ბეჭედი აზის. „წარმავლობის" სევდა და მისგან მომდინარე პესიმიზმი და ნიპილიზმი არის ის ძირითადი მოტივი, რომელიც კ. კაპანელის მთელ მსოფლმხედველობას განმსჭვალავს.

კონსტანტინე კაპანელი, უწინარეს ყოვლისა, ხელოვნებათმცოდნე და ესთეტიკოსია. მან სოციალურ-ფსიქოლოგიური ანალიზის მეთოდის

მომარჯვებით გამოიყენია ქართული სული ესთეტიკურ სახეებში, გააანალიზა მთელი ქართული ლიტერატურა, აჩვენა მხატვრულ სახეთა სოციალური წარმომავლობა. მან სოციალური ფსიქოლოგია გამოიყენა ქართული კულტურისა და გონის შესწავლის საქმეში.

*თხზ.: „Страдание и творчество" (Тбилиси, 1917); „სული და იდეა" (თბილისი, 1923); „სოციალური ესთეტიკის საფუძვლები, ორგანოტროპიზმი" (თბილისი, 1925); „ქართული ლიტერატურის სოციალური გენეზისი" (თბილისი, 1928); „მეტყველებისა და ლიტერატურის პრობლემები" (თბილისი, 1938); „ქართული სული ესთეტიკურ სახეებში" (თბილისი, 1995).*

## კარტოზია

**ბონდო - 1923-2000** - ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი (1953), პროფესორი (1985), დაიბადა სოფელ ბანძაში (მარტვილის რაიონი). 1940 წელს შეიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე, 1951 წელს დაამთავრა ასპირანტურის კურსი ამავე სპეციალობით.

ბ. კარტოზიას მეცნიერული კვლევის სფეროა ქართული ფილოსოფიის ისტორია (XX საუკუნის პირველი მესამედი). გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომები ამ მიმართულებით.

*თხზ.: „კლასობრივი ბრძოლის ლენინური თეორია და თანამედროეობა" (თბილისი, 1961); „სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება და ქართული სოციოლოგიური აზრი" (თბილისი, 1971); „ნარკვევები ქართული სოციოლოგიური აზრის ისტორიიდან (XX საუკუნის 10-30-იანი წლები)" (თბილისი, 1986).*

## კაჭკაჭიშვილი

**იაგო - 1965** - ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი (2002), პროფესორი (2004), დაიბადა ქ. რუსთავში. 1982-1987 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე (ფილოსოფიის სპეციალობით), 1987-1990 წლებში იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის ასპირანტი. 2002 წელს აირჩიეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციოლოგიის კათედრის გამგის თანამდებობაზე. ამავე წელს არჩეულ იქნა სოციოლოგიის დარგში სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელი სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარედ. არის საქართველოს სოციოლოგთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი.

იაგო კაჭკაჭიშვილმა სტაჟირება გაიარა ჩეხეთის, ლიეერპულის (ინგლისი), ნიუჯერსის (აშშ) უნიეერსიტეტებში, მონაწილეობდა მრავალ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში. გამოქვეყნებული აქვს 25-მდე სამეცნიერო ნაშრომი ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე. იგი თანაავტორია ორი კოლექტიური გამოცემისა: „სოციოლოგიური კვლევის მეთოდები" (თბილისი, 1998) და „უმაღლესი განათლების სისტემის რეფორმისა და მისი შედეგების შესახებ თბილისის სახელმწიფო უნიეერსიტეტში" (თბილისი, 2000).

*თხზ.: „სოციალური მოქმედების თეორიები" (თბილისი, 2001); „სოციალური პრაქსისის თეორიები (სიმბოლური ინტერაქციონიზმი,) გიდენსის სტრუქტურაციის თეორია" (თბილისი. 2001); „სოციალური მოქმედების თეორიები, მოღეაწეობა, სტრუქტურა დუალიზმის შუქზე (ვებერი, პარსონსი)" (თბილისი, 2001).*

## კეტხუდოი

**ზაშიდ - 1928** - ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი (1985), პროფესორი (1988), საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1999). დაიბადა თბილისში, დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი (1953), მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურა ფილოსოფიის სპეციალობით (1965). მუშაობს საქართველოს პოლიტექნიკური უნივერსიტეტის ფილოსოფიის კათედრაზე.

მეცნიერული კვლევის მიმართულებანია: შემეცნების თეორია, ფილოსოფიის ისტორია, ღირებულების თეორია, ესთეტიკის, კულტურისა და ტექნიკის ფილოსოფიის პრობლემები.

*თხზ.: „მეცნიერული იდეოლოგიის მარქსისტული კონცეფცია" (თბილისი, 1983); „Проблема долженствования" (Тбилиси, 1998); „Философия техники" (Тбилиси, 1999).*

## კერძევაძე

**ალადიმერ - 1923-2003** - ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი (1986), პროფესორი (1989), ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1995), დაიბადა სოფელ ქვედაგორაში (ვანის რაიონი), დაამთავრა ამავე სოფლის საშუალო სკოლა, შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე. ვ. კერძევაძე 1951-1970 წლებში მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინს-

ტიტუტში, 1970 წლიდან - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფილოსოფიის კათედრაზე.

*თხზ.: „შოთა რუსთაველის მსოფლმხედველობის საკითხები" (თბილისი, 1960); „ჯორჯ ბერკლისა და დავით ჰიუმის იდეალიზმის ლენინური კრიტიკა" (თბილისი, 1969).*

## ქეშელაკა

**ეკა - 1930** - ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი (1969), პროფესორი (1971), დაიბადა ქ. გაგრაში, იქვე დაამთავრა საშუალო სკოლა, შემდეგ - ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი (1953 წელს), ასპირანტურა, ეწევა სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას, 1975-1998 წლებში იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის კათედრის გამგე, 1999 წლიდან არის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი. იკვლევს სოციალური ფილოსოფიის პრობლემებს. გაუცხოების ფენომენი გააზრებული აქვს, როგორც ისტორიული აუცილებლობის გაგების საწინდარი. გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნიერო ნაშრომი, პუბლიცისტური სტატია, მონოგრაფია - ქართულ, რუსულ, სომხურ, პოლონურ, გერმანულ და ესპანურ ენებზე.

*თხზ.: „Миф о двух Марксах" (Москва, 1963; ბუენოს აირესი, 1964 - ესპანურ ენაზე; ერევანი, 1966 - სომხურ ენაზე); „Действи-*

*тельный и мнимый гуманизм" (Москва, 1973; ვარშავა, 1974 - პოლონურ ენაზე; ჰავანა, 1974 - ესპანურ ენაზე); „პოლიტიკური კულტურა და სოციალიზმი" (თბილისი, 1980).*

## ქვარაცხელია

**ნაბი - 1946** - ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი (1987), პროფესორი (1989), საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1999), დაიბადა სოფელ ნაკიანში (ჩხოროწყუს რაიონი). სწავლობდა ბაღმარანის (გულრიფშის რაიონი) საშუალო სკოლაში, დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი (1970), ასპირანტურა (1973). ამჟამად თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის კათედრის გამგეა; მუშაობს შემეცნების თეორიის, ადამიანისა და მსოფლმხედველობის, სიცოცხლის საზრისის პრობლემებზე. გამოქვეყნებული აქვს მონოგრაფიები და სამეცნიერო სტატიები სხვადასხვა ჟურნალში, განსაკუთრებით, კრებულში „ფილოსოფიური ძიებანი".

დასავლური გნოსეოლოგიისა და შალვა ნუცუბიძის ალეთოლოგიური რეალიზმის გათვალისწინებით ნ. კვარაცხელია ამტკიცებს, რომ არსებობს ადამიანური ცნობიერების სპეციფიკური სტრუქტურა, რომელიც პიროვნების ფსიქოლოგიურ სუბიექტურობაზე „მეტია", რასაც გნოსეოლოგიური სუბიექტი ეწოდება. სწორედ იგი უზრუნველყოფს სუბიექტში „ობიექტურის" შესაძლებლობას ჭეშმარიტი ცოდნის სახით. ჭეშმარიტება სუბიექტში ობ-

ექტურობის აგენტია. თავის მხრივ სუბიექტ-ობიექტის გნოსეოლოგიური მიმართება მათ შორის ონტოლოგიური მიმართების პრიმატითაა განსაზღვრული.

*თხზ.: „ადამიანის, როგორც შემმეცნებელი სუბიექტის პრობლემა“ (თბილისი, 1986); „ფილოსოფია და ცხოვრება“ (თბილისი, 1991).*

## ქეარაცხელია

**შალვა - 1931-2001** - ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი (1995), პროფესორი, დაიბადა სოფელ დრანდაში (გულრიფშის რაიონი); 1956 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი. გამოქვეყნებული აქვს 30-მდე სამეცნიერო ნაშრომი. მუშაობდა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტისა და თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის ფილოსოფიის კათედრებზე.

*თხზ.: „ფილოსოფია, როგორც მსოფლმხედველობა“ (თბილისი, 1992); „მეგრული ენა ახალი სიტყვების ასპექტში“ (თბილისი, 2000).*

## ქვეინაძე

**რევაზ - 1928-1984** - ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი (1974), პროფესორი (1976), დაიბადა ქ. ოზურგეთში, იქვე დაამთავრა საშუალო სკოლა, შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი (1950 წელს), ამავე უნივერსიტეტის ასპირანტურა ფილოსოფიის სპეციალობით. სამეცნიერო-პედაგოგიურ მუშაობას ეწეოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის კათედრაზე, 1970 წლიდან იყო საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში სამეცნიერო ინფორმაციის ცენტრში ფილოსოფიის განყოფილების გამგე.

პროფესორ რევაზ კვიჟინაძის ფილოსოფიური კვლევის ცენტრალური საგანი იყო ჭეშმარიტების პრობლემა. მისი აზრით, ჭეშმარიტება შეიძლება სწორად იყოს გაგებული მხოლოდ დიალექტიკურად ასახვის თეორიის საფუძველზე.

*თხზ.: „ჭეშმარიტების პრობლემა და თანამედროვე პოზიტივიზმი" (თბილისი, 1965); „რწმენა და ცოდნა" (თბილისი, 1968); „ჭეშმარიტების თანამედროვე ინტერპრეტაციები, კრიტიკული ანალიზი" (თბილისი, 1973); „ჭეშმარიტების ცნება და ალტერნატივები შემეცნების თეორიაში" (თბილისი, 1976); „Понятие истины и альтернативы в теории познании" (Тбилиси, 1977); „კარლ მარქსის ცხოვრება და მოღვაწეობა" (თბილისი, 1983).*

## კილაძე

**ალექსიან - 1913-1980** - ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი (1967), პროფესორი (1969), დაიბადა სოფელ სინაურში (ახლანდელი ოზურგეთის რაიონი). 1928-1931 წლებში სწავლობდა პედაგოგიურ ტექნიკუმში, ხოლო 1931 წლიდან - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე, 1935-1938 წლებში - ასპირანტურაში ფილოსოფიის სპეციალობით. კითხულობდა ლექციების კურსს ქუთაისისა და სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტებში. სხვადასხვა დროს მუშაობდა თბილისის პედაგოგიურ სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ჯერ ასპირანტების კონსულტანტად, ხოლო შემდეგ - დირექტორის მოადგილედ. 1974 წლიდან იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ისტორიის კათედრის პროფესორია, მუშაობდა ამავე უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის დეკანად.

ვ. კილაძე იკვლევდა განმანათლებლების მსოფლმხედველობას, შუა საუკუნეებისა და რუსული ფილოსოფიური აზრის ისტორიას.

*თხზ.: „გ.ვ. პლეხანოვის ფილოსოფიური შეხედულებანი" (თბილისი, 1973).*

## კირკვალიძე

**ნოდარ - 1930-1994** - ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი (1979), პროფესორი (1980), დაიბადა სოფელ სხვავაში (ამბროლაურის რაიონი), იქვე დაამთავრა საშუალო სკოლა; 1953 წელს შევიდა თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1959 წელს.

ნ. კირვალიძის სამეცნიერო კვლევის ძირითადი მიმართულებებია: შემეცნების თეორია, კერძოდ, პრაქტიკის როლი შემეცნებაში. გარდა სამეცნიერო სტატიებისა, გამოქვეყნებული აქვს ორი წიგნი: „ჭეშმარიტების საზომის პრობლემა ფილოსოფიაში" (1978) და „Проблема критерия истины и „советология" (1982). ამ ნაშრომებში კრიტიკულად გაანალიზებულია როგორც ძველი, ისე ახალი დროის სკეპტიკოსების არგუმენტები შემეცნების შესაძლებლობის წინააღმდეგ და მოცემულია ცდა ამ არგუმენტების ლოგიკური და ფაქტობრივი უსაფუძვლობის დასაბუთებისა. ნ. კირვალიძე ამტკიცებს, რომ ჭეშმარიტების ძირითად საზომს პრაქტიკა წარმოადგენს. განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ე. წ. „სოვეტოლოგების" მოსაზრებებს პრაქტიკის კრიტერიუმის წინააღმდეგ. „სოვეტოლოგების" კრიტიკა წარმოებს დიალექტიკური მატერიალიზმის პოზიციებიდან.

*თხზ.: „ჭეშმარიტების საზომის პრობლემა ფილოსოფიაში" (თბილისი, 1978); „Проблема критерия истины и „советология" (Тбилиси, 1982).*

**ქობახიძე**

**შალვა - 1913** - ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი (1974), პროფესორი (1975), დაიბადა სოფელ როდინაურში (ზესტაფონის რაიონი); 1950 წელს დაამთავრა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი. მუშაობ-

და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში - ჯერ ფილოსოფიის კათედრაზე, შემდეგ - პოლიტოლოგიის ინსტიტუტში.

*თხზ.: „Некоторые проблемы категории закона и источника развития“ (Тбилиси, 1977); „მატერიალისტური დიალექტიკის ძირითადი კანონები“ (თბილისი, 1980); „თავისუფლება: ნამდვილი და მოჩვენებითი“ (თბილისი, 1987).*

## კოდუა

**ედუარდ - 1931-2002** - ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი (1968), პროფესორი (1970), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, დაიბადა ქ. სენაკში. 1954 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი, ხოლო ცოტა გვიან - ასპირანტურა. 1997 წელს აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად.

ე. კოდუა იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციოლოგიის კათედრის გამგე, საქართველოს სოციოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი. 1989 წლიდან იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ხარისხის მიმნიჭებელი სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე სოციოლოგიის დარგში, აგრეთვე - საქართველოს სწავლულ ექსპერტთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე საზოგადოებრივ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დარგში.

ე. კოდუას მეცნიერული კვლევის ძირითადი სფერო იყო ზოგადი სოციოლოგია და ეგზისტენციალური ფილოსოფია. იგი მრა-

ვალი მონოგრაფიის, სახელმძღვანელოს და სამეცნიერო სტატიის ავტორია.

*თხზ.: „ორგანიცისტული სოციოლოგიის განვითარების ტენდენციები" (თბილისი, 1964); „ისტორიის ფილოსოფია" (თბილისი, 1966); „ალტე ბაქრაძე" (თბილისი, 1973); „ისტორიის საზრისის საკითხისათვის" (თბილისი, 1979); „ეგზისტენციალიზმი ფილოსოფიის საგნის შესახებ" (თბილისი, 1987); „სოციოლოგიის შესავალი" (თბილისი, 1987); „სოციოლოგია. I და II ნაკეთი" (თბილისი, 1995 და 1998 წლები); „სოციოლოგიის ისტორია, I და II ნაკეთი" (თბილისი, 1987); „Немецкий экзистенциализм о сущности философии" (Тбилиси, 1995); „კულტურის სოციოლოგია" (თბილისი, 2001).*

**ქიზაია**

**ჯანსუღ - 1932** - ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი (1975), პროფესორი (1960), საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, დაიბადა ქ. ქუთაისში; დაამთავრა ქ. ზესტაფონის ვაჟთა საშუალო სკოლა (1951), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი (1956), ასპირანტურა (1964). 1964-1975 წლებში მუშაობდა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში (ამჟამად უნივერსიტეტი) ფილოსოფიის კათედრაზე თავდაპირველად მასწავლებლად, შემდეგ - უფროს მასწავლებლად, დოცენტად და პროფესორად. 1979-1993 წლებში მუშაობდა საქართველოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროში რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების სამმართველოს უფროსად. 1994 წლიდან იგი მუშაობს თბილისის სახელ-

მწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე ჯერ დეკანად, შემდეგ - ესთეტიკის კათედრის გამგედ. ამჟამად ამავე კათედრის პროფესორია.

ჯ. კორძაიას ფილოსოფიური კვლევის ძირითადი მიმართულებებია: ფილოსოფიის ისტორია, გნოსეოლოგია, კულტურის ფილოსოფია. გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო სტატიები ქართულ, რუსულ და გერმანულ ენებზე. მის ნაშრომებში გამოკვლეულია პრაქტიკის კრიტერიუმის თავისებურებანი შემეცნების თეორიაში. სტატიაში „კულტურა და სინამდვილის სუბსტანციის ახლებურად გააზრების ცდა", რომელიც დაიბეჭდა საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის წელიწდეულ ორგანოში „ფილოსოფიური ძიებანი" (ტ. IV, 2000), ჯ. კორძაია ამტკიცებს, რომ კულტურის სუბსტანციას ცნობიერება წარმოადგენს.

ჯ. კორძაიას გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე პოეტური და პროზაული ნაწარმოები.

*თხზ.: „ჭეშმარიტების ზოგიერთი საკითხი ლენინის ფილოსოფიურ მემკვიდრეობაში" (თბილისი, 1971); „პრაქტიკა, როგორც შემეცნების საფუძველი" (თბილისი, 1971); „ადამიანი, როგორც პრაქტიკის სუბიექტი" (თბილისი, 1982); „სიკეთილის გენეზისი" (თბილისი, 2002).*

## ᲙᲣᲙᲔᲠᲐ

**თამაზ - 1921** - ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი (1963), პროფესორი (1971), საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1995), დაიბადა სოფელ კავთისხევში (კასპის რაიონი). 1938 წელს დაამთავრა

თბილისის მე-18 საშუალო სკოლა და სწავლა განაგრძო თბილისის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ 1942-1945 წლებში სწავლობდა ასპირანტურაში ფილოსოფიის ისტორიის სპეციალობით. 1946-1948 წლებში მუშაობდა ქ. გორის ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში, ხოლო 1948-1951 წლებში - თბილისის პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ფილოსოფიური დისციპლინების მასწავლებლად. 1951-1971 წლებში ფილოსოფიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელია, 1971 წლიდან დღემდე - თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ესთეტიკის კათედრის პროფესორი.

პროფესორი თამარ კუკავა მრავალმხრივი მკვლევარია. მისი სამეცნიერო მოღვაწეობა მოიცავს ანტიკური ფილოსოფიისა და ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიის პრობლემებს, შემეცნების თეორიას, ეთიკას, ესთეტიკასა და მთარგმნელობით საქმიანობას. ყველა ამ სფეროში მას მნიშვნელოვანი მიღწევები აქვს, რაზეც მეტყველებს მისი მრავალრიცხოვანი გამოკვლევა, მათ შორის მონოგრაფიები და სახელმძღვანელოები ანტიკურ ფილოსოფიაში, XVIII-XIX საუკუნეების ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიაში, სოლომონ დოდაშვილის შემოქმედებაზე, ეთიკასა და ესთეტიკაში. ასევე ნაყოფიერია თ. კუკავას მთარგმნელობითი მოღვაწეობა, განსაკუთრებით აღსანიშნავია მის მიერ თარგმნილი არისტოტელეს არაერთი თხზულება. მანვე გამოსცა ანტონ პირველის პოეტური ნაწერები; დიდი წვლილი მიუძღვის სოლომონ დოდაშვილის ნეშტის ვიატკიდან თბილისში გადმოსვენების საქმეში.

*თხზ.: „შემეცნების თეორიის პრობლემები ძველ ბერძნულ ფილოსოფიაში (კლასიკური პერიოდი)“ (თბილისი, 1965); „ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიიდან“ (1967); „იოანე პეტრიწის მსოფლმხედველობა“ (თბილისი, 1971); „ბერძნული ფილოსოფიური აზრის ისტორია“ (თბილისი, 1972, 1988); „ესთეტიკა“ (თბილისი, 1985, 1997); „სოლომონ დოდაშვილი“ (თბილისი, 1986); „ეთიკა“ (თბილისი, 1998), თარგმანები: „არისტოტელეს „მეტაფიზიკა“ (თბილისი, 1965); „რიტორიკა“ (თბილისი, 1981); „პოლიტიკა“ (თბილისი, 1995); „სულის შესახებ“ (თბილისი, 2001).*

## ლარცულიანი

**ხეოთ - 1904-1975** - ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი (1946), დაიბადა სოფელ ლარჩვალში (ცაგერის რაიონი). 1929-1932 წლებში სწავლობდა ამიერკავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტში, ხოლო 1933-1935 წლებში იყო საქართველოს მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ასპირანტი ფილოსოფიის სპეციალობით. მიენიჭა პროფესორის წოდება. ლექციებს კითხულობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოსოფიის ფაკულტეტზე, სხვადასხვა დროს იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის კათედრის გამგე.

ს. ლარცულიანი იკვლევდა ისტორიული მატერიალიზმის, მეცნიერული კომუნიზმისა და კომუნისტური პარტიის ისტორიის საკითხებს. ამ დარგში გამოქვეყნებული ჰქონდა ნაშრომები ორი მონოგრაფიისა და რამდენიმე ათეული სტატიის სახით.

*თხზ.: „სოციალისტური წარმოების წესის განვითარების კანონზომიერების შესახებ“ (თბილისი, 1961).*

## ლუტიძე

**ბიძინა - 1925** - ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი (1965), პროფესორი (1967), მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1985), საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1995); დაიბადა სოფელ ზედა ალ-

ისუბანში (თერჯოლის რაიონი). 1942 წელს დაამთავრა თბილისის პირველი საშუალო სკოლა. არის სამამულო ომის მონაწილე. 1950 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი. 1953 წლიდან მუშაობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე, 1970-2004 წლებში ჰუმანიტარული ფაკულტეტების ფილოსოფიის კათედრის გამგეა. ამჟამად ამავე კათედრის პროფესორია.

ბ. ლუტიძის სამეცნიერო კვლევის სფეროა სოციალური ფილოსოფია. იკვლევს პიროვნების ფორმირების, საზოგადოებისა და პიროვნების ურთიერთობის, თაობათა კავშირის, საზოგადოების სოციალური განვითარების და სხვა მსგავს საკითხებს.

გამოქვეყნებული აქვს 15 მონოგრაფია, სახელმძღვანელოები და მრავალი სამეცნიერო სტატია.

*თხზ.: „შრომა და ადამიანი" (თბილისი, 1967); „თაობათა ურთიერთობა საზოგადოებაში" (თბილისი, 1972); „ისტორიული მატერიალიზმის საკითხები" (თბილისი, 1988); „კოლექტივი და პიროვნება" (თბილისი, 1979); „სოციოლოგიის შესავალი" (თბილისი, 1996); „სოციოლოგიური აზრის ისტორია" (თბილისი, 2000); „გლობალიზაცია: არსი, პრობლემები" (თბილისი, 2002); „სოციოლოგია" (თბილისი, 2002).*

**მამარდაშვილი**

**მერაბ - 1930-1990** - ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი (1970), პროფესორი (1972), დაიბადა ქ. გორში, დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი (1954) და ამავე უნივერსიტეტის ასპირანტურა (1957). მუშაობდა ჟურნალში „Вопросы философии" (1957-1961). 1968-1974 წლებში იყო ამ ჟურნალის რედაქტორის მოადგილე, ხოლო 1961-1966 წლებში - რედაქტორის მოადგილე ჟურნალისა „Проблемы мира и социализма" (პრაღა), მუშაობდა აგრეთვე მოსკოვის კვლევით ინსტიტუტებში: საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ინსტიტუტსა (1966-1968) და ბუნებისმეტყველებისა და ტექნიკის ისტორიის ინსტიტუტში (1974-1980). 1980 წლიდან გადმოვიდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტში, სადაც მუშაობდა სიცოცხლის ბოლომდე. ხელმძღვანელობდა ჯერ ბუნებისმეტყველების ფილოსოფიური პრობლემების განყოფილებას, შემდეგ - ცნობიერების ფილოსოფიური პრობლემის შემსწავლელ საპრობლემო ჯგუფს. მ. მამარდაშვილი კითხულობდა ლექციათა კურსს სხვადასხვა ფილოსოფიურ პრობლემაზე მოსკოვში, თბილისსა და პარიზში.

საკვანძო პრობლემა, რომელიც აერთიანებს მ. მამარდაშვილის საკმაოდ მრავალმხრივ ფილოსოფიურ მოღვაწეობას, ცნობიერებისა და აზროვნების ფილოსოფიური პრობლემაა.

ცნობიერება მ. მამარდაშვილს ესმის როგორც თავისუფლების აქტი, როგორც ადამიანის თვითტრანსცენდირება. ცნობიერების უნარის წყალობითაა, რომ ადამიანს შეუძლია „გავიდეს" ემპირიულ ხდომილებათა ნატურალური რიგიდან. ამდენად, ყველა ფილოსოფიური პრობლემა შეიძლება გაგებულ იქნას როგორც ცნობ-

იერების აქტების ანალიზი. ფილოსოფია იგივეა, რაც მეტაფიზიკა. ის, რაზეც ფილოსოფოსი რეფლექსიას ახდენს, არის ადამიანის თვითტრანსცენდირება, მაგრამ ფილოსოფოსს არ შეუძლია თვითონაც გავიდეს სამყაროდან და მოიპოვოს რაღაც პრივილეგიური წერტილი, საიდანაც კარგად გამოჩნდება ტრანსცენდენციის აქტი, ფიზიკურისა და მეტაფიზიკურის მიმართება.

სოციალურ-პოლიტიკური სინამდვილის ანალიზი ონტოლოგიური თვალსაზრისით შეადგენდა მ. მამარდაშვილის მუშაობის ძირითად მიმართულებას მისი მოღვაწეობის ბოლო პერიოდში; იგი იღებდა არა მხოლოდ წმინდა მეცნიერული ნაშრომების, არამედ პუბლიცისტური გამოსვლებისა და ინტერვიუების სახეს.

მ. მამარდაშვილი თავის კვლევაში ძირითადად ეყრდნობოდა კლასიკურ ტრადიციას, განსაკუთრებით - პლატონის, დეკარტის, კანტის ნააზრევს. ამ სამი ფილოსოფოსის კონცეფციათა განხილვას მან მიუძღვნა ფუნდამენტური ნაშრომები: „ანტიკური ფილოსოფია", „კარტეზიანული განაზრებანი" და „კანტიანური ვარიაციები".

მ. მამარდაშვილის ფილოსოფიური მოღვაწეობა ფართო საერთაშორისო აღიარებით სარგებლობდა. 1988-1990 წლებში მონაწილეობა მიიღო მრავალ საერთაშორისო კონგრესსა და სემინარში (საფრანგეთი, ესპანეთი, გერმანია, ინგლისი, აშშ, იუგოსლავია).

*თხზ.: „Формы и содержание мышления. Критика гегелевского учения о формах познания" (Москва, 1968); „Как я понимаю философию" (Москва, 1990); „Классический и неклассический идеалы рациональности" (Тбилиси, 1984); „საუბრები ფილოსოფიაზე" (თბილისი, 1992); „Картезианские размышления" (Москва, 1993); „Лекции о Прусте" (Москва, 1995); „Стрела познания. Набросок естественнонаучной гносеологии" (Москва, 1997).*

**ნიკოლოზ (ნიკო)** - **1861-1934** - გამოჩენილი ქართველოლოგი, ენათმეცნიერი, ორიენტალისტი, არქეოლოგი, კულტურის ისტორიკოსი, დაიბადა ქუთაისში. მამა შოტლანდიელი ჰყავდა, დედა - ქართველი. 1884 წელს დაამთავრა ქუთაისის გიმნაზია, 1890 წელს - პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტი, 1891 წლიდან იმავე უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტია, 1912 წლიდან - რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი. იკვლევდა ქართული კულტურის ისტორიის პრობლემებს, სომხურსა და ქართულ ენებს, მათ ნათესაობას სხვა ენებთან, რუსთველოლოგიის საკითხებს და სხვა.

ნ. მარი ქართული ფილოსოფიური აზრის მეცნიერული შესწავლის სათავეებთან მოიაზრება. მისი გამოკვლევით „Иоанн Петрицкий, грузинский неоплатоник XI-XII вв" (СПБ, 1909) ფაქტობრივად იწყება ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიის მეცნიერული შესწავლა. ნ. მარი ქართული კულტურისათვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ნეოპლატონურ ფილოსოფიას და რუსთაველს ნეოპლატონიკოსად მიიჩნევდა. მან სპეციალურ გამოკვლევაში - „ვეფხისტყაოსნის" საწყისი და დასკვნითი სტროფები" (1910 წ.) ტექსტუალური ანალიზის საფუძველზე აჩვენა ნეოპლატონიზმის კვალი „ვეფხისტყაოსანში". ნ. მარმა პირველმა იხმარა „ქართული ნეოპლატონიზმის" ცნება, რომელიც შემდეგ დამკვიდრდა და ყველაზე შესაბამისი აღმოჩნდა შუა საუკუნეების ქართული ფილოსოფიური აზრის არსის გამოსახატავად. მასვე ეკუთვნის აზრი იმის შესახებ, რომ X-XI საუკუნეებში ქართველები ევროპელებზე უფრო ადრე ეხმაურებოდნენ ყველაზე მოწინავე

ფილოსოფიურ იდეებს და უშუალოდ ბერძნული ორიგინალების ტექსტუალურ კრიტიკას ეწეოდნენ.

ნ. მარს დიდი დამსახურება მიუძღვის ქართული კლასიკური საერო მწერლობის საუკეთესო ნიმუშების („აბდულმესიანი", „თამარიანი", „ვისრამიანი", „რუსუდანიანი", „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება" და სხვა) მეცნიერულად გამოკვლევისა და გამოცემის საქმეში. ქართული კულტურის ისტორიას ბევრი რამ შესძინა მის მიერ ჩატარებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა (ანისი, ვანის ტბა და სხვა).

რაც შეეხება ზოგად ენათმეცნიერებას, აქ ნ. მარმა ბოლო წლებში დაუპირისპირა შედარებით ისტორიულ მეთოდს თავისი ზედმეტად სოციოლოგიზებული და იდეოლოგიზებული „ახალი მოძღვრება ენაზე", სადაც ენა გამოცხადებულია ზედნაშენად, კლასობრივ მოვლენად, რომელიც ერთი ფორმაციიდან მეორეზე გადასვლის პროცესში განიცდის „რევოლუციურ აფეთქებას" და ა.შ. XX საუკუნის 50-იან წლებში ამ საკითხის გარშემო გამართული დისკუსიის დროს ნ. მარის „ახალი მოძღვრება ენაზე" გახდა მწვავე კრიტიკის ობიექტი (კერძოდ, აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავასა და იოსებ სტალინის მხრიდან). ამჟამად ეს კონცეფცია მთლიანად მივიწყებულია.

*თხზ.: „Иоанн Петрицкий, грузинский неоплатоник XI-XII в.в." (СПб, 1909); „Вступительные и заключительные строфы „Витязя в барсовой коже „Шота Руставели" (СПб, 1910); „Избранные работы", т. I-IV (М-Л, 1933-1937).*

**მახარაძე**

**მიხეილ - 1946** - ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი (1989), პროფესორი (2002), საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი - მდივანი (1995), საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი (1993), დაიბადა სოფელ ფაჩხაში (ხულოს რაიონი). 1970 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტი ფილოსოფიის სპეციალობით. 1970 წლიდან მუშაობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ს. წერეთლის სახელობის ფილოსოფიის ინსტიტუტში. 1994 წლიდან არის ქართული ფილოსოფიის ისტორიის განყოფილების ხელმძღვანელი. საქართველოს პარლამენტის წევრი (2.IV.2004), აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი (20.VI.2004). უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე (20.VII.2004) მუშაობს შუა საუკუნეების ფილოსოფიის, ქართული ფილოსოფიის ისტორიის, კულტურის ფილოსოფიისა და რენესანსის პრობლემებზე.

მის ნაშრომებში გამოკვლეულია არეოპაგიტიკის ფილოსოფიური წყაროები და ძირითადი პრობლემები, არეოპაგიტიკის გაელენები და არეოპაგიტული მისტიციზმის ფილოსოფიური ხასიათი. მისი აზრით, მისტიციზმის საფუძველი არ არის პირველმიზეზის (ღმერთის) ის უარყოფითი დახასიათება, რომელიც უპირისპირდება დადებითს. კატაფატიკა და აპოფატიკა პირველ რიგში ცოდნის მეთოდებია, მისტიციზმზე გადასვლა იწყება მას შემდეგ, როდესაც აღმოჩნდება, რომ ცოდნის მეთოდები უძლურია პირველსაწყისის წვდომისთვის. არეოპაგიტიკაში მისტიციზმის საფუძველია აბსოლუტური ნეგაცია.

მ. მახარაძე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ნეოპლატონიზმის მნიშვნელობას შუა საუკუნეების აზროვნებისა ზოგადად და, კერძოდ, ქართულ სააზროვნო ვითარებისათვის, რაც დასტურდება ბერძნული წყაროებით, კოლხეთის რიტორიკული სკოლითა და ამ პერიოდის ცნობილი სახელმწიფო მოღვაწის - ბაკურის ფილოსოფიური შეხედულებებით. ნეოპლატონიზმის გავლენა ქართულ ფილოსოფიურ აზროვნებაზე ქართული ნეოპლატონიზმის ჩამოყალიბებით დასრულდა. მ. მახარაძე ბოლო წლებში ნაყოფიერად მუშაობს პუბლიცისტიკაში, გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნიერო და პუბლიცისტური სტატია.

*თხზ.: „არეოპაგიტიკის ფილოსოფიური წყაროები“ (თბილისი, 1983); „არეოპაგიტიკის ფილოსოფიური პრობლემები“ (თბილისი, 1986); „წერილები ქართულ ფილოსოფიაზე“ (თბილისი, 1988); „Философское содержание ареопагитики“ (Тбилиси, 1991); „ძიებანი ქრისტიანული ფილოსოფიის ისტორიაში“ (თბილისი, 1999); „რენესანსი, ჰუმანიზმი და XI-XII საუკუნეების საქართველო“ (თბილისი, 2003).*

## მეგრელიძე

**კოტა - 1900-1944** - დაიბადა სოფელ ხრიალეთში (ოზურგეთის რაიონი); 1923 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 1924-1926 წლებში სწავლა განაგრძო გერმანიაში. 1927-1939 წლებში მოღვაწეობდა თბილისში, ხოლო 1939-1940 წლებში - ლენინგრადში.

კიტა მეგრელიძის ძირითადი ნაშრომია „აზროვნების სოციოლოგიის ძირითადი პრობლემები“, რომელიც გამოქვეყნდა 1965 წელს. ამ ნაშრომით კ. მეგრელიძემ საფუძველი ჩაუყარა აზროვნების სოციოლოგიის მნიშვნელოვან დარგს საქართველოში. მისი თვალსაზრისით, აზროვნების ბუნების წვდომა შეუძლებელია როგორც ემპირიზმისა და ნატურალისტური რედუქციონიზმის, ისე ცალმხრივი სოციოლოგიზმის დაძლევის გარეშე. აზროვნების სპეციფიკა მის სოციალურობაში ვლინდება. მხოლოდ სტრუქტურულ-ფუნქციური, მთლიანობითი მიდგომა გვაძლევს იმის საშუალებას, რომ აზროვნება გავიგოთ, როგორც თავისუფალი, შემოქმედებითი აქტივობა, საბოლოო ანგარიშით - ღირებულებათა, კულტურული მოღვაწეობის საწყისი.

კიტა მეგრელიძის გამოკვლევა კომპლექსურ-ინტეგრაციულ ხასიათს ატარებს, იგი ფართოდ იყენებს ფილოსოფიას, ფსიქოლოგიას, შედარებით ენათმეცნიერებას, ისტორიას, ეთნოგრაფიას და სხვა მეცნიერებათა მონაცემებს.

კ. მეგრელიძის მონოგრაფიულმა გამოკვლევამ მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა ღირებულებათა თეორიის, კულტურისა და ადამიანის ფილოსოფიური პრობლემების დამუშავება საქართველოში 70-იანი წლებიდან.

*თხზ.: „Проблемы социологии мышления“ (Тбилиси, 1965); „აზროვნების სოციალური ფენომენოლოგია“ (თბილისი, 1990).*

**მეიფარიანი**

**ვალერიან - 1926** - ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი (1968), პროფესორი (1970); დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის ასპირანტურა. მუშაობს ბუნებისმეცნიერების ფილოსოფიის პრობლემებზე. გამოქვეყნებული აქვს წიგნი „ვერნერ ჰაიზენბერგის ფილოსოფიური შეხედულებანი" (თბილისი, 1963). ამ წიგნში ვ. მეიფარიანი ცდილობს დაამტკიცოს, რომ თანამედროვე ფიზიკის მეცნიერული დაფუძნება შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ დიალექტიკური მატერიალიზმის პოზიციებიდან. კვანტური თეორიის კოპენჰაგენურ ინტერპრეტაციას, მისი აზრით, პოზიტივისტური ხასიათი აქვს და „ხელსაწყოს იდეალიზმს" წარმოადგენს. პოპულარულ წიგნში „მიზეზობრიობის პრობლემა ფიზიკაში და მისი ფილოსოფიური საფუძვლები" (თბილისი, 1970) ავტორი აწარმოებს მიზეზობრიობის პრობლემის ანალიზს თანამედროვე ფიზიკის, განსაკუთრებით, კვანტური მექანიკის შუქზე. ვ. მეიფარიანს გამოქვეყნებული აქვს მრავალი სტატია ფიზიკის ფილოსოფიურ პრობლემებზე.

*თხზ.: „ვერნერ ჰაიზენბერგის ფილოსოფიური შეხედულებანი" (თბილისი, 1963); „მიზეზობრიობის პრობლემა ფიზიკაში და მისი ფილოსოფიური საფუძვლები" (თბილისი, 1972).*

**ჭიხაბიშვილი**

**შოთა - 1921** - ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი (1966), პროფესორი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის დამსახურებული მუშაკი, დაიბადა ქ. სოხუმში. 1947 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი, ხოლო 1953 წელს - საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემია ქ. მოსკოვში, ხელმძღვანელობდა ფილოსოფიის კათედრას სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში (შემდგომში - აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი) პოლიტოლოგიის კათედრას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალში (თბილისში). იკვლევს სოციალური ფილოსოფიის, ქართული ფილოსოფიისა და დიალექტიკის კატეგორიებს. არის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რეგიონალური მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი.

*თხზ.: „Общественно-политические и философские взгляды Ильи Чавчавадзе" (Сухуми, 1957); „В. И. Ленин об общих и специфических закономерностях общественного развития" (Сухуми, 1960); „Диалектика единичного, особенного и общего в социальном развитии" (Сухуми, 1966); „Диалектика общего и особенного в социальном развитии" (Сухуми, 1971).*

## მიქელაძე

**ზურაბ - 1917-1993** - ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი (1985), პროფესორი (1987), დაიბადა ქუთაისში; 1939 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი ფილოსოფიის სპეციალობით და ჩაირიცხა ასპირანტურაში ლოგიკის სპეციალობით. 1946 წელს დაპატიმრეს ანტისაბჭოთა მოღვაწეობის ბრალდებით. 1956 წელს დაბრუნდა სამშობლოში და მუშაობა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის ლოგიკის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე. სხვადასხვა დროს მუშაობდა კიბერნეტიკის ინსტიტუტის ლოგიკის ლაბორატორიის ხელმძღვანელად, ხოლო 1975-1989 წლებში - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლოგიკის კათედრის გამგედ.

1978 წელს მიიწვიეს მოსკოვში არისტოტელეს „ორგანონის" რუსული თარგმანის რედაქტირებისა და კომენტირებისთვის.

1982 წლიდან გარდაცვალებამდე იყო სამეცნიერო თარგმანის სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე.

ზ. მიქელაძის სამეცნიერო ინტერესების სფერო იყო კვანტორების სემანტიკა, ლოგიკის ფილოსოფია და ისტორია, კერძოდ, არისტოტელეს მოძღვრების გააზრება სიმბოლური ლოგიკის შუქზე. ის სისტემატურად მონაწილეობდა ლოგიკოსთა საერთაშორისო კონგრესების, სიმპოზიუმების, აგრეთვე საკავშირო კონფერენციების მუშაობაში.

*თხზ.: „ლოგიკის ისტორია. პარალელური კონცეფციოგრაფიები", კონსპექტური კურსი, ნაწილი პირველი (თბილისი, 1992); „Основания логики Аристотеля" (Предисловие научного редактора и примечания). Аристотель, Сочинения, том 2 (Москва, 1978).*

**მშვენიერაძე**

**ვლადიმერ - 1926-1990** - ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი (1963), პროფესორი, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1984). იკვლევდა ფილოსოფიის ისტორიისა და პოლიტიკური ფილოსოფიის პრობლემებს. 1953 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი, 1957 წელს - საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის ასპირანტურა, 1959 წლიდან მოსკოვის ფილოსოფიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელია, შემდეგ - ამავე ინსტიტუტის პოლიტიკის ფილოსოფიის სექტორის გამგე, დირექტორის მოადგილე.

*თხზ.: „Философия неопозитивизма и семантика" (Москва,1961); „Основные течения современной буржуазной философии" (Киев, 1961); „Современное буржуазное политическое сознание. Философский аспект" (Москва, 1981); „Философия, политика, культура" (Москва,1982).*

**მშვიდობაძე**

**თენგიზ - 1931-1998** - ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი (1989), პროფესორი (1991), დაიბადა თბილისში, დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი, მუშაობდა დიალექტიკის, ეთიკისა და ესთეტიკის პრობლემებზე. თავის ნაშრომებში თ. მშვიდობაძე

ამტკიცებს დიალექტიკური მატერიალიზმის პრინციპების ერთიანობას, რომელიც ფილოსოფიური ცოდნის სისტემას ქმნის და ფილოსოფიური სისტემის სახით წარმოსდგება. ამ პრინციპების ერთიანობას კი ის გარემოება განაპირობებს, რომ თითოეული მათგანი ეთანხმება და მოითხოვს მეორეს. სხვაგვარად მეცნიერული სისტემის აგება შეუძლებელია. იგი იკვლევს დიალექტიკური მთელის ბუნებას და მის დამოკიდებულებას დიალექტიკურ მომენტთან, აჩვენებს თითოეული მათგანის სპეციფიკას. დიალექტიკური მატერიალიზმის პოზიციებიდან გამოკვლეულია ლოგიკურის ბუნება. ლოგიკური, თ. მშვიდობაძის აზრით, საზოგადოებრივი პრაქტიკით განსაზღვრული ასახვის საბოლოო შედეგია. მაგრამ ლოგიკურს უკუქმედების ფუნქცია გააჩნია, სახელდობრ, იგი გარკვეულწილად განსაზღვრავს საზოგადოებრივი განვითარების პროცესს. ამასთან დაკავშირებით განხილულია ლოგიკურისა და დიალექტიკურის ურთიერთობა, კრიტიკულად გაანალიზებულია არისტოტელეს, კანტის, ფიხტესა და ჰეგელის თვალსაზრისები. ნაჩვენებია ცნობიერების დიალექტიკური ბუნება, როგორც ობიექტური სინამდვილის იდეალური ასახვის ფორმა. ეთიკურისა და ესთეტიკურის ბუნებაც გაანალიზებულია დიალექტიკური მატერიალიზმის პოზიციებიდან, გარჩეულია ამ ფილოსოფიური დისციპლინების კატეგორიები.

თ. მშვიდობაძე ავტორია მრავალი მეცნიერული სტატიისა ფილოსოფიური პრობლემების შესახებ.

*თხზ.: „დიალექტიკური მთელი და მომენტი“ (თბილისი, 1974); „დიალექტიკური მატერიალიზმი, როგორც ფილოსოფიური სისტემა“ (თბილისი, ნაწ. I, 1983, ნაწ. II - 1986); „ლოგიკური დიალექტიკური მთელის ასპექტით“ (თბილისი, 1987); „ესთეტიკური“ (თბილისი, 1996); „ეთიკური“ (თბილისი, 1997); „ცნობიერება“ (თბილისი, 1997).*

**ნადიბაიძე**

**ფედო - 1925** - ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი (1983), პროფესორი (1986), საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1996), დაიბადა სოფელ ნადიბანში (დუშეთის რაიონი). 1942-1946 წლებში მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში. 1948-1953 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნიეერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე. ასპირანტურის კურსი გაიარა მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნიეერსიტეტში. 1997 წელს ფ. ნადიბაიძე ლექციებს კითხულობდა ქ. ნანტის უნიეერსიტეტში (საფრანგეთი).

სხვადასხვა წლებში მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნიეერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის განყოფილების გამგედ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტში. ხოლო 1985 წლიდან თბილისის ს.ს ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოსოფიის კათედრის გამგეა.

ფ. ნადიბაიძის მეცნიერული კვლევა-ძიების მთავარი სფეროებია ქართული ფილოსოფიის ისტორია და თეორიული ფილოსოფიის პრობლემები.

*თხზ.: „მახიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ისტორიიდან საქართველოში" (თბილისი, 1965); „ფილოსოფიური აზრის ძირითადი მიმდინარეობანი XX საუკუნის საქართველოში (1900-1921)" (თბილისი, 1980); „ალეთოლოგიური რეალიზმის პრინციპები" (თბილისი, 1981).*

ნაჭყებია

**გუგა - 1940** - იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი (1997), პროფესორი (1999), საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1999), დაიბადა სოფელ კურზუში (მარტვილის რაიონი). 1972 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, ხოლო 1975 წელს - ასპირანტურა სისხლის სამართლის სპეციალობით. 1976-1977 წლებში საქართველოს იუსტიციის მინისტრის თანაშემწეა. 1977 წლის აპრილიდან დღემდე მუშაობს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სისხლის სამართლისა და კრიმინოლოგიის კათედრაზე ჯერ დოცენტად, ხოლო შემდეგ - პროფესორად. 1998 წლიდან არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამეცნიერო და სადისერტაციო საბჭოების წევრი.

გამოქვეყნებული აქვს 45-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, რომელთა უმეტესობა სისხლის სამართლის ფილოსოფიისა და სისხლის სამართლის მეცნიერების მეთოდოლოგიურ პრობლემებს ეძღვნება.

*თხზ.: „სისხლის სამართლის საგანი“ (თბილისი, 1997); „სისხლის სამართლის მეცნიერების საგანი“ (თბილისი, 1978); „Психологизм и нормативизм в науке об уголовном праве“ (Тбилиси, 2000); „ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ზოგადი თეორიის შესავალი“ (თბილისი, 2000); „ბრალი, როგორც სოციალური ფილოსოფიის კატეგორია“ (თბილისი, 2001); „სისხლის სამართლებრივი ურთიერთობა და დანაშაულის ცნება.“ ლექციების კურსი (თბილისი, 2002).*

## ნაჭყებია

**ია ხ თ ნ - 1923-1979** - ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი (1969), პროფესორი, დაიბადა სოფელ ჯუმითში (ჩხოროწყუს რაიონი). სკოლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა სხვადასხვა კომკავშირულ და პარტიულ თანამდებობაზე. იყო მეორე მსოფლიო ომის მონაწილე. დემობილიზაციის შემდეგ სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე, რომელიც 1949 წელს დაამთავრა. 1950-1953 წლებში სწავლობდა მოსკოვის საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურაში, 1953-1958 წლებში მუშაობდა ფილოსოფიის კათედრის გამგედ თბილისის პარტიულ სკოლაში. გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო სტატიები და ერთი მონოგრაფია.

*თხზ.: „საზოგადოებრივი პროგრესის მარქსისტულ-ლენინური თეორია" (თბილისი, 1964).*

## ნიკოლაძე

**ნ ი კ ო - 1843-1928** - დაიბადა ქუთაისში; 1861-1864 წლებში სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტში. რუსეთში ყოფნის დროს დაუახლოვდა ნ. ჩერნიშევსკის, გაეცნო ბ. ბელინსკის, ნ. დობროლიუბოვისა და დ. პისარევის იდეებს, რამაც დიდი გავლენა იქონია მისი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე.

1864 წელს სწავლა განაგრძო პარიზის უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე. 1869 წელს დაამთავრა ციურიხის უნივერ-

სიტეტი; იქვე დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „განიარაღება და მისი ეკონომიკურ-სოციალური შედეგები“ და მიიღო სამართლის დოქტორის ხარისხი.

საზღვარგარეთ ნ. ნიკოლაძე თანამშრომლობდა ა. გერცენის ჟურნალ „კოლოკოლთან“, რაშიც დაბეჭდა წერილები საქართველოს შესახებ („გლეხთა განთავისუფლება საქართველოში“). 1869 წელს ლ. მეჩნიკოვთან ერთად გამოსცა რადიკალურ-სოციალისტური ჟურნალი „Современность“, რომელშიც ემხრობოდა ნ. ჩერნიშევსკისა და ნ. დობროლიუბოვის განმანათლებლურ-დემოკრატიულ თვალსაზრისს და აკრიტიკებდა ანარქისტებისა და ნაროდნიკების შეხედულებებს. ამავე ჟურნალში დაიბეჭდა „რუსული ემიგრაცია“, „ორი თაობა“, „ევროპის ცხოვრება“ და სხვა. ნიკო ნიკოლაძემ რუსულად გამოაქვეყნა ბროშურა „მთავრობა და ახალი თაობა“, რომელშიც ამხილა ცარიზმის რეაქციული პოლიტიკა, დაგმო ტერორისტული ტაქტიკა, დაასაბუთა სახალხო მოძრაობის უპირატესობა და ჩამოაყალიბა ახალი თაობის რადიკალურ-დემოკრატიული და უტოპიურ-სოციალისტური პროგრამა.

1870 წლიდან საქართველოში ბრუნდება და იწყებს აქტიურ პუბლიცისტურ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საქმიანობას: დაარსა ჟურნალი „კრებული“, რუსულენოვანი გაზეთები: „Обзор“ და „Новое обозрение“, რომლებშიც აქვეყნებდა წერილებს ფილოსოფიის, ესთეტიკის, პოლიტიკის, ეკონომიკის, ლიტერატურის თეორიისა და ისტორიის საკითხებზე, აშუქებდა დასავლეთ ევროპისა და რუსეთის მოწინავე ფილოსოფოსთა ნააზრევს.

1874 წელს ნიკო ნიკოლაძემ ფრანგულ ენაზე პარიზში გამოსცა წიგნი „დეკადენტური პრესა“, 1890 წელს - პოლემიკური სტატიების კრებული „საახალწლო“ და მოგვიანებით - ავტობიოგრაფიუ-

ლი მოგონებები „ნახული და გამოცდილი“, რომლებშიც ლუი ბლანთან პოლემიკის ფონზე საზოგადოებრივი ურთიერთობების გარდაქმნის რადიკალური აზრებია ჩამოყალიბებული.

ნ. ნიკოლაძე ევროპული მასშტაბის მოაზროვნეა, რომელიც საზღვარგარეთ ა. გერცენის, ნ. ოგარიოვის, ნ. ჩერნიშევსკის, ლ. მეჩნიკოვის, ლუი ბლანის გვერდით თანამშრომლობდა, როგორც პუბლიცისტი, თეორეტიკოსი, ხოლო საქართველოში ილია ჭავჭავაძესთან და აკაკი წერეთელთან ერთად სათავეში ედგა „თერგდალეულთა“ თაობას, როგორც XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში იდეური ცხოვრების წარმმართველ ძალას. ამ თაობამ ევროპისა და რუსეთის რევოლუციურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გავლენით ქართულ სინამდვილეში დასაბამი მისცა იმდროისათვის უაღრესად პროგრესულ-დემოკრატიულ მოვლენებს, ახალ სიმაღლეზე აიყვანა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეოლოგია, რამაც ხელი შეუწყო ქართველი ხალხის ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბებას.

ნ. ნიკოლაძის ფილოსოფიური შეხედულებები ბუნების, საზოგადოებისა და ცნობიერების განვითარების შესახებ მატერიალისტურია, საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნისათვის აუცილებლად მიაჩნდა ეკონომიკური რეფორმები; იყო საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოწყობის თვითმმართველობის მომხრე, იზიარებდა განმანათლებლურ პოზიციას ხალხის აღზრდის, განათლების, გონებრივი და ზნეობრივი განვითარების აუცილებლობის შესახებ, ემხრობოდა საზოგადოებრივი განვითარების ევოლუციურ თეორიას.

*თხზ.: „თხზულებანი“, ტ. 1-6 (თბილისი, 1960-1970).*

## ნუცუბიძე

**შალვა - 1888-1969** - ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი (1927), პროფესორი (1928), მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1961), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1944); დაიბადა სოფელ ფარცხანაყანებში (წყალტუბოს რაიონი). დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი (1910), სადაც აქტიურ მონაწილეობას იღებდა პროფესორების - ა.ი. ვედენსკის, ნ. ო. ლოსკისა და ი.ი. ლაპშინის სემინარებში. 1911-1914 წლებში ორჯერ იყო მიელინებული გერმანიაში, სადაც სრულყოფდა თავის ფილოსოფიურ ცოდნას იმდროისთვის ცნობილი გერმანელი ფილოსოფოსების - ვ. ვუნდტის, ი. ფოლკელტისა და კ. ბარტის ხელმძღვანელობით.

შ. ნუცუბიძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელთაგანია. სხვადასხვა დროს იყო დეკანი, პრორექტორი, ფუნდამენტური ბიბლიოთეკის დირექტორი. 1938-1939 წლებში პოლიტიკური მოტივებით რეპრესირებული იყო. 1946 წლიდან ფილოსოფიის ინსტიტუტშია. 1949 წელს კოსმოპოლიტობის ბრალდებით გაათავისუფლეს ფილოსოფიის ინსტიტუტიდან (დააბრუნეს 1954 წელს). 1953 წელს გარიცხეს მეცნიერებათა აკადემიიდან და უნივერსიტეტიდან (1960 წელს ყველა უფლებაში აღადგინეს).

შ. ნუცუბიძის მოღვაწეობის მთავარი სფეროებია: ალეთოლოგიური რეალიზმი, ქართული ფილოსოფიის ისტორია, რუსთველოლოგია და მთარგმნელობითი მოღვაწეობა.

შ. ნუცუბიძემ 1913 წელს გამოაქვეყნა საყურადღებო გამოკვლევა - „ბოლცანო და მეცნიერების თეორია", რომელშიც მო-

ცემული იყო ალეთოლოგიური რეალიზმის პრინციპები, რაც მან განავითარა და საკუთარი თეორიის სახით ჩამოაყალიბა წიგნებში: „ალეთოლოგიის საფუძვლები“, წიგნი I; ჭეშმარიტების პრობლემა“ (1920) და გერმანიაში გამოქვეყნებულ შრომებში: „Wahrheit und Erkenntnisstruktur“ (Berlin und Leipzig, 1926) და „Philosophie und Weisheit“ (Berlin und Königsberg“, 1931).

შ. ნუცუბიძის ალეთოლოგიის თეორია ბ. ბოლცანოს, ე. ჰუსერლისა და ე. ლასკის ანალოგიურ თეორიებს ემყარება, ამოდის ობიექტური ჭეშმარიტების („ჭეშმარიტება თავისთავად“) ცნებიდან, რომელიც შემეცნების შედეგად იქცევა „ჭეშმარიტებად ჩვენთვის“. მისგან განსხვავდება „ჩვენი ჭეშმარიტება“, რომელიც სუბიექტურია და შეცდომების შემცველია, არ წარმოადგენს „ჭეშმარიტება თავისთავადის“ ასახვას. „ჭეშმარიტება თავისთავადის“ ქვეშ შ. ნუცუბიძეს, ბოლცანოს მსგავსად, ესმის ონტოლოგიური ჭეშმარიტება, რომელიც არსის სახით არსებობს და მასში სუბიექტურობის არავითარი მომენტი არ არის.

შ. ნუცუბიძე ერთმანეთისგან განასხვავებს არსს (Sein) და ამგვარად არსს (Sosein); ეს უკანასკნელი კონკრეტული არსია და თავისი კონკრეტულობით არსზე მეტია (mehr). შემეცნების უშუალო ობიექტი არის ეს უკანასკნელი.

შ. ნუცუბიძე ერთმანეთისგან განასხვავებს სპეციალურ ადამიანურსა და სპეციფიკურ ადამიანურს. პირველი ადამიანთა მოდგმის საერთოდ დამახასიათებელი თვისებაა, მეორე კი ინდივიდუალური ხასიათისაა და, მაშასადამე, ობიექტურობის ნიშნებს მოკლებულია. შემეცნების თეორიას საქმე აქვს პირველთან და არა მეორესთან.

შ. ნუცუბიძის შემოქმედებაში უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია ქართული კულტურის პრობლემების კვლევა-ძიებას (ქართული

ფილოსოფია, ქართული რენესანსის საკითხები, რუსთველოლოგია, მთარგმნელობითი მოღვაწეობა).

შ. ნუცუბიძე აღმოსავლური რენესანსის თეორიის ავტორია, რომლის ბირთვსაც ქართული რენესანსის კონცეფცია შეადგენს. მისმა აღმოსავლური რენესანსის თეორიამ, ფსევდო-დიონისე არეოპაგელისა და პეტრე იბერის იდენტობის კონცეფციამ, რომლის თანახმადაც შუა საუკუნეების უმნიშვნელოვანესი რელიგიურ-ფილოსოფიური თხზულებების - ე.წ. არეოპაგიტული კორპუსის ნამდვილი ავტორია V საუკუნის ცნობილი საეკლესიო მოღვაწე პალესტინაში, ეპისკოპოსი პეტრე იბერი, - საყოველთაო აღიარება პოვა.

შ. ნუცუბიძემ შექმნა მეცნიერების ახალი დარგი - ქართული ფილოსოფიის ისტორია (ტ. I 1956, ტ. II, 1958), რუსულ ენაზე თარგმნა „ვეფხისტყაოსანი", შავთელისა და ჩახრუხაძის ნაწარმოებები.

*თხზ.: „შრომები", ტ. I-IX (1973-1983).*

**ორბელიანი**

**სულხან-საბა - 1658-1724** - დიდგვაროვანი და გავლენიანი ფეოდალის ოჯახში დაიბადა და აღიზარდა, დაახლოებული იყო სამეფო კართან, იყო ვახტანგ VI-ის აღმზრდელი. მიიღო სოლიდური მეცნიერული და ფილოსოფიური განათლება. ახალგაზრდობის ასაკიდან ხელი მოკიდა სამეცნიერო, სამწერლო და პოლიტიკურ საქმიანობას. 1698 წელს ბერად აღიკვეცა საბას სახელით, უფრო გვიან პოლიტიკური მოსაზრებებით მიიღო კათოლიკური აღმსარებლობა. 1713-1717 წლებში ვახტანგ VI-ის დავალებით დიპლომატიური მისიით ევროპაში (საფრანგეთი, იტალია) იმოგზაურა, სადაც შეხვდა საფრანგეთის მეფეს ლუი XIV-ს და რომის პაპს კლიმენტი XI-ს. დიპლომატიური მისია, სამწუხაროდ, უშედეგოდ დამთავრდა. 1724 წელს იგი ვახტანგ VI-ის დავალებით მოსკოვს გაემგზავრა, სადაც იგი გარდაიცვალა. დაკრძალულია ვსესვიატსკოეში.

სულხან-საბა ორბელიანი იყო თავისი დროის დიდი განმანათლებელი, მეცნიერი, ფილოსოფიური მოაზროვნე, პოეტი, მთარგმნელი და კომენტატორი. მისი ფილოსოფიური იდეები გადმოცემულია მონუმენტურ ნაშრომში „ქართული ლექსიკონი", რომელსაც ვახტანგ VI-მ „სიტყვის კონა" უწოდა. ამ თხზულებაში წარმოდგენილია ფილოსოფიური იდეებიც. ამა თუ იმ სიტყვის განმარტებისას სულხან-საბა ამოდის გარკვეული ფილოსოფიური კონცეფციიდან. ეს განმარტებანი აღებულია სხვადასხვა ავტორთაგან (არისტოტელე, პორფირი, პროკლე, ნემესიოს ემესელი, იოანე დამასკელი, პეტრიწი და სხვა), რომელთაგან იგი ირჩევს ისეთს, რომელიც მისთვის მისაღებია („რომელმან დამაჯერა, ის დავწერეო"). ამდენად, ლექსიკონში წარმოდგენილი ფილოსოფიური

იდეები სულხან-საბა ორბელიანის ფილოსოფიურ მსოფლმხედველობად უნდა ჩაითვალოს.

სამყარო, ადამიანის სხეულის ჩათვლით, სულხან-საბა ორბელიანის აზრით, ოთხი ელემენტისაგან (ცეცხლი, წყალი, მიწა, ჰაერი) შედგება. ეს ელემენტები კი შექმნილია ღმერთის მიერ. ამით სულხან-საბა ორბელიანმა მოხსნა ტრადიციული დუალიზმი მატერიალურსა და იდეალურს შორის იდეალურის სასარგებლოდ. ციური სხეულები ეთერისაგან კი არ შედგება, არამედ ოთხი ელემენტისაგან; ეთერი მოიცავს ჰაერს, ჰაერი კი - დედამიწას. ფიზიკური სხეულების მთავარი ნიშანია განფენილობა. აბსოლუტურად ცარიელი სივრცე არსებობს, რომელიც მატერიალური არ არის. ასეთია, მაგალითად, ცა, რომელიც მთელ მატერიალურ სამყაროს მოიცავს, თვითონ კი სასუფეველში შედის, „სადა არს სამყოფელი ანგელოზთა და წმინდათა".

ბუნებაში არსებობს აუცილებლობაც და შემთხვევითობაც. აუცილებელს სულხან-საბა უწოდებს იმას, რაც „თავით თვისით მყოფი არს", ხოლო შემთხვევითი—„ვერ შემძლებელ თვით თვისით ყოფისაჲ". ეს ნიშნავს, რომ შემთხვევითის არსებობას სხვა განპირობებს და, მაშასადამე, რელატიურია. აუცილებლობისა და შემთხვევითობის აღნიშნული გაგება არისტოტელედან მომდინარეობს.

შემეცნება, სულხან-საბა ორბელიანის აზრით, შეგრძნებებით იწყება. ადამიანის სული გრძნობათა ორგანოების საშუალებით უკავშირდება გარე სამყაროს. შემეცნების მთავარ წყაროდ მიჩნეულია გონება, რომელიც არის „ხედვა უხორცო და დაუშრომელი მომველელი ყოვლისა". გონება აზროვნების უნარს წარმოადგენს.

ეთიკური და პედაგოგიური თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს სულხან-საბა ორბელიანის თხზულებას „წიგნი სიბრძნე

სიცრუისა". აქ იგი მხატვრულ ფორმებში აკრიტიკებს ადამიანის მანკიერ თვისებებს: სიცრუეს, მლიქვნელობას, სიზარმაცეს, სიხარბეს, შურს და სხვა. ამავე დროს ქადაგებს კაცთმოყვარეობას, ჰუმანიზმს, მეგობრობას. სულხან-საბა ორბელიანი არ ერიდება თვით სამეფო კარის კრიტიკას, იგავ-არაკების ფორმით დაუნდობლად ამხელს მის უარყოფით მხარეებს, იცავს აღზრდის დემოკრატიულ პრინციპებს, ფიზიკური და გონებრივი შრომის შეხამებას, ქადაგებს სწავლა-აღზრდის დიდ მნიშვნელობას ადამიანის ჩამოყალიბების პროცესში. იგივე იდეები გატარებულია მის სხვა თხზულებებშიც („სამოთხის კარი", ქადაგებათა კრებული „სწავლანი" და სხვა). თავისი მსოფლმხედველობითა და საზოგადოებრივი მოღვაწეობით სულხან-საბა ორბელიანი თავისი ეპოქის დიდი განმანათლებელი, ბრძენი მოძღვარი და უდიდესი პატრიოტია.

*თხზ.: „თხზულებანი", ტ. 1 (თბილისი, 1959); ტ. 2 (თბილისი, 1962); ტ. 3 (თბილისი, 1963); ტ. 4 (თბილისი, 1965).*

## პეტრე

**იბერი - 411-491** - ქართველი უფლისწული, ერისკაცობაში მურვანი, უფრო ცნობილია პეტრე იბერის, ანუ პეტრე ქართველის სახელით. დაიბადა ქართლის მეფის ბუზმარის ოჯახში. დედის ხაზით იყო მეფე ბაკურის შვილიშვილი. პოლიტიკური ვითარების გამო 12 წლის მურვანი მძევლად გაგზავნეს კონსტანტინოპოლში, კეისარ თეოდოსიუს II-ის კარზე. ბიზანტიაში მას გააყოლეს ამალა (50 კაცამდე), რომელთა შორის იყო მისი მასწავლებელი და სულიერი მოძღვარი იოანე ლაზი (ერისკაცობაში მითრიდატე). სირიულ წყაროებში მურვანს მოიხსენიებენ ნაბარნუგისის სახელით.

ბიზანტიის კეისრის კარზე პეტრემ საფუძვლიანი განათლება მიიღო. მისი ბიოგრაფები განსაკუთრებით აღნიშნავენ პეტრეს დიდ უნარზე ბერძნული ენის შესწავლასა და ფილოსოფიური სიბრძნის დაუფლებაში. კეისრის კარზე პეტრეს მიმართ დიდ ყურადღებას იჩენდნენ დედოფალი ევდოკია და კეისრის და - პულქერია.

ბიზანტიაში პეტრემ დიდ წარმატებას მიაღწია; გახდა მეფის კავალერიის უფროსი. ამის მიუხედავად, მან მიატოვა სასახლის კარი და იოანე ლაზთან ერთად პალესტინაში წავიდა, სადაც ბერად აღიკვეცა და სახელად დაირქვა პეტრე. პეტრეს ეს ნაბიჯი. როგორც მისი ბიოგრაფები აღნიშნავენ, გამოწვეული იყო „სულიერი სიმშვიდისა" და „მეცნიერული ჭვრეტისადმი" მიდრეკილებით.

პალესტინაში პეტრე იბერმა დიდი სახელი მოიხვეჭა, გახდა მაიუმის ეპისკოპოსი და სახელი გაითქვა ეკლესია-მონასტრებისა და სასტუმროების მშენებლობით. ამ კუთხით მნიშვნელოვანი იყო მის მიერ იერუსალიმში აშენებული ეკლესია, რომელიც სამშობლოსთან

პეტრე იბერის სულიერი სიახლოვისა და კავშირის ნიმუშია. ეკლესია და მისი შემოგარენი გამართული იყო ქართული ხუროთმოძღვნების პრინციპებით, ინტერიერში წარწერებით მოხსენიებულნი იყვნენ მამა - ბუზმარი (ვარაზ-ბაქარი), პაპა - ბაკური, საკუთრივ თვითონ მოხსენიებულია თაედაპირველი სახელით - მურვანოსი.

ქართული ფილოსოფიისთვის პეტრე იბერის პიროვნება განსაკუთრებით მას შემდეგ გახდა საყურადღებო, როცა ნუცუბიძე-ჰონიგმანის თეორიის მიერ, მისი სახელი გაიგივებულ იქნა შუა საუკუნეების უმნიშვნელოვანესი რელიგიურ-ფილოსოფიური შრომების - არეოპაგიტული თხზულებების ბერძნული ტექსტის - ფსევდო-დიონისე არეოპაგელის სახელთან. ამ თეორიას ჰყავს მომხრეებიც და მოწინააღმდეგეებიც, თუმცა მის საწინააღმდეგოდ საფუძვლიანი თვალსაზრისი დღემდე არ არსებობს.

პეტრე იბერის სახელით ცნობილი ნაშრომები შემორჩენილი არ არის. მისი ბიოგრაფიული მონაცემებიდან ირკვევა სიახლოვე არეოპაგიტიკის მთავარ მსოფლმხედველობრივ პრინციპებთან. ესაა თეოზისის (ადამიანის გაღმერთების) იდეა, სიკეთის მონიზმისა და ბოროტების უარსობის (არასუბსტანციურობის) საკითხი, ზეციურ ძალთა იერარქიის (განლაგების) მოდელების მსგავსება არეოპაგიტიკასა და პეტრეს „ცხოვრებაში“ აღწერილ იოანე ლაზის ზმანებას შორის და სხვა.

საკამათოა პეტრე იბერის იდეოლოგიური მრწამსის საკითხი. ტრადიცია მას მონოფიზიტად მოიხსენიებს, რაც, როგორც ჩანს, ქართული ეკლესიის წმინდანთა დასიდან მისი ამოღების (XVIII ს.) მიზეზი გახდა. ბოლო დროის გამოკვლევებში გამოითქვა სარწმუნო მოსაზრება პეტრე იბერის დიოფიზიტობაზე. ეჭვს გარეშეა ერთი გარემოება: პეტრე იბერი ქრისტიანული ეკლესიის უდიდესი

რელიგიური ავტორიტეტი და ქართული კულტურის უმნიშვნელოვანესი წარმომადგენელია.

*თხზ.: პეტრე იბერი (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი), „შრომები" (თბილისი, 1961).*

**ბობიაშვილი**

**ავთანდილ - 1944-1998** - ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი (1989), დაიბადა სოფელ გამარჯვებაში (დედოფლისწყაროს რაიონი). 1970 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტი ფილოსოფიის სპეციალობით და იმავე წელს ჩაირიცხა ფილოსოფიის ინსტიტუტის ასპირანტურაში. 1973 წლიდან მუშაობდა ფილოსოფიის ინსტიტუტში.

ა. პოპიაშვილის კვლევა-ძიების მთავარი სფერო იყო გერმანული კლასიკური ფილოსოფია.

1991-1992 წლებში ა. პოპიაშვილი იყო საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატი. იგი ეროვნული პრობლემატიკისა და პოლიტიკის თემებისადმი მიძღვნილი მრავალრიცხოვანი სტატიისა და პუბლიცისტური წერილის ავტორია. მის მშობლიურ სკოლას სოფელ გამარჯვებაში 1998 წლის 1 სექტემბრიდან ეწოდა ა. პოპიაშვილის სახელი.

*თხზ.: „ი.გ. ფიხტეს ეთიკური იდეალიზმის მარქსისტული კრიტიკისათვის" (თბილისი, 1976); „ინდივიდის პრობლემა ს. კირკეგორისა და ფრ. ნიცშეს ფილოსოფიაში" (თბილისი, 1988).*

## ზამბუქელი

**ბუზამ - 1932-1998** - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1970), პროფესორი (1973), საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1995), ევროპის ლინგვისტთა საერთაშორისო საზოგადოების წევრი, დაიბადა თბილისში, დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი (1955). 1970 წელს ქ. იენის (გერმანია) ფრ. შილერის სახელობის უნივერსიტეტში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. მისი მეცნიერული კვლევის მთავარი მიმართულება იყო ენის ფილოსოფია, ჰუმბოლდტოლოგია, სემანტიკის თეორია. გამოქვეყნებული აქვს მრავალი ნაშრომი, მათ შორის ოთხი წიგნი. მისი რედაქციით, წინასიტყვაობითა და კომენტარებით დაიბეჭდა ვ. ფონ ჰუმბოლდტის თხზულების რუსული თარგმანი. ჰუმბოლდტოლოგიის დარგში განსაკუთრებული დამსახურებისათვის დაჯილდოებული იყო ძმები გრიმების სახელობის გერმანიის სახელმწიფო პრემიით (1989).

*თხზ.: „ენის ენერგეისტული თეორიის საკითხები“ (თბილისი, 1978); „Einheit der Vielfalt (Grundfragen der Spachtheorie im Geiste Wilhelm von Humbolts“ (Bonn, Dummlers Verlag. 1988, 1989); „ენათა შინაარსობრივი სხვაობა ენათმეცნიერებისა და კულტურის თეორიის თვალსაზრისით“ (თბილისი. 1995); „შესავალი ენის ანთროპოლოგიაში - ფერდინანდ დე სოსიური“ (თბილისი, 1996). „დედაენის თეორია“ (თბილისი, 2002).*

**ზამბეილი**

**ალერი - 1956** - ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი (1999), პროფესორი, საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფია-სოციოლოგიის ფაკულტეტის დეკანი. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტი ფილოსოფიის სპეციალობით (1980), ასპირანტურა (1983). მუშაობს ფილოსოფიური ანთროპოლოგიის, თეორიული ფილოსოფიის, ჰერმენევტიკისა და სოციოლოგიის პრობლემებზე, იკვლევს აგრეთვე ეგზისტენციალიზმისა და ფენომენოლოგიის პრობლემებს. გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო სტატიები ფილოსოფიის ზემოხსენებულ დარგებში, არის ავტორი წიგნისა „ადამიანის ხვედრი (დროის მეტაფიზიკა)".

*თხზ.: „ადამიანის ხვედრი (დროის მეტაფიზიკა)" (თბილისი, 2000).*

**რეხვიაშვილი**

**ტარიელ - 1937** - ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი (1992), პროფესორი (1993), დაიბადა სოფელ ჭიორაში (ონის რაიონი). 1968 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი. ამავე წლიდან მუშაობს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფილოსოფიის კათედრაზე.

ტ. რეხვიაშვილის სამეცნიერო კვლევის ძირითადი ობიექტია სუბიექტის არაცნობიერი და ცნობიერი, მიზანშეწონილი და მიზან-

დასახული აქტიურობის პრობლემა. დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორიის საფუძველზე იგი აწარმოებს რაციონალისტური და ირაციონალისტური შეხედულებების ფილოსოფიურ ანალიზს, სუბიექტის გააზრებულ აქტიურობას განიხილავს ინტუიციასა და განწყობასთან მიმართებაში. სუბიექტის აქტიურობის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს სიცოცხლის საზრისის გარკვევა, ღირებულებათა წედმა და თავისუფალი მოქმედება, სადაც, აზროვნებასთან ერთად, მნიშვნელოვან როლს ასრულებს განწყობა და ინტუიცია.

ტ. რეხვიაშვილის კალამს ეკუთვნის მრავალი სამეცნიერო სტატია, აგრეთვე წიგნი. იგი თანააავტორია ფილოსოფიის სახელმძღვანელოსი, რომელიც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფილოსოფიის კათედრამ ორგზის გამოსცა.

*თხზ.: „განწყობის, ინტუიციისა და აზროვნების როლი სუბიექტის აქტიურობაში" (თბილისი, 1991); „ფილოსოფიის შესავალი" (თბილისი, 1999).*

## რუსთაველი

**შოთა** - XII-XIII - დიდი ქართველი პოეტი და მოაზროვნე, ჰუმანისტი, რომლის სახელი მსოფლიოს ყველა დროის გენიალურ შემოქმედთა გვერდით მოიხსენება. მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ცნობები შემორჩენილი არ არის. ვარაუდობენ, რომ იგი ისტორიული მესხეთის დასახლებული პუნქტიდან - რუსთავიდან იყო და თამარ მეფის კარის დიდი მოხელე (მეჭურჭლეთუხუცესი) უნდა ყოფილიყო. არის მო-

საზრება, რომ რუსთაველი, უკვე ასაკში შესული, იერუსალიმს გაემგზავრა, ჯვრის მონასტერში ბერად აღიკვეცა, იქვე აღესრულა და ამავე მონასტერშია დაკრძალული. ჯვრის მონასტრის ერთ-ერთ სვეტზე შემონახულია ფრესკა რუსთაველის პორტრეტითა და წარწერით (მე-13 ს. I ნახევარი).

რუსთაველის შემოქმედებით, კერძოდ, მისი პოემით – „ვეფხისტყაოსნით" დაგვირგვინდა ის კულტურული მოძრაობა საქართველოში, რომელიც მეცნიერებაში ცნობილია ქართული რენესანსის სახელწოდებით.

რუსთაველის გენიალობა გამჟღავნებულია არა მარტო პოეზიაში, არამედ ფილოსოფიაშიც. იგი უპირველესად მხატვრული სიტყვის ოსტატია, მაგრამ მის შემოქმედებაში ფილოსოფიურ მსოფლმხედველობას, ფილოსოფიურ იდეებს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ფილოსოფიაში რუსთაველი ნეოპლატონიზმის მიმდევარია, რაც დამაჯერებლად აჩვენა ნიკო მარმა. შალვა ნუცუბიძემ კი დაასაბუთა, რომ რუსთაველი უშუალოდ მიჰყვება ნეოპლატონიზმის ქრისტიანულ რედაქციას – არეოპაგიტულ მოძღვრებას. „ვეფხისტყაოსანში" არის პირდაპირი მითითებები „ბრძენ დიუნოსზე" (ფსევდოდიონისე არეოპაგელზე), რომელიც სიკეთის აბსოლუტურობასა და ბოროტების არასუბსტანციურობას ქადაგებდა.

რუსთაველის მსოფლმხედველობის მთავარი ნიშანი ჰუმანიზმია, რომლის ძირითადი იდეაა ამქვეყნიურის ღირებულებად აღიარება; ამასთან დაკავშირებულია ადამიანის ახლებური გაგება, კერძოდ, სხეულებრივში ღვთაებრივის დანახვის შესაძლებლობა.

„ვეფხისტყაოსანს" თავიდან ბოლომდე გასდევს სიკეთის აბსოლუტურობის პრინციპი, ბოროტებაზე მისი უცილებელი გამარჯვების, ძლევის ტენდენცია, რაც ასევე არეოპაგიტული-ქრისტ-

იანული ნეოპლატონიზმის ღრმა ფილოსოფიური აზრების მხატვრული ხერხებით წარმოჩენით ხორციელდება.

„ვეფხისტყაოსანში" ნათლად წარმოჩენილია ადამიანის ღირებულებანი: თავისუფლება, თანასწორობა, ურთიერთთანადგომა და ა.შ. პოემა ფილოსოფიური პოეზიის უბრწყინვალესი ნიმუშია.

*თხზ.: „ვეფხისტყაოსანი" (საიუბილეო გამოცემა, თბილისი, 1966),*

**ზუსია**

**გიორგი - 1916-2001** - ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი (1983), პროფესორი, დაიბადა სოფელ ქოლობანში (აბაშის რაიონი). 1938 წელს შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე. 1941-1944 წლებში იყო გაწვეული ომში. დემობილიზაციის შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელიც 1945 წელს დაამთავრა. 1947-1950 წლებში სწავლობდა ამავე უნივერსიტეტის ასპირანტურაში ლოგიკის სპეციალობით. სხვადასხვა დროს მუშაობდა თბილისის თეატრალურ ინსტიტუტში, ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის პედაგოგიურ ინსტიტუტში, ცხინვალის პედაგოგიურ ინსტიტუტში, ხოლო 1961 წლიდან – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომელია.

გ. რუსიას მეცნიერული კვლევის სფეროში შედიოდა ლოგიკისა და სოციალური ფილოსოფიის საკითხები.

*თხზ.: „სოლომონ დოდაშვილის ლოგიკა" (თბილისი, 1962); „თავისუფლება და პიროვნება" (თბილისი, 1979).*

**ხანაია**

**კონსტანტინე** - **1923-1996** - ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი (1972), დაიბადა სენაკში, დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი, მუშაობდა კლასიკური ლოგიკისა და მეცნიერების მეთოდოლოგიის პრობლემებზე. მის ნაშრომებში გამოკვლეულია ფორმალური ლოგიკისა და მეცნიერული შემეცნების საფუძვლები. იგი აყალიბებს ცნების ორიგინალურ განსაზღვრებას, რომელსაც შემეცნების თეორიასთან აკავშირებს, იკვლევს დედუქციური დასკვნის ბუნებას თანამედროვე მოძღვრებების შუქზე. კ. სანაიამ საქართველოში ერთ-ერთმა პირველმა დაიწყო სისტემური კვლევის მეთოდის ფილოსოფიური ასპექტების შესწავლა, ასევე მეცნიერული შემეცნების ლოგიკის აქტუალური პრობლემების კვლევა. მისი მეცნიერული გამოკვლევები ხასიათდება განსაკუთრებული სიზუსტითა და კონკრეტულობით.

*თხზ.: „რა არის მეცნიერული შემეცნების ლოგიკა" (თბილისი, 1979); „Понятие как форма отражения" (Тбилиси, 1977); „რა არის სისტემური კვლევა?" (თბილისი, 1981); „Дедуктивные умозаключения и процесс познания" (Тбилиси, 1989).*

**ხარჯაკელაძე**

**ნოდარ** - **1945** - ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1988), პროფესორი, საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ადამიანის რესურსების განვითარების ფონდის თავმჯდომარე. დაიბადა ბათუმში. 1968 წელს

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფია-ფსიქოლოგიის ფაკულტეტი. 1968-1971 წლებში იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის ასპირანტი.

მეცნიერული კვლევის მიმართულებებია: პიროვნების ფსიქოლოგია, სოციალური ფსიქოლოგია, ფსიქოთერაპია, ფსიქოლოგიის ფილოსოფიური პრობლემები.

*თხზ.: „Личность и социальное взаимодействие" (Тбилиси, 1989); „ტრავმა და ფსიქოლოგიური სამსახური" (თანაავტორობით, „ადამიანის რესურსების განვითარების ფონდი", 1999); „Trauma and Psychological Assistance" (Norwegian Refugee Council, Tbilisi - Baku, 2001).*

## ხიგუა

**ვაჩლავ - 1914-1979** - დაიბადა აბაშის რაიონში. 1937 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი. 1939-1941 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურაში ფილოსოფიის სპეციალობით. 1941-1944 წლებში მსახურობდა წითელ არმიაში. 1946-1948 წლებში სწავლობდა მოსკოვის საკავშირო საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურაში. 1948 წელს იქვე დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და მოიპოვა ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. 1948-1952 წლებში მუშაობდა საქართველოს კომპარტიის თბილი-

სის საქალაქო კომიტეტის განყოფილების გამგის მოადგილედ. 1952-1967 წლებში იყო თბილისის ზოოვეტერინარული ინსტიტუტის მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრის გამგე. 1967 წლიდან გარდაცვალებამდე იყო ამავე ინსტიტუტის ფილოსოფიისა და მეცნიერული კომუნიზმის კათედრის გამგე. 1973 წელს აირჩიეს კათედრის პროფესორად. გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო სტატიები მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის დარგში.

## სტალინი (ჯუღაშვილი)

**იოსებ - 1879-1953** - XX საუკუნის საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის აღიარებული ლიდერი, მარქსისტული ფილოსოფიის მიმდევარი, პროპაგანდისტი და მკვლევარი, მრავალი ფილოსოფიური, სოციოლოგიური და ეკონომიკური ნაშრომის ავტორი, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, გენერალისიმუსი; დაიბადა ქ. გორში ღარიბი მუშის ოჯახში. დაამთავრა გორის სასულიერო სასწავლებელი, შემდეგ სწავლობდა თბილისის სასულიერო სემინარიაში, საიდანაც გაირიცხა რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობის გამო; გახდა პროფესიონალ-რევოლუციონერი. 1917 წლის ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ეკავა საბჭოთა კავშირში უმაღლესი პარტიული, სახელმწიფოებრივი და სამხედრო თანამდებობები. დაკრძალულია მოსკოვში, წითელ მოედანზე კრემლის კედელთან.

ფილოსოფიისა და სოციოლოგიის დარგში ი. სტალინმა განავითარა მარქსიზმის თეორია, ამ კუთხით გამოიკვლია მარქსისტუ-

ლი კონცეფცია ერის, ენისა და სხვა საკითხების შესახებ. მისი ნაწარმოებები თარგმნილია მსოფლიოს თითქმის ყველა ძირითად ენაზე.

*თხზ.: ტ. 1-13; „მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები" (თბილისი, 1951); „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები საბჭოთა კავშირში" (თბილისი, 1952); „დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შესახებ" („ლენინიზმის საკითხები;" XI გამოცემა, თბილისი, 1952).*

## სტამბოლიშვილი

**მიხეილ - 1904-1970** - ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი (1968), პროფესორი, დაიბადა სოფელ ლელვაში (ქობულეთის რაიონი). აჭარის პედაგოგიური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ (1928), 1931 წლიდან სწავლას აგრძელებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ-ეკონომიკურ ფაკულტეტზე ფილოსოფიის სპეციალობით. მომდევნო წლიდან სასწავლებლად გაიგზავნა მოსკოვში ფილოსოფიის, ისტორიისა და ლიტერატურის ინსტიტუტის ფილოსოფიის ფაკულტეტის მეორე კურსზე. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ (1936) ბრუნდება ბათუმში და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სამასწავლებლო ინსტიტუტის დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის მასწავლებლად იწყებს მუშაობას, სადაც 1938 წლიდან კათედრის გამგეა, პარალელურად - სამასწავლებლო ინსტიტუტის დირექტორი.

მ. სტამბოლიშვილის მეცნიერული კვლევა-ძიების მთავარ სფეროს შეადგენდა საზოგადოების განვითარების კანონზომიერება, საწარმოო ძალებისა და წარმოებითი ურთიერთობების მიმართებანი, შესაძლებლობისა და სინამდვილის კატეგორიები.

*თხზ.: „საწარმოო ძალებისა და წარმოებით ურთიერთობათა განვითარების დიალექტიკა სოციალისტურ საზოგადოებაში“ (თბილისი, 1962).*

## ტაბიძე

**თამაზ - 1925-1986** - ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი (1972), პროფესორი, დაიბადა სოფელ ივანდიდში (ხონის რაიონი). 1947 წელს დაამთავრა ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. 1948 წელს ჩაირიცხა ასპირანტურაში, რომლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ამავე ინსტიტუტის ფსიქოლოგიის კათედრაზე, ხოლო შემდეგ გორისა და თელავის პედაგოგიურ ინსტიტუტებში. 1956-1962 წლებში იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის სწავლული მდივანი, ხოლო 1962 წლიდან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტშია. 1982 წლიდან ამავე ინსტიტუტის ფილოსოფიური ანთროპოლოგიის განყოფილების გამგეა.

ო. ტაბიძე იკვლევდა ფილოსოფიური ანთროპოლოგიის პრობლემებს. მისი აზრით, ადამიანის შინასამყაროს მაღალი ფენა არის განვითარების ახალი დონე და თავის შემადგენლობაში მოხსნილი სახით შეიცავს დაბალს, რის გამოც აზრს კარგავს „მაღალისა" და „დაბალის" დაპირისპირება. სუბიექტის არსს ქმნის არა თავისთავადი ობიექტური ღირებულებანი, არამედ მათი გარდაქმნა სუბიექტურ მოთხოვნილებებად, ქცევის მოტივად, ადამიანის შემოქმედებაც ობიექტური ღირებულებების აღმოჩენას უკავშირდება.

*თხზ.: „ქცევათმეცნიერების ფილოსოფიური საკითხები" (თბილისი, 1974); „შემოქმედების არსი" (თბილისი, 1980); „ადამიანი – სინამდვილე და ოცნება" (თბილისი. 1986); „ადამიანი, თავისუფლება. შემოქმედება" (თბილისი, 1991); „საჭადრაკო ფილოსოფია" (თბილისი, 1998).*

## ტყემალაძე

**ანზორ - 1936-1999** - ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი (1985), პროფესორი (1986), საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1995), დაიბადა სოფელ მუხუროთუბანში (ჭიათურის რაიონი). 1953 წელს დაამთავრა ამავე რაიონის სოფელ ზემო ზოდის საშუალო სკოლა, 1963 წელს - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი, 1966 წელს კი - ასპირანტურა ესთეტიკის სპეციალობით.

ა. ტყემალაძე 1966 წლიდან მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ესთეტიკის კათედრაზე, იყო კათედრის დოცენტი, პროფესორი, 1989-1999 წლებში - ამავე კათედრის გამგე. მის სამეცნიერო-კვლევით ინტერესებში შედიოდა ესთეტიკის, კულტურის ფილოსოფიისა და აქსიოლოგიის პრობლემები. იგი არის სამი მონოგრაფიისა და 30-მდე სამეცნიერო სტატიის ავტორი. ეწეოდა ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას.

*თხზ.: „ესთეტიკური მსჯელობის შესახებ" (თბილისი, 1973); „Вопросы эстетического познания" (Тбилиси, 1983); „ესთეტიკა. ნაკეთი 1" (თბილისი, 2000).*

## უზნაძე

**დიმიტრი - 1886-1950** – გამოჩენილი ქართველი ფსიქოლოგი და ფილოსოფოსი, ქართული ფსიქოლოგიური სკოლის ფუძემდებელი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1941), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1941), დაიბადა სოფელ საქარაში (ზესტაფონის რაიონი). პირველდაწყებითი განათლება იქვე მიიღო. 1896 წელს სწავლა განაგრძო ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში, საიდანაც გაირიცხა 1905 წელს რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობისათვის. 19 წლის ახალგაზრდა შვეიცარიაში გაემგზავრა, საიდანაც სამი თვის შემდეგ გერმანიაში გადავიდა და ლაიფციგის უნივერსიტეტში, როგორც ფილოსოფიის ფაკულტეტის თავისუფალი მსმენელი, ვ. ვუნდტის ლექციებს ისმენდა. 1907 წელს იგი დროებით დაბრუნდა ქუთაისში სიმწიფის ატესტატზე გამოცდების ჩასაბარებლად და შემდეგ კვლავ განაგრძო სწავლა გერმანიაში. 1909 წელს მან წარმატებით დაასრულა ლაიფციგის უნივერსიტეტი და იმავე წელს ქ. ჰალეს უნივერსიტეტში დაიცვა დისერტაცია თემაზე: „ვლადიმერ სოლოვიოვი, მისი შემეცნების თეორია და მეტაფიზიკა“, რისთვისაც ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი მიენიჭა. იმავე წელს დ. უზნაძე ქუთაისში დაბრუნდა და ლოგიკა-ფსიქოლოგიის მასწავლებლად დაიწყო მუშაობა. იმის გამო, რომ ევროპული უნივერსიტეტის დიპლომი აღიარებული არ იყო რუსეთის კანონმდებლობით, დ. უზნაძე იძულებული გახდა 1910 წელს ექსტერნის წესით ჩარიცხულიყო ხარკოვის უნივერსიტეტში, სადაც მან 1913 წელს ისტორიულ-ფილოსოფიური ფაკულტეტი დაამთავრა პირველი ხარისხის დიპლომით.

დ. უზნაძე 1917 წლიდან თბილისში აგრძელებს მოღვაწეობას. 1918 წლისათვის, სხვა გამოჩენილ ქართველ მეცნიერებთან ერთად, დიდ როლს ასრულებს თბილისის უნივერსიტეტის დაარსებაში. იგი იყო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამფუძნებელი და აკადემიური კომისიის წევრი.

დ. უზნაძე საქართველოში ფსიქოლოგიისა და პედაგოგიკის დარგის პირველი პროფესორია. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად აირჩიეს მისი დაარსების პირველივე დღიდან (1941).

1941 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში პირველად საბჭოთა კავშირში შეიქმნა ფსიქოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელსაც დ. უზნაძე გარდაცვალებამდე ხელმძღვანელობდა. 1950 წელს, მისი გარდაცვალების შემდეგ, ინსტიტუტს ეწოდა დიმიტრი უზნაძის სახელი.

დ. უზნაძის მოღვაწეობის პირველი პერიოდი (1920 წლამდე) არსებითად ფილოსოფიური პრობლემების კვლევასთან არის დაკავშირებული, შემდეგ კი გაიკვლია გზა ფსიქოლოგიაში დიდი აღმოჩენისაკენ, განწყობის თეორიის შექმნისაკენ. 1910 წელს დაიბეჭდა დ. უზნაძის პირველი ფილოსოფიური წერილები „რა არის შემეცნების თეორია" და „ინდივიდუალობა და მისი გენეზისი", რომელშიც ახალგაზრდა მეცნიერი ილაშქრებს მახისტების ფენომენალიზმის, სუბიექტივიზმის წინააღმდეგ.

დ. უზნაძეს შემეცნების თეორიაში შემოაქვს არაცნობიერის ცნება მისი პოზიტიური ინტერპრეტაციით. მან განწყობის თეორიას გამოკვეთილი სახე მისცა ფუნდამენტურ გამოკვლევაში „ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის საფუძვლები" (1925). ამ ნაშრომში განწყობის ფენომენის ფსიქოლოგიურ დახასიათებას თან ახლავს

გარკვეული ფილოსოფიური ასპექტიც, ფსიქოლოგიის საგნის გარკვევისათვის ფსიქიკურისა და ფიზიკურის მიმართების საკითხი დგას.

თანდათან დაიხვეწა „განწყობის" ცნება, დაზუსტდა, გაღრმავდა, გარკვეულობა შეიძინა და ჩამოყალიბდა უზნაძისეული ფენომენი – „განწყობა". ეს ცნება უფრო დაზუსტებული და საბოლოო მეცნიერულ განსაზღვრებამდეა აყვანილი დ. უზნაძის შრომებში „ზოგადი ფსიქოლოგია" (1941) და „განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები" (1949).

განწყობის თეორიამ 1910 წლიდან 1949 წლამდე თავისი განვითარების გზა ისე გაიარა, რომ მისი სათავეები ფილოსოფიური იყო და ბოლომდე შეინარჩუნა ფილოსოფიური შინაარსი.

დ. უზნაძის განწყობის თეორიას ფართო რეზონანსი აქვს საზღვარგარეთის აღიარებულ მეცნიერთა ნაშრომებში. მისი შრომა – „განწყობის ფსიქოლოგიის საფუძვლები" – ინგლისურ ენაზე გამოიცა აშშ-ში (ნიუ-იორკი, 1966), ამ თეორიას იზიარებენ ან დიდ ანგარიშს უწევენ თავის კვლევით საქმიანობაში შვეიცარიის (პიაჟე), აშშ-ის (ო' კონორი), საფრანგეთის (შატო), კანადის (გრიცუკი), იაპონიის (სატო) და სხვა ქვეყნების მეცნიერები.

*თხზ.: „შრომები", ტ. I-IV, (თბილისი, 1956-1977); „ფილოსოფიური შრომები", ტ. I (თბილისი, 1984); ტ. II (თბილისი, 1986); „ანრი ბერგსონი" (თბილისი, 1920); „განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები" (თბილისი, 1949); „Экспериментальные основы психологии установки" (Тбилиси, 1961); „Die metaphysische Weltanschauung W. Solowiows (Halle/Saale, 1909); Bergsons Monismus. Archiv für Geschichte der Philosophie und Soziologie (Bd. 30, 1926).*

## ურიდია

**ბორის - 1922-1998** - ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი (1976), პროფესორი (1989), დაიბადა სოფელ ვედიდკარში (მარტვილის რაიონი); დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი, შემდეგ ასპირანტურა ლოგიკის სპეციალობით. ბორის ურიდია მუშაობდა ლოგიკის, დიალექტიკური მატერიალიზმისა და XX საუკუნის ქართული ფილოსოფიის ისტორიის საკითხებზე. გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნიერო სტატია, 14 მონოგრაფია, მათ შორის წიგნი შალვა ნუცუბიძის, სერგი დანელიას, მოსე გოგიბერიძის, კოტე ბაქრაძის ფილოსოფიური მემკვიდრეობის შესახებ.

*თხზ.: „შემეცნების თეორიის პრობლემები ქართულ ფილოსოფიაში" (თბილისი, 1975); „მატერიალისტური დიალექტიკის კატეგორიები" (თბილისი, 1977); „განსაზღვრების თეორიის პრობლემები" (თბილისი, 1979); „მეოცე საუკუნის ქართული ფილოსოფიის ისტორიიდან" (თბილისი, 1986); „ფილოსოფიის ისტორიის საგნის შესახებ" (ქუთაისი, 1998).*

## ფანცხავა

**ილია - 1906-1986** - ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი (1994), პროფესორი, დაიბადა ქ. ქუთაისში. 1928 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ-ეკონომიკური ფაკულტეტი და სწავლა განაგრძო ასპირანტურაში, მოსკოვში.

ი. ფანცხავას სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობა, დროის მცირე მონაკვეთის გამოკლებით, მოსკოვში მიმდინარეობდა. 1946 წლიდან იგი მოსკოვის საოლქო პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოსოფიის კათედრის გამგეა. 1959 წელს გადადის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში და ხელმძღვანელობს მის მიერ დაარსებულ ათეიზმის თეორიისა და ისტორიის კათედრას, 1974 წლიდან კი - ისტორიული მატერიალიზმის კათედრის გამგე იყო.

ი. ფანცხავას მეცნიერულ მოღვაწეობაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ქართული ფილოსოფიის ისტორიის საკითხებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი წვლილი იოანე პეტრიწის ფილოსოფიის შესწავლისა და პოპულარიზაციის საქმეში. მან რუსულად თარგმნა პეტრიწის ორიგინალური ნაშრომი - „კომენტარები პროკლეს ფილოსოფიაზე", რომელიც ორჯერ გამოიცა - პირველად 1941 წელს თბილისში, ხოლო მეორედ - მოსკოვში, 1984 წელს, ფილოსოფიური მემკვიდრეობის სერიის 91-ე ტომში. საკუთრივ პეტრიწის ცხოვრებასა და მოღვაწეობას ი. ფანცხავამ დამოუკიდებელი ნაშრომი მიუძღვნა (1982).

*თხზ.: „Элементы диалектики в грузинской философии XI-XII вв" (Тбилиси, 1937); „Переводы и предисловие И. Петрици*

*„Рассмотрение философии Платона и Прокла Диадоха“ (Тбилиси, 1941); „Диалектический материализм“ (Москва, 1958); „Основные вопросы научного атеизма“ (Москва, 1962); „Человек, его жизнь и бессмертие“ (Москва, 1978); „Петрици“ (Москва, 1982).*

## ფანჯიკიძე

**თეიმურაზ - 1939** - ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი (1993), პროფესორი (1995), საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1996), დაიბადა თბილისში. 1957 წელს დაამთავრა საშუალო სასწავლებელი და იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე, რომელიც 1962 წელს დაამთავრა. იმავე წელს სწავლა განაგრძო თბილისის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის ასპირანტურაში რელიგიისა და ათეიზმის სპეციალობით. 1996 წლიდან მუშაობს თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რელიგიათმცოდნეობისა და ეთიკის კათედრის გამგედ. მეცნიერულ კვლევაძიებას ეწევა რელიგიათმცოდნეობის პრობლემებზე. ამ დარგში გამოქვეყნებული აქვს ნაშრომები ქართულ, რუსულ და გერმანულ ენებზე.

*თხზ.: „მართლმადიდებლობის შემგუებლური ტენდენციები“ (თბილისი, 1965); „ადამიანი და რელიგია“ (თბილისი, 1968); „რელიგია და თანამედროვეობა“ (თბილისი, 1973); „წერილები რელიგიისა დ ათეიზმის შე-*

*სახებ" (თბილისი, 1976); „რელიგია, ათეიზმი, ახალგაზრდობა" (თბილისი, 1979); „ბიბლია გუშინ, დღეს...." (თბილისი, 1989); „რელიგიურ რწმენათა კვალდაკვალ" (თბილისი, 1986); „მუჰამედი, ისლამი, ვაჰაბიზმი და საქართველოს პრობლემები" (თბილისი, 1999); „რელიგიური პროცესები საქართველოში XX და XXI საუკუნის მიჯნაზე" (თბილისი, 2003).*

## ფურცელაძე

**ანტონ - 1839-1913** - დაიბადა სოფელ მერეთში (გორის რაიონი), სწავლობდა ქ. ორიოლის სამხედრო სასწავლებელში. 1854 წელს თბილისში დაბრუნდა და ხელი მოჰკიდა მწერლობასა და პუბლიცისტიკას. 1862 წლიდან იგი სისტემატურად ბეჭდავს ლექსებს, მოთხრობებს, კრიტიკულ წერილებს. სხვადასხვა დროს მუშაობდა თბილისის გიმნაზიაში, ვექილად - ზუგდიდში. ჯერ კიდევ 1854 წელს დაუახლოვდა ჟურნალ „ცისკრის" რედაქციას, ხოლო 1867 წლიდან მისი ფაქტობრივი რედაქტორი გახდა. 1869 წლიდან ხელმძღვანელობდა ჟურნალ „მნათობს", შემდეგ - „გუთნისდედას". 1911 წლიდან გარდაცვალებამდე სოფელ არბოში ცხოვრობდა.

ანტონ ფურცელაძე იმ ქართველ სამოციანელთა თაობას ეკუთვნის, რომლის მსოფლმხედველობა მოწინავე რუსული ინტელიგენციის გავლენით ჩამოყალიბდა. ძირითადად ამით აიხსნება მისი მსოფლმხედველობის მატერიალისტური და ათეისტური ხასიათი. იგი აკრიტიკებდა კანტს, ფიხტეს, შელინგს, ჰეგელსა და სხვა ფილოსოფოსებს იმის გამო, რომ ისინი უარყოფენ ადამიანის ცნობიერებისაგან მატერიალური სამყაროს დამოუკიდებლობას. მი-

სი აზრით, მატერიალური სამყარო ერთადერთ რეალობას წარმოადგენს, მატერია და ძალა განუყრელია. იგი ებრძვის ტელეოლოგიზმს და ამტკიცებს ბუნებაში მიზეზობრიობის კანონის უნივერსალურობას. სიცოცხლე მატერიალური სამყაროს განვითარების პროდუქტია. ანტონ ფურცელაძე ძირითადად იზიარებს დარვინის ევოლუციურ თეორიას, მაგრამ უარყოფს დარვინის აზრს შიდასახეობრივი ბრძოლის თაობაზე. იგი თვლის, რომ ერთი და იგივე სახეობის ცოცხალი ორგანიზმები არა მარტო არ ებრძვიან ერთმანეთს, არამედ, პირიქით, თანამშრომლობენ. ანტონ ფურცელაძე აკრიტიკებს აგნოსტიციზმს და ამტკიცებს, რომ ცნობიერება არის ობიექტური სინამდვილის კანონზომიერების სწორი ასახვა. შემეცნების ძირითად მიზანს ადამიანთა მატერიალური ცხოვრების გაუმჯობესება წარმოადგენს. იგი აკრიტიკებს ცნობილ თეზისს „ხელოვნება ხელოვნებისათვის" და ამტკიცებს, რომ ხელოვნების მთავარ მიზანს ადამიანის სულიერი განწმენდა (კათარზისი) წარმოადგენს და ამ გზით ადამიანთა მატერიალური ცხოვრების პროგრესის სამსახური. ხელოვნება არის ობიექტური სინამდვილის ასახვის სუბიექტური ფორმა. მართალია, საზოგადოებაში ბუნების კანონები ძალას ინარჩუნებს, მაგრამ მას სპეციფიკური კანონებიც აქვს, რის გამოც ცხოველთა სამყაროს კანონზომიერება ადამიანთა საზოგადოებაზე არ შეიძლება გავრცელდეს. იგი აკრიტიკებს დრეპერის აზრს ერის სიბერისა და სიკვდილის შესახებ. მისი აზრით, მკაცრად დეტერმინირებულია როგორც ცალკეული ადამიანის, ასევე ადამიანთა მთელი საზოგადოების ნებელობა. ანტონ ფურცელაძე სოციოლოგიაში გეოგრაფიული დეტერმინიზმის დამცველია, საზოგადოების განვითარების მთავარ მამოძრავებელ ძალად გარემოს თვლის. იგი უტოპიური სოციალიზმის

პოზიციებზე იდგა: საზოგადოებრივი პროგრესის უზრუნველყოფა, მისი აზრით, ადამიანთა ინტელექტუალური დონის ამაღლებით, სწავლით, განათლებით, მოწინავე იდეების შეტანით შეიძლება.

*თხზ.: „სამის თავგადასავალი" (თბილისი, 1889); „მამულის საერთო მფლობელობა" (ტფილისი, 1905); „კაცობრიობა და ხალხოსნობა" (ტფილისი, 1906).*

## ქებუჩია

**დაკით - 1928-2003** - ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი (1975), პროფესორი, საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, დაიბადა სოფელ ობუჯში (წალენჯიხის რაიონი). 1949 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი. 1974 წლიდან მუშაობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში სამეცნიერო ინფორმაციის ცენტრში (ახლა - პოლიტოლოგიის ინსტიტუტი) განყოფილების გამგედ. მის ნაშრომებში გამოკვლეულია დიალექტიკური ლოგიკის აქტუალური საკითხები. ამ დარგში გამოქვეყნებული აქვს მრავალი ნაშრომი ქართულ და რუსულ ენებზე.

*თხზ.: „ცნების თეორიის საკითხები" (თბილისი, 1967); „Вопросы теории суждения" (Тбилиси, 1968); „მსჯელობის თეორიის საკითხები" (თბილისი, 1979).*

## ქაზახია

**ეკნორი - 1924-1982** - ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი (1965), პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1982); დაიბადა ქ. გალში. 1941 წელს დაამთავრა გალის საშუალო სკოლა და 1944 წელს სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1949 წელს, ხოლო 1952 წელს იქვე დაასრულა ასპირანტურის კურსი ფილოსოფიის სპე-

ციალობით. 1961 წლიდან გარდაცვალებამდე იყო მისი ინიციატივით დაარსებული გამოყენებითი სოციოლოგიის კათედრის გამგე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

ვენორი ქვაჩახია იკვლევდა ლოგიკის, ესთეტიკის, ზოგადი და გამოყენებითი სოციოლოგიის პრობლემებს. იგი ავტორია 70-ზე მეტი მეცნიერული და პუბლიცისტურ-კრიტიკული ნაშრომისა, მონაწილეობდა სოციოლოგთა მსოფლიო კონგრესებში.

*თხზ.: „ლოგიკის ზოგიერთი პრობლემა" (თბილისი, 1956); „მეცნიერება და რელიგია" (თბილისი, 1964, ბ. წოწონავას თანაავტორობით); „ესთეტიკური სოციალური არსი" (თბილისი, 1965, შ. გაბილაიას თანაავტორობით); „ფილოსოფიის შესავალი" (თბილისი, 1983).*

## ქიქოძე

**გეგასიძე (გაბრიელ ებიხოსი) - 1825-1896** - პედაგოგი, ფსიქოლოგი, საზოგადო და სასულიერო მოღვაწე. 1849 წელს დაამთავრა პეტერბურგის სასულიერო აკადემია. 1858 წელს პეტერბურგში გამოსცა თავისი ცნობილი წიგნი „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები". 1851 წლიდან იყო ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა მასწავლებელი.

გ. ქიქოძე სამოციან წლებში საქართველოში საბუნებისმეტყველო ფილოსოფიური მიმდინარეობის გამგრძელებელი და ახალი იდეების ერთ-ერთი დამფუძნებელია.

გ. ქიქოძის ფილოსოფიური მსოფლმხედველობის ცენტრში დგას სულისა და მატერიის, ცნობიერებისა და ყოფიერების, ად-

ამიანისა და გარემოს მიმართების საკითხი. მისთვის მისაღები არ არის სინამდვილის სუბიექტურ-იდეალისტური გაგება. გ. ქიქოძის აზრით, მეცნიერული ცოდნა ცდას უნდა ემყარებოდეს, საგანი ცდაში უნდა გვეძლეოდეს. ფსიქიკური შეგრძნების, წარმოდგენის, მსჯელობის, დასკვნისა და ა.შ. უნართა ერთობლიობაა, შეგრძნება საფუძველია შემეცნების ყველა შემდგომი საფეხურისათვის, მაგრამ იგი ვერ ამოწურავს და ვერც დააკმაყოფილებს ჩვენს ცნობიერებას, მით უმეტეს, რომ მას შეუძლია ჩვენი შეყვანა შეცდომაში. ეს რომ არ მოხდეს, საჭიროა აზროვნების ჩარევა, რომელსაც ერთეული ზოგადში ჰყავს და შეგრძნებათა სისწორეს ამოწმებს.

გ. ქიქოძე იძლევა კანტის აპრიორიზმისა და, კერძოდ, სინთეზურ-აპრიორული მსჯელობების კრიტიკას. მან ბევრი საყურადღებო მოსაზრება წამოაყენა კანტის აპრიორიზმის წინააღმდეგ, გამართლებულად თვლიდა ანალიზურ მეთოდს და ამტკიცებდა, რომ სინთეზი შეუძლებელია წინასწარი ანალიზის გარეშე.

გ. ქიქოძის აზრით, თავისუფლების ცნება გულისხმობს გონებისა და მოქმედების ძალას. გ. ქიქოძეს კარგად ჰქონდა გათვალისწინებული, რომ დეტერმინიზმი, ე.ი. ადამიანის მოქმედების განსაზღვრა გარეგანი ძალებით, არ უდრის ფატალიზმს. ადამიანის მოქმედება დეტერმინირებულია, მაგრამ ვინაიდან მას აქვს გონება, შეუძლია იმოქმედოს არა ბრმა და გარდაუვალი აუცილებლობით, არამედ იმის მიხედვით, „რაც ჭეშმარიტებას შეესაბამება", რაც „თვით საგნების ღირსებას შეეფერება". გ. ქიქოძის „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები" XIX საუკუნის 60-იანი წლების რუსეთში დიდ მოვლენას წარმოადგენდა.

70-იანი წლების საქართველოში გ. ქიქოძე როგორც თავის საეკლესიო მოღვაწეობაში, ისე საზოგადოებრივ საქმიანობაში

ერთ-ერთი ყველაზე უფრო თვალსაჩინო პიროვნება იყო. მას დიდ ანგარიშს უწევდა ახალი იდეებით გატაცებული ქართველი ახალგაზრდობა. ეს ჩანს ილია ჭავჭავაძის მიერ ამ მოღვაწის დაკრძალვისას წარმოთქმულ სიტყვაში.

გერასიმე ქიქოძე, ილიასა და აკაკის იდეური თანამებრძოლი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საპატიო წევრი, ქართველ განმანათლებელთა წარმომადგენლად არის ცნობილი. მნიშვნელოვანია აგრეთვე მისი რიტორიკული მოღვაწეობა, ქადაგებანი, რომლებიც ქართულად გამოცემულია ორ ტომად და რუსულადაც არის თარგმნილი (1883), ინგლისურ ენაზე გამოსცა 1867 წელს სეზარ კეისარ მალანმა.

*თხზ.: „Основания опытной психологии",(СПБ,1858); „Слова и речи Гавриила Епископа Имеретинского" (Кутаиси, 1893); „ქადაგებანი. თქმულნი 1860-1870 წლებში", ტ. I (ქუთაისი, 1913, თბილისი, 1990, 2 ტომად).*

**ქობალია**

**იანე - 1924-1997** - ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი (1971), პროფესორი (1984), დაიბადა სოფელ ლიაში (წალენჯიხის რაიონი); 1943-1948 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე, 1951 წელს დაამთავრა ასპირანტურა მეცნიერული კომუნიზმის სპეციალობით. 1995 წლიდან გარდაცვალებამდე იყო პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი.

ივანე ქობალიას კვლევის ძირითადი სფერო იყო მეცნიერული კომუნიზმის თეორია, კერძოდ, მეცნიერული კომუნიზმის განვითარების ლენინური ეტაპი, სოციალიზმის მსოფლიო სისტემის განვითარების კანონზომიერებანი, განვითარებული სოციალიზმის თეორია და პრაქტიკა. ი. ქობალიას ამ პრობლემებზე გამოქვეყნებული აქვს 12 მონოგრაფია და მრავალი სტატია.

*თხზ.: „ვ.ი. ლენინი დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის თანაფარდობის შესახებ" (თბილისი, 1969); „სოციალიზმის მსოფლიო სისტემა" (თბილისი, 1967); „გონიერული მოთხოვნილების აღზრდა მომხმარებლობის დაძლევის პირობაა" (თბილისი, 1989).*

## ქორძიძე

**ხარიტონ - 1906-1999** - ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი (1949), დოცენტი (1962), დაიბადა სოფელ საჭამიასერში (ჩოხატაურის რაიონი); საშუალო განათლება მიიღო ჭიათურის გიმნაზიაში, რომელიც 1925 წელს დაამთავრა. 1926-1930 წლებში სწავლობდა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე, 1930-1933 წლებში იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტი ფილოსოფიის სპეციალობით.

ასპირანტურის წლებიდან, შემდეგ კი მთელი სიცოცხლის მანძილზე ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში - ასწავლიდა ფილოსოფიას თბილისის ინდუსტრიალურ ინსტიტუტში, თბილისის სამხატვრო აკადემიაში,

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში. 1952-1962 წლებში მუშაობდა თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრის გამგის თანამდებობაზე. 1962 წლიდან ხ. ქორიძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის კათედრის დოცენტი იყო. ხ. ქორიძის კვლევითი მუშაობის მთავარ ინტერესს შეადგენდა შემეცნების თეორიის პრობლემები, ბუნებისმეცნიერებისა და მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ფილოსოფიური საკითხები. გამოქვეყნებული აქვს 50-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის - რამდენიმე მონოგრაფია და ბროშურა.

*თხზ.: „მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფია - საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივ მეცნიერებათა მეთოდოლოგია“ (თბილისი, 1976); „ვ.ი. ლენინი და მარქსისტული გნოსეოლოგიის ზოგიერთი საკითხი“ (თბილისი, 1984); „ასახვის ლენინური თეორიის შესახებ“ (თბილისი, 1995).*

## ქუთელია

**ალექსანდრე - 1909-1974** - ქართველი ფილოსოფოსი, პუბლიცისტი, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, დაიბადა ქ. სოხუმში, იქვე მიიღო საშუალო განათლება. 1930 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ-ეკონომიკური ფაკულტეტი. ასპირანტურაში სწავლობდა მოსკოვის ფილოსოფიის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტში (МИФЛИ), რომელიც დაამთავრა 1935

წელს. 1937 წლიდან კითხულობდა მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის კურსს საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში. 1943-1952 წლებში იყო თბილისის უნივერსიტეტის დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის კათედრის გამგე. 1944 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. 1938-1945 წლებში ჟურნალ „ბოლშევიკის" პასუხისმგებელი მდივანია. 1945-1951 წლებში იყო მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის დირექტორის მოადგილე, შემდეგ - დირექტორი. 1952-1953 წლებში მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორად, ხოლო 1953-1956 წლებში - ამავე ინსტიტუტში დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის განყოფილების გამგედ. 1957-1961 წლებში იყო თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრის დოცენტი, 1961 წლიდან გარდაცვალებამდე კი - იქვე ფილოსოფიის კათედრის გამგე.

ა. ქუთელია იკვლევდა ფილოსოფიის, ესთეტიკის, XIX საუკუნის ქართული და რუსული ფილოსოფიის ისტორიის საკითხებს. კერძოდ, მან გამოიკვლია სოლომონ დოდაშვილის მსოფლმხედველობა; ი. ჭავჭავაძე წარმოადგინა, როგორც რევოლუციური დემოკრატი საქართველოში. მნიშვნელოვანია ა. ქუთელიას ნაშრომები ვაჟა-ფშაველას, აგრეთვე აკაკი წერეთლის მსოფლმხედველობრივი და სოციალურ-პოლიტიკური იდეების შესახებ.

ა. ქუთელია იკვლევდა აგრეთვე XIX საუკუნის რუსი რევოლუციონერი დემოკრატების ბ. ბელინსკის, ნ. ჩერნიშევსკის, ა. გერცენის მსოფლმხედველობას, ეწეოდა სარედაქციო მუშაობას. მისი რედაქციით გამოიცა ქართულ ენაზე მარქსის, ენგელსის, ვ. ლენინის თხზულებანი, აგრეთვე ჰეგელის (ტ.I), ფოიერბახის,

ბელინსკის, ჩერნიშევსკის, პლეხანოვის ფილოსოფიური თხზულებანი.

*თხზ.: „გერმანული ფაშიზმის იდეოლოგიური სათავეები“ (თბილისი, 1942); „ვაჟა-ფშაველა - მოაზროვნე და ჰუმანისტი“ (თბილისი, 1947); „სოლომონ დოდაშვილი და მისი ლოგიკა“ (თბილისი, 1948); „ილია ჭავჭავაძე - რეეოლუციონერი დემოკრატი“ (თბილისი, 1954); „ნ. ბარათაშვილის ფილოსოფიური მსოფლმხედველობა“ (თბილისი, 1968); „სიცილის ძალა“ (თბილისი, 1961); „ლენინური ეტაპის დასაწყისი მარქსისტული ფილოსოფიის განვითარებაში“ (თბილისი, 1971); „Философские и социально-политические взгляды Акакия Церетели“ (Тбилиси, 1969).*

**ყორანაშვილი**

**გურამ - 1940** - ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი (1979), პროფესორი (1989), დაიბადა ქ. ბორჯომში, 1947-1957 წლებში სწავლობდა ბორჯომისა და ქვიშხეთის საშუალო სკოლებში. 1957-1962 წლებში იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტია, 1965 წელს დაამთავრა ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი, 1965-1967 წლებში მუშაობდა „საბჭოთა საისტორიო ენციკლოპედიის" რედაქციაში, 1967 წელს - საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტში (მოსკოვი); 1968 წლიდან მუშაობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში ჯერ - უმცროს, უფროს, შემდეგ - წამყვან მეცნიერ თანამშრომლად. წლების მანძილზე ასწავლიდა ფილოსოფიას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში (ამჟამად სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტი).

გურამ ყორანაშვილი ეწევა პუბლიცისტურ და პოლიტიკურ მოღვაწეობას. 1992-1995 წლებში იყო საქართველოს პარლამენტის წევრი.

*თხზ.: „გეოგრაფიული გარემოს როლი საზოგადოების განვითარებაში" (თბილისი, 1975); „კარლ მარქსი და ფრიდრიხ ენგელსი კაპიტალიზმამდელი ფორმაციების შესახებ" (თბილისი, 1976); „ეროვნული თვითშეგნება" (თბილისი, 1984); „ისტორიულ-ფილოსოფიური ეტიუდები" ორ წიგნად (თბილისი, 1985 და 1992); „პროფესია ისტორიკოსი" (თბილისი, 1986); „Докапиталистические способы производства"*

*(Тбилиси, 1988); „საქართველოს ისტორიის საკითხები“ ორ წიგნად (თბილისი, 1994 და 1995); „ეროვნული საკითხი“ (თბილისი, 1997); „საქართველოში სახელმწიფოს წარმოშობის საკითხი“ (თბილისი, 2000); „ივანე ჯავახიშვილი (ახლებურად წაკითხვის ცდა)“ (თბილისი, 1999).*

**პეტრე** - **1902-1979** - ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი (1935), პროფესორი (1932), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი (1945), დაიბადა სოფელ თაგელონში (გალის რაიონი), დაამთავრა ჯერ ზუგდიდის უმაღლესი დაწყებითი სკოლა, ხოლო შემდეგ - სოხუმის საოსტატო სემინარია. 1922-1924 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე, 1924-1926 წლებში - მოსკოვის კომუნისტური აღზრდის აკადემიაში, 1926-1929 წლებში გაიარა რუსეთის სამეცნიერო ინსტიტუტთა ასოციაციის ასპირანტურა, პარალელურად ასწავლიდა ფილოსოფიურ საგნებს მოსკოვის უმაღლეს სასწავლებლებში. 1929 წელს მუშაობა დაიწყო კომუნისტური აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტში. 1930 წელს ბრუნდება საქართველოში და ასწავლის ფილოსოფიურ საგნებს, არის კათედრის გამგე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

ამავე წლებში პ. შარია ჩაერთო პარტიულ მუშაობაში, ეკავა მაღალი თანამდებობები საქართველოს პარტიულსა და სახელმწიფო იერარქიაში. 1946 წელს დაინიშნა ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორად. ამ თანამდებობაზე იგი 1948 წლამდე მუშაობდა, ხოლო 1952 წლამდე ამავე ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელია. 1953 წელს პოლიტიკური მოტივით დაატიმრეს და გადაასახლეს. გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ 1966 წლიდან გარდაცვალებამდე მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში უფროს მეცნიერ თანამშრომლად.

*თხზ.: „კანტის ფილოსოფიის ძირითადი პრინციპები“ (თბილისი, 1935); „ჰეგელის ფილოსოფია მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების შეფასებით“ (თბილისი, 1944); „О некоторых вопросах коммунистической морали“ (Москва,1951); „რუსთაველის მსოფლმხედველობის ზოგიერთი საკითხი“ (თბილისი, 1966); „რუსთაველის პოეტიკა“ (თბილისი, 1973).*

## შენგელია

**ზთმან - 1932-1999** - ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი (1964), დაიბადა სოფელ იანეთში სამტრედიის რაიონი), 1954 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი, შემდეგ - ასპირანტურა. 1955-1960 წლებში მუშაობდა იმავე ფაკულტეტზე. 1960 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტში ჯერ - უმცროს, შემდეგ - უფროს და ბოლოს წამყვან მეცნიერ თანამშრომლად.

რომან შენგელია ფართო ერუდიციის მკვლევარი იყო. ძირითადად იკვლევდა ესთეტიკის პრობლემებს (ანტიკური ესთეტიკა, კანტის ესთეტიკა და სხვა), რომელსაც არაერთი სერიოზული ნაშრომი მიუძღვნა. ეწეოდა აგრეთვე ნაყოფიერ მთარგმნელობით მოღვაწეობას, ქართულად თარგმნა და გამოსცა მ. კაგანის დიდტანიანი სახელმძღვანელო ესთეტიკაში - „მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკა“ (1984).

*თხზ.: „ანტიკური ესთეტიკის ისტორიიდან“ (1970); „ხელოვნების საზოგადოებრივი მნიშვნელობა“ (1972); „ესთეტიკა და გონების ერთიანობის პრობლემა კანტის ფილოსოფიაში“ (1989).*

## შენგელია

**ხუტა - 1925-1994** - ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი (1960), დოცენტი, დაიბადა ქ. გალში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, 1944 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე, რომელიც 1949 წელს დაამთავრა. იმავე 1949 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურაში ფილოსოფიის სპეციალობით. ასპირანტურის დამთავრების შემდეგ, 1952 წლიდან ათეული წლების განმავლობაში მუშაობდა სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში (1979 წლიდან - აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი), ხოლო 1989 წლიდან - თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალში (1993 წლამდე - სოხუმში, შემდეგ - თბილისში).

სიცოცხლის ბოლომდე ამუშავებდა ფილოსოფიური ანთროპოლოგიის პრობლემებს, რომელსაც მან მიუძღვნა ორი სოლიდური მონოგრაფია. გარდა ამისა, იყო მრავალი სამეცნიერო პუბლიცისტური სტატიის ავტორი.

*თხზ.: მარქსიზმ-ლენინიზმის შესაძლებლობისა და სინამდვილის შესახებ (თბილისი, 1963); „ფილოსოფიური ანთროპოლოგიის ზოგადი პრობლემები“ (თბილისი, 1974); „პიროვნების ფილოსოფიური პრობლემები“ (თბილისი, 1985).*

**შერიზია**

**აბოლონ - 1927-1980** - ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი (1967), პროფესორი (1968), გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფსიქოანალიზის აკადემიის წევრი (1980); დაიბადა სოფელ უშაფათში (სენაკის რაიონი), დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტი ფილოსოფიის სპეციალობით. მისი სამეცნიერო კვლევის ძირითადი სფეროა განწყობის ფსიქოლოგიური თეორიის ფილოსოფიური საფუძვლები, რომელსაც ორტომიანი გამოკვლევა მიუძღვნა. განწყობის თეორიის შუქზე იკვლევდა ცნობიერი და არაცნობიერი ფსიქიკურის ბუნებას, აჩვენებდა ძირეულ განსხვავებასა და დაპირისპირებას დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორიასა და ფროიდის ფსიქოანალიზს შორის, შეიმუშავა ორიგინალური კონცეფცია ცნობიერი და არაცნობიერი ფსიქიკურის ერთიანობის შესახებ. ამ ასპექტში შეისწავლა პიროვნების ფსიქოლოგიური თეორია, რომლის მიხედვით ცნობიერი და არაცნობიერი ფსიქიკური ერთიან ადამიანურ ფსიქიკას ქმნის, რაც საფუძვლად უდევს პიროვნების მთლიანობას.

ა. შეროზია იკვლევდა აგრეთვე XX საუკუნის პირველი მეოთხედის ქართული ფილოსოფიური აზროვნების ძირითად მიმართულებებს, რომელსაც მან სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა.

*თხზ.: „Проблема сознания и бессознательного психического" (Тбилиси, т. 1, 1969, т. 2, 1973); „Философская мысль в Грузии в первой четверти XX века" (Тбилиси, 1963).*

**შუშანაშვილი**

**გერონტი - 1939** - ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი (1989), პროფესორი, ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1995); დაიბადა 1939 წელს სოფელ თიანეთში (თიანეთის რაიონი). 1964 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი, 1965-1968 წლებში - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის ასპირანტურა. არის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ს. წერეთლის სახელობის ფილოსოფიის ინსტიტუტის ეთიკის განყოფილების გამგე.

გ. შუშანაშვილის მეცნიერული ინტერესი ძირითადად მიმართულია ეთიკისა და ღირებულების პრობლემებისადმი, დგას ღირებულებითი ეთიკის პოზიციებზე. მისი თვალსაზრისი ენათესაება ფონ რინტელენის აქსიოლოგიურ თვალსაზრისს. იგი ავტორია რამდენიმე მონოგრაფიისა და მრავალი სამეცნიერო სტატიისა ქართულ, რუსულ და გერმანულ ენებზე.

*თხზ.: „კანტის ეთიკური ფორმალიზმის მარქსისტული კრიტიკისათვის" (თბილისი, 1974); „ზნეობრივი ღირებულების სპეციფიკა" (თბილისი, 1980); „ღირებულების პრობლემა და საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმები" (თბილისი, 1987); „ფენომენოლოგიური ეთიკის კრიტიკა" (თბილისი, 1989).*

## შუშანაშვილი

**გიორგი** - **1907-1993** - ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი (1968), დაიბადა სოფელ თიანეთში, დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი. ერთხანს ლექციებს კითხულობდა ამავე უნივერსიტეტში, ხოლო 1946 წლიდან მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტში ჯერ უფროს მეცნიერ თანამშრომლად, ხოლო შემდეგ ამავე ინსტიტუტის დიალექტიკური მატერიალიზმის განყოფილების გამგედ, 1963 წლიდან გარდაცვალებამდე - კვლავ უფროს მეცნიერ თანამშრომლად.

გ. შუშანაშვილის კალამს ეკუთვნის მრავალი ნაშრომი, მათ შორის 6 წიგნი. ამ ნაშრომებში გამოკვლეულია ლოგიკის, შემეცნების თეორიის, ღირებულებისა და მეცნიერების ბუნების პრობლემები. გ. შუშანაშვილი აჩვენებს შემეცნების თეორიის ურთიერთობას ლოგიკასთან, ონტოლოგიასა და დიალექტიკასთან. შემეცნების საგანია არსი, ხოლო ამ არსის ასახვა აზროვნებაში ლოგიკური ბუნებისაა. აზროვნების ლოგიკური პროცესი ამზადებს ინტუიციურ შემეცნებას, თუმცა შემეცნების პროცესში ინტუიციას დომინირებული მნიშვნელობა აქვს. მეცნიერული შემეცნების შედეგს მეცნიერული ცოდნა წარმოადგენს, რომელსაც მეცნიერული თეორია „სისტემურ ხასიათს აძლევს. გ. შუშანაშვილი გნოსეოლოგიისა და ცოდნის თეორიის პრობლემასთან დაკავშირებით კრიტიკულად აანალიზებს ჯეიმსის, ჰუსერლის, ჰაიდეგერის, ბერგსონის, დინგლერის, პოპერისა და სხვა ფილოსოფოსთა თვალსაზრისებს, აჩვენებს მათ დადებითსა და უარყოფით მხარეებს. გ. შუშანაშვილი ფილოსოფიას სპეციფიკურ მეცნიერულ დისცი-

პლინად თვლიდა და იცავდა ფილოსოფიისა და სპეციალურ მეცნიერებათა აუცილებელი კავშირის იდეას.

*თხზ.: „მეცნიერების ცდისეული და ლოგიკური საფუძვლები“ (თბილისი, 1971); „შემეცნების თეორია“ (სამ ნაწილად, თბილისი, 1977, 1979, 1981); „მეცნიერების ბუნება“ (თბილისი, 1985); „ღირებულების ფილოსოფიური ცნება“ (თბილისი, 1985); „ინტუიციისა და დისკურსის წილი შემეცნებაში“ (თბილისი, 1995).*

**ჩერქეზიშვილი**

**ვარლამ - 1846-1925** - ქართველი მოაზროვნე, ანარქისტი. სწავლობდა მოსკოვის კადეტთა კორპუსში, იქვე ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში. 1866 წელს სწავლას აგრძელებს პეტროვსკის აგრონომიულ აკადემიაში, მაგრამ იმავე წელს დააპატიმრეს და პეტერბურგის ციხეში ჩასვეს როგორც კარაკოზოვის ჯგუფის წევრი. 1873 წელს გაათავისუფლეს, მაგრამ კვლავ დააპატიმრეს, რადგან ნეჩაევის ანარქისტულ ჯგუფთან იყო დაკავშირებული და ციმბირში გადაასახლეს. 1876 წელს ვ. ჩერქეზიშვილი ტომსკის გადასახლებიდან საზღვარგარეთ გაიქცა და ლონდონში ჩავიდა. 1877 წელს იგი I ინტერნაციონალში შევიდა და ბაკუნინის ანარქისტული „ალიანსის" წევრი გახდა, დაუახლოვდა მ. ბაკუნინს, პ. კროპოტკინს, გ. რეკლიუს და სხვას. მათთან თანამშრომლობით ნათლად ჩამოაყალიბა ანარქიზმის ძირითადი პრინციპები. მალე თავად გახდა საერთაშორისო ანარქიზმის ცნობილი ლიდერი. იგი ხელმძღვანელობდა ლონდონში ჟურნალ „Вперед"-ის საშინაო-ეკონომიკურ განყოფილებას, ჟენევაში ემიგრანტების ჯგუფთან ერთად ბეჭდავდა ჟურნალს „Община", 1904-1905 წლებში პ. კროპოტკინთან და კ. გოგელიასთან ერთად მეთაურობდა ჟურნალს „Хлеб и воля".

ვ. ჩერქეზიშვილი 1870-იანი წლებიდან აქტიურად თანამშრომლობდა ქართულ პრესაში, ბეჭდავდა წერილებს „დროებაში", „ივერიაში". 1905 წლის რევოლუციის დროს საქართველოშია. მან მ. წერეთელთან, კომანდო და შალვა გოგელიებთან ერთად დაარსა ანარქისტული გაზეთები - „ნობათი" და „მუშა". ვ. ჩერქეზიშვილის ნაშრომებიდან ყველაზე პოპულარული იყო „ფურცლები სოციალიზმის ისტორიიდან" (1896 წ. გამოიცა ფრანგულ, ინგ-

ლისურ, ჰოლანდიურ, იტალიურსა და ესპანურ ენებზე, შემოკლებით - ჩინურსა და იაპონურ ენებზე). 1902-1907 წლებში რუსულ ენაზე გამოქვეყნდა მისი ნაწერები: „მარქსიზმის წინამორბედი", „მარქსიზმის დოქტრინები", „ბოლოს და ბოლოს აღიარეს", „ეს მეცნიერებაა?"

ვარლამ ჩერქეზიშვილი, კროპოტკინის შემდეგ, ცნობილი ფიგურაა საერთაშორისო ანარქიზმის ისტორიაში. ცხრაასიან წლებში მან საკმაოდ სიზუსტით ჩამოაყალიბა თავისი ფილოსოფიური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებები, შეეხო ფილოსოფიის თითქმის ყველა ძირითად პრობლემას და ნათლად გამოაცალინა თავისი თანმიმდევრული იდეალისტური შეხედულებანი. სწორედ მათ საწინააღმდეგოდ ი. სტალინმა (ი. ჯუღაშვილმა) გამოაქვეყნა თავისი სტატიების სერია სათაურით „ანარქიზმი თუ სოციალიზმი?"

*თხზ.: „ნაწყვეტები სოციალიზმის ისტორიიდან" (ჟურნ. „ნობათი", №2, 1906); „Предтечи Интернационала" (მ-ლ., 1919).*

## ჩხარტიშვილი

**აკაკი - 1928-1995** - ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი (1982), პროფესორი, დაიბადა ოზურგეთის რაიონის სოფელ ჯუმათში, 1950 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი, 1953 წელს - ასპირანტურა.

1953-1961 წლებში მუშაობდა აფხაზეთში, სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში, 1961 წლიდან - თბილისის სახელმწიფო უნი-

ვერსიტეტში, სადაც მისი თაოსნობით დაარსდა ესთეტიკის კათედრა, რომელსაც ხელმძღვანელობდა 1969-1983 წლებში. ა. ჩხარტიშვილი ეწეოდა მრავალმხრივ სამეცნიერო, პედაგოგიურსა და საზოგადოებრივ მოღვაწეობას.

*თხზ.: „გ.ვ. პლეხანოვის ესთეტიკური შეხედულებანი" (თბილისი, 1970); „ხალხი და ხელოვნება" (თბილისი, 1977); „ესთეტიკა, როგორც მეცნიერება" (თბილისი, 1979); „მშვენიერება სინამდვილესა და ხელოვნებაში" (თბილისი, 1979); „ტრაგიკულის შესახებ" (თბილისი, 1981); „შრომა, როგორც ესთეტიკური ფენომენი" (თბილისი, 1981); „ესთეტიკური აღზრდისა და მისი ძირითადი ამოცანების შესახებ განვითარებული სოციალიზმის პირობებში" (თბილისი, 1982); „შრომის როლი ადამიანის, როგორ(ი ესთეტიკური სუბიექტის, ჩამოყალიბებაში" (თბილისი, 1983).*

**ციმინტია**

**აკაკი** - **1926** - ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი (1968), პროფესორი (1972), დაიბადა სოფელ ჯვარში (წალენჯიხის რაიონი). 1942 წელს დაამთავრა სოფელ ჯვარის საშუალო სკოლა, 1947 წელს - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასპირანტურა (1950). 1950-1955 წლებში და 1960 წლიდან დღემდე მუშაობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ა. წერეთლის სახელობის ფილოსოფიის ინსტიტუტში. 1991 წლიდან არის თბილისის პოლიტოლოგია-სოციოლოგიის სასწავლო ინსტიტუტის რექტორი, ამჟამად საპატიო რექტორი.

ა. ციმინტია თავისი სამეცნიერო მოღვაწეობის პირველ პერიოდში დაინტერესებული იყო გნოსეოლოგიისა და ისტორიული მატერიალიზმის პრობლემებით. ამ პრობლემებზე მუშაობამ იგი ონტოლოგიამდე მიიყვანა. ფილოსოფიის ამ სფეროში მან გამოაქვეყნა რამდენიმე წიგნი.

ა. ციმინტიას მიაჩნია, რომ ტერმინი „ფილოსოფია" ცოდნის არავითარ ობიექტზე არ მიუთითებს, ამიტომ იგი უნდა შეცვალოს ეინოლოგიამ - ყოფნის თეორიამ, რომელიც, მისი აზრით, სამყაროს არსებობის (ყოფნის) პირობებსა და პრინციპებს სწავლობს. ეინოლოგია სამი ნაწილისაგან შედგება: სუბსტრატოლოგია, არხელოგია და ფუნდამენტოლოგია.

*თხზ.: „პრაქტიკის როლი შემეცნების პროცესში" (თბილისი, 1954); „ხალხი - ისტორიის შემოქმედი" (თბილისი, 1955); „ცოდნის ობიექტურობის პრობლემა მარქსისტულ გნოსეოლოგიაში" (თბილისი, 1968); „ყოფნა და ცვალებადობა" (თბილისი, 1989); „ფილოსოფიის შესავალი": (თბილისი, 1997); „ონტოლოგიის ძირითადი პრობლემები" (თბილისი, 2003).*

## ცინცაძე

**გენო** - **1929-1992** - ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი (1965), პროფესორი, დაიბადა სოფელ ზემო ფარცხმაში (ჩოხატაურის რაიონი). საშუალო სკოლა დაამთავრა თბილისში 1948 წელს და იმავე წელს შეავიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1953 წელს. 1954-1956 წლებში სწავლობდა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურაში. 1957 წელს თბილისში დაბრუნდა და მუშაობა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტში. 1974 წლიდან გარდაცვალებამდე მუშაობდა თბილისის ი. ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენების ინსტიტუტში ფილოსოფიის კათედრის გამგედ.

გენო ცინცაძის კალამს ეკუთვნის მრავალი სამეცნიერო სტატია და რამდენიმე მონოგრაფიული გამოკვლევა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი წიგნი „აუცილებლობისა და შემთხვევითობის ურთიერთობის შესახებ" (თბილისი, 1965), რომელშიც ეს ფილოსოფიური კატეგორიები განხილულია თანამედროვე მეცნიერების (ფიზიკისა და ბიოლოგიის) მონაცემების მეცნიერული ანალიზის საფუძველზე. გ. ცინცაძე იკვლევდა აგრეთვე მეცნიერული შემეცნების მეთოდოლოგიის პრობლემებს, ფილოსოფიისა და კერძო მეცნიერებათა ურთიერთობას, მეცნიერული კვლევის მეთოდებს და სხვა ფილოსოფიურ პრობლემებს. მის ნაშრომებში შესწავლილია არა მხოლოდ თეორიული ფილოსოფიის, არამედ აგრეთვე მეცნიერების ფილოსოფიის ძირეული საკითხები. იგი აკრიტიკებდა იმ გავრცელებულ თვალსაზრისს, რომლის მიხედვით კერძო მეცნიერებანი ფილოსოფიიდან გამოიყო და, ამტკიცებდა რა მათი ურთიერთკავშირის აუცილებლობას, ამასთანავე იცავდა თითოეული მათგანის გენეტიკური

და რეალური ავტონომიის იდეას. გ. ცინცაძე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა მეცნიერული კვლევის სისტემურ მეთოდს, აჩვენებდა მის ფილოსოფიურსა და მეცნიერულ წანამძღვრებს, დამოკიდებულებას დიალექტიკურ მატერიალიზმთან. გ. ცინცაძემ სპეციალური წიგნი მიუძღვნა მეცნიერული შემეცნების მეთოდოლოგიის პრობლემას, რომელშიც ნაჩვენებია ამ მეთოდოლოგიის სტრუქტურა და დონეები, ფილოსოფიის მეთოდოლოგიური როლი სპეციალურ-მეცნიერული კვლევის პროცესში და სხვა.

*თხზ.: „შესაძლებლობა და სინამდვილე, როგორც მატერიალისტური დიალექტიკის კატეგორიები" (თბილისი, 1958); „აუცილებლობისა და შემთხვევითობის ურთიერთობის შესახებ" (თბილისი, 1965); „დიალექტიკური მატერიალიზმის მოძღვრება კატეგორიების შესახებ" (თბილისი, 1970); „ფილოსოფიისა და კერძო მეცნიერებათა ურთიერთობის შესახებ" (თბილისი, 1973); „მეცნიერული შემეცნების მეთოდოლოგიის ზოგიერთი საკითხი" (თბილისი, 1977); „მეცნიერული კვლევის სისტემური მეთოდი" (თბილისი, 1980).*

## ცინცაძე

**გიორგი - 1926** - ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი (1975), პროფესორი, დაიბადა 1926 წელს სოფელ ბუკისციხეში (ჩოხატაურის რაიონი). 1944 წელს შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე. 1948 წელს დააპატიმრეს პოლიტიკური მოტივებით. 1956 წელს რეაბილიტაციის შემდეგ სწავლა განაგრძო ფილოსოფიის ფაკულტეტზე, რომელიც 1957 წელს დაამთავრა. სხვადასხვა დროს მუშაობდა

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობაში, დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტში, ფილოსოფიის ინსტიტუტში, 1989-1993 წლებში იყო თბილისის სასულიერო აკადემიის პრორექტორი, „საღვთისმეტყველო კრებულის" რედაქტორი, ბოლო წლებში - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთიკისა და რელიგიათმცოდნეობის კათედრის პროფესორი.

გ. ცინცაძის მეცნიერული კვლევის ძირითადი სფეროა რელიგიის ფილოსოფია და ჰერმენევტიკის პრობლემები. იგი იზიარებს იმ აზრს, რომ ღმერთი არის პიროვნება, ხოლო ადამიანი არის ღვთის ხატი. ადამიანი პიროვნებად ხდება სხვა ადამიანთან მიმართებასა და მასთან დიალოგში. დიალოგი არის ლოგოსი, ლოგოსი არის ღმერთი.

*თხზ.: „მათემატიკური ფსიქოლოგიის ფილოსოფიური საფუძვლების კრიტიკისათვის" (თბილისი, 1968); „გაგების მეთოდი ფილოსოფიაში და პიროვნების პრობლემა" (თბილისი, 1975); „პიროვნება, დრო, განწყობა" (თბილისი, 1981).*

## წერეთელი

**გიორგი - 1842-1900** - ქართველი მწერალი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე, დაიბადა ს. გორისაში (აქედან მისი ფსევდონიმი „გ. გორისელი"). ქუთაისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო პეტერბურგის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე. სტუდენტობის წლებში იგი გაეცნო რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების: ა. გერცენის, ნ. ჩერნიშევსკისა და ნ. დობროლიუბოვის იდეებს, რომლებმაც მასზე დიდი გავლენა მოახდინეს. განსაკუთრებით ახლოს იცნობდა ნ.გ. ჩერნიშევსკის.

საქართველოში დაბრუნების შემდეგ (1864) გ. წერეთელმა დაიწყო აქტიური ლიტერატურული, პუბლიცისტური და საზოგადო მოღვაწეობა. სხვადასხვა დროს იყო გაზეთების - „დროება", „სასოფლო გაზეთი", „კრებული" რედაქტორი. 90-იან წლებში მან დააფუძნა გაზეთი „კვალი", რომელიც XIX საუკუნის ბოლო წლებში სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის („მესამე დასი") ცენტრალური ორგანო გახდა.

გიორგი წერეთლის ფილოსოფიური მსოფლმხედველობა მატერიალისტური და გარკვეულწილად ათეისტურიც იყო. იგი ბიუხნერის, მოლეშოტისა და ფოგტის გავლენით იცავდა მატერიის მარადიულობის იდეას, მატერიისა და ძალის განუყრელობის თეზისს, მატერიალისტურად ხსნიდა სამყაროს კანონზომიერებას. წიგნში „საუკეთესო ცოდნა", რომელიც რუსი ავტორის (სობოლშჩიკოვის) წიგნის მატერიალისტურად და ათეისტურად გადამუშავებულ გამოცემას წარმოადგენს, აგრეთვე ბევრ სტატიაში ჩამოყალიბებულია მისი მატერიალისტური მსოფლმხედველობა.

გ. წერეთელი, როგორც მატერიალისტი და ათეისტი, იმავე დროს მექანისტური დეტერმინიზმის პოზიციებზე იდგა. იგი იცავდა

მკაცრი მიზეზობრივი აუცილებლობის (ანუ ლაპლასური დეტერმინიზმის) იდეას, უარყოფდა შემთხვევითობის ობიექტურობას. ამ მექანისტურ მოსაზრებას იგი ადამიანზეც აერცელებდა და ნებელობის თავისუფლების უარყოფამდე მიდიოდა. გ. წერეთელი ვერ ხედავდა არსებით განსხვავებას ადამიანსა და მანქანას შორის: როგორც მანქანას, ასევე ადამიანს, მისი აზრით, სხვადასხვა გარემოების ზემოქმედების გარეშე არავითარი მოძრაობის შესრულება არ შეუძლია.

გ. წერეთელი იზიარებდა დარვინის ევოლუციურ თეორიას, კერძოდ, მის მოძღვრებას სახეობათა წარმოშობისა და, მასთან ერთად, მაიმუნისაგან ადამიანის ქმნადობის შესახებ. დარვინის მოძღვრება არსებობისათვის ბრძოლის შესახებ მას სოციოლოგიაშიც გადააქვს.

გ. წერეთელი მკაცრად აკრიტიკებს კაპიტალისტური წარმოების წესს, რომელშიც იგი ადამიანთა ექსპლუატაციის წყაროს ხედავს. თხზულებაში „პირველი ნაბიჯი" მან ბახვა ფულავას სახით დაგვიხატა აღმავლობის პროცესში მყოფი ბურჟუაზიული კლასის წარმომადგენელი, რომლის უზენაეს მიზანს სიმდიდრის დაგროვება წარმოადგენს. მეორე მხრივ, თხზულებაში „ღვთისწყალობა" მან აღწერა იდეალური საზოგადოება, რომელსაც „ოქროს ქვეყანა" უწოდა. ეს საზოგადოება დაფუძნებულია ადამიანთა სრული თავისუფლებისა და თანასწორობის პრინციპებზე, ამ საზოგადოებაში ყველა შრომობს და მატერიალურ დოვლათსაც თანაბრად ინაწილებს, არ არსებობს ანტაგონიზმი, ადამიანთა ჩაგვრა, კლასები და წოდებები, ყველას თანაბარი უფლება-მოვალეობანი აქვს. გ. წერეთელს, როგორც უტოპისტ სოციალისტს, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს XIX საუკუნის ქართველ მოღვაწეთა შორის.

## წერეთელი

**მიხეილ (მიხაკო) - 1878-1965** - ქართველი მეცნიერი, პუბლიცისტი, სოციოლოგი. სოფლის დაწყებითი სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლობდა ქუთაისის გიმნაზიაში. 1899 წელს ჩაირიცხა კიევის უნივერსიტეტში. რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობის გამო იძულებული გახდა გადასულიყო ლონდონში, შემდეგ ლაიფციგში და ბოლოს ჰაიდელბერგის უნივერსიტეტი დაამთავრა.

მიხაკო წერეთელი სოციალური ფილოსოფიის წარმომადგენლად გვეელინება, შემდგომ ასირიოლოგიის აღიარებული სპეციალისტი ხდება. 1920 წელს მიიწვიეს თბილისის უნივერსიტეტში ასირიოლოგიისა და აღმოსაელეთის ისტორიის კათედრის გამგედ. 1921 წლის შემდეგ იძულებული გახდა საზღვარგარეთ წასულიყო. ასირიოლოგიისა და ქართული ენის კათედრებს განაგებდა ბრიუსელისა და ბერლინის უნიეერსიტეტებში. მისი კელეეითი ინტერესები ფართო პროფილის იყო: სოციალური ფილოსოფია და სოციოლოგია, ასირიოლოგია და აღმოსავლეთის ისტორია, კულტუროლოგია და რუსთეელოლოგია. ყველა ამ სფეროში ემსახურებოდა ქართველი ერის ისტორიისა და პერსპექტივების შემეცნებას და მას მსოფლიო კულტურასთან მიმართებაში განიხილავდა. პოლიტიკური მრწამსით ანარქისტი იყო, ანარქიზმსაც ეროვნულ ფორმას აძლეედა. ის ათავსებდა სოციალიზმს სახელმწიფოსა და პარტიების გარეშე ცხოვრების წესთან.

მ. წერეთლის სოციალური ფილოსოფია გადმოცემულია ნაშრომში „ერი და კაცობრიობა". მისი საპროგრამო განცხადებაა: „მე ქართველი ანარქისტი ვარ, ჩემთვის ეროვნული საკითხი ყოფნა-

არყოფნის საკითხია, რომლის გარეშე ანარქიზმიც არაა. მე ჩემი ერის უფლებას ვამტკიცებ".

მ. წერეთელი XX საუკუნის პირველი ქართველი სოციოლოგია. მისი გააზრების საგანია: კაცობრიობა, საზოგადოება, ერი, ხალხი, სამართალი, სახელმწიფო, სამშობლო, თავისუფლება და სხვა. მის ნააზრევში კლასობრივი იდეალი შეცვლილია ეროვნულით. საზოგადოება, მისი შეხედულებით, სოციალურ პროცესთა და მოვლენათა ერთობლიობაა, რომელიც განსაზღვრულია სოციალური კანონებით და არ აიხსნება არც ბიოლოგიურით და არც ფსიქიკურით. მისი გაგებით, კაცობრიობისა და ერის ფენომენებიდან რეალურია ერი, კაცობრიობა კი ნომინალური ცნებაა. ერის სპეციფიკურ ნიშნებად მიიჩნევს ენასა და სახელმწიფოებრიობას, ამასთანავე, ასახელებს სხვა ნიშნებსაც, დაწყებული ტერიტორიით და დამთავრებული კულტურით.

მიხაკო წერეთლის ანალიზის ობიექტი ხდება ერთან დაკავშირებული სხვა კატეგორიებიც, განსაკუთრებით სამშობლო. ავტორი განასხვავებს ერსა და სამშობლოს, სამშობლოსა და სახელმწიფოს. სამშობლო ერის საცხოვრისია, მისი ბინაა და მხოლოდ ამ მნიშვნელობით უნდა იყოს გამოყენებული. სამშობლო და სახელმწიფო განსხვავებულია. სამშობლო დაკავშირებულია ერთან, მაგრამ არა სახელმწიფოსთან. სამშობლო არ შეიძლება სახელმწიფოს იგივეობრივი იყოს თუნდაც იმიტომ, რომ სახელმწიფოში მრავალი ერი შეიძლება იყოს გაერთიანებული და ყოველ ერს ამ სახელმწიფოს შიგნით თავისი სამშობლო ექნება. მ. წერეთელი აკრიტიკებს კოსმოპოლიტიზმს („გეოპოლიტიზმს"). საკაცობრიო კულტურა და სოციალური ერთობა არასასურველი იქნებოდა, რადგან მრავალფეროვნების ნაცვლად ერთფეროვნება დამკვიდრდებ-

ოდა. „ყველა ერი უნდა იყოს სუვერენული“, ამ მოთხოვნის განსახორციელებლად ბრძოლა მიაჩნია მას ადამიანის ყოფიერების საზრისად. მომავალში, მ. წერეთლის აზრით, ერები არა თუ არ მოისპობა, პირიქით, ახალი ერები წარმოიშობა. მიხაკო წერეთელს საინტერესო ცდა აქვს ქართული ეთნოსის ახსნისა. ქართველი ერის ძირითადი მახასიათებელი ქართული ენაა, რომელიც სამი შტოსაგან შედგება: ქართული, მეგრული და სვანური.

*თხზ.: „საზოგადოებრიობა და არსებობისათვის ბრძოლა“ (ტფილისი, 1904); „ერი და კაცობრიობა განხილულნი სოციოლოგიური მხრით“ (Baton-ის ფსევდონიმით, ტფილისი, 1910. იგივე. თბილისი, 1990).*

## წერეთელი

**ხალვე** - **1907-1966** - ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი (1958), პროფესორი (1958), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1957), დაიბადა სოფელ ჯვარისაში (ამბროლაურის რაიონი); დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასპირანტურა. 1941-1946 წლებში მონაწილეობდა სამამულო ომში. მრავალი წელი განაგებდა ფილოსოფიის ისტორიის კათედრას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, 1948-1953 და 1957-1966 წლებში იყო ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორი. მის სახელთან დაკავშირებულია ამ ინსტიტუტის სამეცნიერო პოტენციალის ზრდა. აღზარდა ახალგაზრდა მეცნიერთა თაობა, დააფუძნა ფილოსოფიის ინსტიტუტის შრომები, ჩამოაყალიბა ახალი დარგები და განყოფილებები ინსტიტუტში.

საელე წერეთლის მთავარ მეცნიერულ დამსახურებას წარმოადგენს დიალექტიკურ-ლოგიკური სისტემის შექმნა, რომელიც ცნობილია უსასრულო დასკვნის თეორიის სახელწოდებით. ამ თეორიის ძირითადი პრინციპები (განსაკუთრებით, დაუბოლოებლის ცნების განსაზღვრება) მან ჩამოაყალიბა ჯერ კიდევ 1947 წელს მოხსენებაში ფილოსოფიის ინსტიტუტის პირველ სამეცნიერო სესიაზე, ხოლო დასრულებული სახით ეს თეორია გადმოცემულია მის უკანასკნელ სქელტანიან მონოგრაფიაში „დიალექტიკური ლოგიკა" (თბილისი, 1965).

ს. წერეთელი თვლის, რომ ლოგიკა მხოლოდ ერთი შეიძლება იყო, ეს არის დიალექტიკური ლოგიკა, რომლის დაბალ საფეხურს ფორმალური ლოგიკა წარმოადგენს. მათემატიკური ლოგიკა მათემატიკური დისციპლინაა. დიალექტიკური ლოგიკა ონტოლოგიური მეცნიერებაა. ფორმალური ლოგიკა სასრულის ლოგიკას წარმოადგენს, დიალექტიკური ლოგიკა კი არის უსასრულოს ლოგიკა, რომელიც უზოგადესი ცნებების - კატეგორიების - საშუალებით ხორციელდება და შინაარსეული ხასიათი აქვს. არსებობს ორი ტიპის კატეგორიები: ლოგიკური კატეგორიები და ლოგიკურის კატეგორიები. ლოგიკურის კატეგორიის უარყოფა შეუძლებელია, ვინაიდან მისი უარყოფა მასვე ასაბუთებს. დიალექტიკური ლოგიკა აგებულია ამ ტიპის კატეგორიებზე.

ს. წერეთლის დიალექტიკური ლოგიკის ბირთვია უსასრულო დასკვნის ცნება. „დიალექტიკური ლოგიკა არის უსასრულო დასკვნის ლოგიკა". ამიტომ იგი რეფლექსურობით ხასიათდება. ს. წერეთელი ლაპარაკობს ლოგიკური კავშირის რვამხრივობაზე, რომელთაგან კავშირის თითოეული წევრი ცალმხრივია. ამ ცალმხრივობათა ამოწურვა უსასრულოს გვაძლევს. უსასრულო დასკვნა

აგებულია შინაგან უარყოფაზე, შინაგან წინააღმდეგობაზე. აქ საქმე გვაქვს დადებით დიალექტიკასთან, რომლის დროსაც მოწინააღმ-დეგენი ერთმანეთს უბრალოდ (უნაშთოდ) კი არ უარყოფენ, არამედ ამ უარყოფის გზით კიდეც ასაბუთებენ ერთმანეთს. უსასრულო და-სკვნა უშუალოა, ვინაიდან წანამძღვრებს არ საჭიროებს. ამგვარი დასკვნა ყველაზე მკაცრ ლოგიკურ აუცილებლობას წარმოადგენს. ს. წერეთელი ჩამოთვლის დიალექტიკური ლოგიკის 20 ძირითად კანონს, რომელშიც ფორმალური ლოგიკის კანონებიც შედის. დიალექტიკური ლოგიკა, როგორც შინაარსეულ ზოგადზე აგებული მეცნიერება, იმავე დროს შემეცნების თეორიას წარმოადგენს, და, მაშასადამე, დიალექტიკა, ლოგიკა და შემეცნების თეორია ერთ-მანეთს ემთხვევა. მისი აზრით, დიალექტიკური ლოგიკა არის გაშ-ლილი სახით წარმოდგენილი უსასრულო დასკვნის ლოგიკა, ხოლო ეს უკანასკნელი - შეკუმშულად წარმოდგენილი დიალექტიკური ლო-გიკა. ლოგიკური დასაბუთების საწყისს უსასრულო დასკვნა წარმო-ადგენს, რომელზეც მთელი ლოგიკური სისტემა აიგება. ს. წერეთ-ელი ასე განსაზღვრავს დიალექტიკური ლოგიკის საგანს: „ლოგიკა არის მეცნიერება აზრის მოძრაობა - განვითარების ობიექტურ ფო-რმათა შესახებ". ამ იდეის დასაბუთებას ს. წერეთელმა მრავალი გამოკვლევა და მონოგრაფია მიუძღვნა.

*თხზ.: „ლოგიკური კავშირის დიალექტიკური ბუნების შესახებ" (თბილისი, 1956); „რაციონალური მარცვალი ჰეგელის დასკვნის თეორიაში" (თბილისი, 1959); „დასაბუთების საწყისი" (თბილისი, 1963); „დიალ-ექტიკური ლოგიკა" (თბილისი, 1965); „მეცნიერების კანონთა ბუნების შესახებ" (თბილისი, 1955); „ჭეშმარიტების ლენინური გაგების ზოგიერ-თი საკითხი" (თბილისი, 1960); „ანტიკური ფილოსოფია" (თბილისი, 1968).*

## წოწონავა

**ბორის - 1926-1997** - ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი (1969), პროფესორი, დაიბადა ქ. სენაკში (ყოფილ ცხაკაიაში). 1950 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი და იმავე წელს ჩაირიცხა მოსკოვის ვ.პ. პოტიომკინის სახელობის საქალაქო პედაგოგიური ინსტიტუტის ასპირანტურაში, რომელიც დაამთავრა 1953 წელს და იმავე წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, ხოლო 1969 წელს - სადოქტორო დისერტაცია. სხვადასხვა დროს მუშაობდა ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის პედაგოგიურ ინსტიტუტში დოცენტის თანამდებობაზე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამოთელით ცენტრში, ხოლო 1961 წლიდან გარდაცვალებამდე - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

ბ. წოწონავა იკვლევდა ესთეტიკის პრობლემებს, აქსიოლოგიის საკითხებს.

*თხზ.: „მარქსისტული ესთეტიკის საკითხები" (თბილისი, 1968); „ესთეტიკა" (თბილისი, 1973).*

## ჭაეჭაეაძე

**ილია - 1837-1907** - გამოჩენილი ქართველი მწერალი, მოაზროვნე, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე, დაიბადა ყვარელში. 1857-1861 წლებში სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. 1861 წელს წყვეტს სწავლას, ბრუნდება საქართველოში და სიცოცხლის ბოლო წუთებამდე ერისა და ქვეყნის სამსახურშია. 1906 წელს აირჩიეს რუსეთის სახელმწიფო დუმის წევრად. ილია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სრულიად ახალი ტალღის უდავო ლიდერი იყო საქართველოში. მისი პრინციპული ეროვნული პოზიცია ტრაგიკული აღსასრულის მთავარი მიზეზი გახდა.

ილია ჭაეჭაეაძე უპირველესად მხატვრული სიტყვის ოსტატი და საზოგადო მოღვაწე იყო, მაგრამ მისი შემოქმედება დამუხტულია ეთიკური და ესთეტიკური პრობლემატიკით. ფილოსოფიის პოზიციიდან შეფასებული ილიას შემოქმედება წარმოგვიდგება, როგორც ადამიანის ამქვეყნიური დანიშნულებისადმი მიძღვნილი ღრმასაფუძვლიანი ნაზრევი.

ფილოსოფიური კუთხით საყურადღებოა მისი პოემა „განდეგილი", ეთიკური და ესთეტიკური პრობლემატიკის შემცველი მოთხრობები: „ოთარაანთ ქვრივი", „გლახის ნაამბობი", „სარჩობელაზედ", „კაცია-ადამიანი?!" და სხვა. ამ ნაწარმოებებში, ერთი მხრივ, ნაჩვენებია ამ ცხოვრებისაგან განდგომის შეუძლებლობა, ადამიანთა გულგრილობისა და მოვალეობის შეუსრულებლობის საეალალო შედეგები, საზოგადოების სხვადასხვა ფენას შორის არსებული უფსკრულით გამოწვეული ტრაგედია და შურისძიების გრძნობის შეუთავსებლობა ქრისტიანულ მორალთან და ა.შ. მეორე მხრივ კი, ილიას ნაწარმოებებში (მაგალითად, „კაცია-ად-

ამიანი?!" სატირიკოსის პოზიციიდან ნაჩვენებია, რომ თვითმაყოფილება და მცონარობა ერის დეგრადაციის მაუწყებელია.

ილია ჭავჭავაძის აზროვნების სიღრმე და მიზანდასახულობა კარგად ჩანს აგრეთვე მის პუბლიცისტურ ნაწერებში. ამ კუთხით საინტერესოა მისი წერილები ეროვნულ პრობლემებზე, სოციალურ-ეკონომიკურსა და პოლიტიკურ საკითხებზე. მათ შორის აღსანიშნავია მისი სტატიები: „წერილები XIX ს. ქართულ ლიტერატურაზე", „აი, ისტორია", „ქვათა ღაღადი", „კერძო და სათემო მიწათმფლობელობა" და სხვა.

ღრმასაფუძვლიანობით გამოირჩევა ილიას პედაგოგიური თხზულებანი, რომლებიც მიძღვნილია მშობლიური ენის დაცვის, გონებრივი, ზნეობრივი და ესთეტიკური აღზრდის საკითხებისადმი.

მთლიანობაში ილია ჭავჭავაძის შემოქმედება ქართული ფილოსოფიური აზრისთვის უძვირფასეს მასალებს შეიცავს.

*თხზ.: „თხზულებათა სრული კრებული", ტ. I-X (თბილისი, 1951-1961).*

## ჭაკჭავაძე

**ნიკო - 1924-1997** - ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი (1971), პროფესორი (1973), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1979), ესთეტიკისა და კულტუროლოგიის პრობლემების მკვლევარი, დაიბადა ყვარელში, საშუალო სკოლა დაამთავრა თბილისში. 1940 წელს შედის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის

ფაკულტეტზე. 1941 წელს ნიკო ჭავჭავაძე მოხალისედ წავიდა ომში, მიიღო რამდენიმე ჭრილობა. ფრონტიდან დაბრუნებული სწავლას აგრძელებს ფილოსოფიის ფაკულტეტზე, რომელიც 1949 წელს დაამთავრა. 1949 წლიდან მუშაობას იწყებს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტში. ხოლო 1966 წლიდან გარდაცვალებამდე 31 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ამ ინსტიტუტს. 1991 წლამდე იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ესთეტიკის კათედრის გამგე. ამ კათედრასთან მან შექმნა კულტურის ფილოსოფიური კვლევის ლაბორატორია, რომელიც შემდგომ საფუძვლად დაედო კულტუროლოგიის სპეციალობის ჩამოყალიბებას. 1991 წლიდან იყო ჯერ - სახელმწიფო საბჭოს, ხოლო შემდეგ - საქართველოს პარლამენტის წევრი.

ნ. ჭავჭავაძის კვლევის ძირითადი მიმართულებები იყო ესთეტიკა, აქსიოლოგია და კულტურის ფილოსოფია. ესთეტიკის სფეროში იგი ცდილობდა ესთეტიკურის სუბიექტურ-ობიექტური ხასიათის დასაბუთებას: ესთეტიკური არც მხოლოდ სუბიექტურია და არც მხოლოდ ობიექტური. ამასთანავე იგი ესთეტიკის პრობლემას განიხილავს აქსიოლოგიური თვალსაზრისით. მისი აზრით, ესთეტიკურის გასაგებად ზოგადფილოსოფიური კატეგორიების გამოყენება საკმარისი არ არის, საჭიროა აგრეთვე სპეციფიკურ-ესთეტიკური მეთოდის მოხმარება, რომელიც ღირებულებასთან არის დაკავშირებული. ნ. ჭავჭავაძე აქსიოლოგიური პოზიციებიდან იკვლევს აგრეთვე კულტურის პრობლემასაც. ღირებულება, მისი აზრით, კულტურის ამხსნელ პრინციპს წარმოადგენს. კულტურა არ არსებობს ღირებულების გარეშე, იგი ღირებულებითი ცნობიერების ძირითადი ნიშანია; მეორე მხრივ, ღირებულებაც კულტურის არსებობას გულისხმობს. ამრიგად, ღირე-

ბულება ნ. ჭავჭავაძეს ესმის როგორც ესთეტიკურისა და კულტურის გარეგადამწყდომი პრინციპი.

ნ. ჭავჭავაძე ავტორია მრავალი სამეცნიერო ნაშრომისა ესთეტიკის, კულტუროლოგიისა და ფილოსოფიური ანთროპოლოგიის დარგში.

*თხზ.: „О некоторых особенностях художественного отражения действительности" (Тбилиси, 1955); „ესთეტიკის საკითხები" (თბილისი, 1958); „ესთეტიკის საგნის ბუნებისათვის" (თბილისი, 1965); „ესთეტიკის მეთოდოლოგიისათვის" (თბილისი, 1977); „Культура и ценность" (Тбилиси, 1984).*

## ჭანუყაძე

**ალადინერ - 1929-2003** - ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი (1977), პროფესორი, დაიბადა სოფელ შემოქმედში (ოზურგეთის რაიონი); 1951 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი.

ვ. ჭანუყვაძის სამეცნიერო კვლევის ინტერესებს შეადგენდა შრომის განვითარების კანონზომიერებანი, პიროვნების თავისუფლების, საზოგადოების პოლიტიკური მართვის პრობლემები.

*თხზ.: „პოლიტოლოგიური დიალოგი" (თბილისი, 1998); „პოლიტოლოგია" (თბილისი, 1996, თანაავტორი).*

## ჭელიძე

**მერი - 1923** - ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი (1967). პროფესორი (1969), მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1982), დაიბადა კასპში, დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი (1945). მუშაობს ფილოსოფიის (ძირითადად ანტიკური ფილოსოფიის) ისტორიის პრობლემებზე. 1962-1967 წლებში ეკავა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ისტორიის კათედრის გამგის თანამდებობა. მონაწილეობდა მოსკოვის საერთაშორისო კონგრესში (1970 წელი), მიძღვნილს ჰეგელის დაბადებიდან 200 წლისთავისადმი. თავის ნაშრომებში მერი ჭელიძე იკვლევს ანტიკურ მითოლოგიასა და ფილოსოფიას, აჩვენებს მათ შორის მსგავსება-განსხვავებას, ასაბუთებს ფილოსოფიური აზროვნების ჩამოყალიბების უპირატესობას მითოლოგიურთან შედარებით. მისთვის მიუღებელია ბურჟუაზიული ფილოსოფოსების ცდა დიალექტიკის ირაციონალიზაციისა და სუბიექტივიზაციისა. დიალექტიკა არის მოძღვრება ობიექტური სინამდვილის შესახებ. მერი ჭელიძემ სპეციალური წიგნი მიუძღვნა მახისა და მახისტების სუბიექტური იდეალიზმის კრიტიკას. მას გამოქვეყნებული აქვს მრავალი სტატია ფილოსოფიის პრობლემებზე.

*თხზ.: „მითოსიდან ფილოსოფიური აზროვნებისაკენ“ (თბილისი, 1977); „დიალექტიკა და თანამედროვე ფილოსოფია“ (თბილისი, 1972); „ანტიკური და „დაუწერელი“ ფილოსოფიის პრობლემა“ (თბილისი, 1986); „ელინიზმის ფილოსოფია“ (თბილისი, 1992); „ელინიზმის ფილოსოფია ადრინდელ ქრისტიანულ ეპოქაში“ (თბილისი, 1998); „მარქსისტული ფილოსოფიის ფორმირება და მისი ბურჟუაზიული ინტერ-*

*პრეტატორები" (თბილისი, 1977); „მახიზმის კრიტიკა ვ.ი. ლენინის მიერ" (თბილისი, 1958); „ჰეგელის დიალექტიკის კრიტიკის ძირითადი თავისებურებანი ბურჟუაზიულ ფილოსოფიაში" (თბილისი, 1966); „ჰეგელი და ნეოჰეგელიანიზმი" (თბილისი, 1970); „ძველი აღმოსავლეთის ფილოსოფია (ინდოეთი, ჩინეთი)" (თანააეტორი რ. გორდეზიანი, თბილისი, 2001); „ქართული ეროვნული გონი ფილოსოფიურ-ისტორიული ასპექტით" (თბილისი, 2002).*

**ზურაბ - 1949** - ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი (1990), პროფესორი (1992), საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1995), დაიბადა სოფელ ნატარღალში (გალის რაიონი); 1972 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი. 1992 წლიდან თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორია, 2004 წლიდან ფილოსოფიის კათედრის გამგე. გამოქვეყნებული აქვს ორი მონოგრაფია, მრავალი სამეცნიერო სტატია და სამი პოეტური კრებული.

ზ. ხასაიას ფილოსოფიური ნაშრომების მთავარი თემაა არსებობის საზრისის პრობლემა, ხოლო ამ პრობლემის მთავარი ასპექტია - ადამიანის არსებობა. კერძოდ, კონკრეტულ არსებობას აზრი არა აქვს, რადგან საფუძველი არა აქვს საკუთარ თავში, ამიტომ აზრი აქვს მხოლოდ განუსაზღვრელ ყოფნას - არარას. შესაბამისად, ადამიანის ცნობიერება, საბოლოოდ, უსაზრისობის გაცნობიერებაა. ჩვეულებრივ, ცხოვრების საზრისი ფიქციაა, ხოლო ნამდვილი, უმაღლესი საზრისი ასკეზაა, სიცოცხლისგან განდგომა, რომელიც იწყება „თავისუფალი ჭვრეტით" და მთავრდება „უმოქმედობით". ამ თვალსაზრისს ზ. ხასიაია „მეტაფიზიკურ ნიჰილიზმს" უწოდებს.

*თხზ.: „დეტერმინიზმი და თავისუფლება" (თბილისი, 1991); „მეტაფიზიკური ნიჰილიზმის დაფუძნების მცდელობა" (თბილისი, 2003).*

## ხელაშვილი

**იონა - 1772-1837** - XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული ფილოსოფიური და თეოლოგიური აზრის მნიშვნელოვანი წარმომადგენელია. სხვადასხვა დროს სწავლობდა ვაქირში, თბილისში, თელავში, გრემის, შიო მღვიმისა და ქვათახევის მონასტრებში.

1803 წელს, როცა რუსეთის მეფის ბრძანებით ქართველი მეფის მემკვიდრეები და დედოფლები რუსეთში გადაასახლეს, იონა ხელაშვილიც მათ გაჰყოლია. ჯერ ვორონეჟში ცხოვრობდა, შემდეგ - მოსკოვში. 1806 წლიდან იგი სამუდამოდ დასახლდა პეტერბურგში, სადაც დავით ბატონიშვილის რეკომენდაციით მიიღეს ალექსანდრე ნეველის სასულიერო აკადემიის ფილოსოფიისა და ღვთისმეტყველების კლასში. აქვე აღიკვეცა ბერად და აკურთხეს იეროდიაკონად.

იონა ხელაშვილი იყო თეოლოგი და იბრძოდა მატერიალისტური ფილოსოფიის წინააღმდეგ, აღიარებდა ცარიელი სივრცის არსებობას და მას სამყაროს ადგილსამყოფლად თვლიდა. იონას აზრით, ცდებიან კარტეზიანელები, როცა უარყოფენ ცარიელი სივრცის არსებობას, მაშინ, როცა ცარიელი სივრცის არსებობას ამტკიცებს თვით საგანთა ზრდისა და შემცირების ფაქტები. მის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა აგრეთვე საგანთა წარმოშობა და მოსპობა. ლაიბნიცისა და კლარკის კამათში ბუნებისმეტყველების საკითხებზე ი. ხელაშვილი ნიუტონისა და კლარკის თვალსაზრისს იცავდა სივრცის, დროისა და მოძრაობის საკითხებში.

იონა ხელაშვილისათვის მიუღებელია თვალსაზრისი, რომელიც სულს მატერიალურ თვისებებს მიაწერს. იგი მებრძოლი იდეალისტი და თეოლოგი იყო, ამ პოზიციებიდან არის დაწერილი მისი თხზულებანი.

*თხზ.: „ოცდათოთხმეტი შეკითხვის წიგნი“ (თბილისი, 1967); „იონა ხელაშვილის ეპისტოლარული მემკვიდრეობა“ (თბილისი, 2000).*

## ხიდაშელი

**შალვა - 1910-1994** - ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი (1963), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრი (1988), დაიბადა ცხინვალში, 1927 წელს შედის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე კლასიკური ფილოლოგიის განხრით, რომელსაც ამთავრებს 1932 წელს, მაგრამ უკვე როგორც ინსტიტუტს. 1933-1936 წლებში სწავლობდა ლენინგრადის ენის, ისტორიის, ლიტერატურისა და ფილოსოფიის ინსტიტუტის ასპირანტურაში ანტიკური ფილოსოფიის სპეციალობით. 1936 წელს მუშაობას იწყებს რუსთაველის ეპოქის მუზეუმში, რომელსაც ხელმძღვანელობდა ივანე ჯავახიშვილი. იყო მეორე მსოფლიო ომის მონაწილე: 1946 წლიდან გარდაცვალებამდე მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტში.

შ. ხიდაშელის მეცნიერული კვლევა-ძიების მთავარი სფერო იყო ქართული კულტურის ისტორია, კერძოდ, ქართული მატერიალურ-კულტურული ძეგლების შესწავლა, ქართული ფილოსოფიის ისტორია, ქართული რენესანსის საკითხები, რუსთველოლოგია. 90-იან წლებში იგი აქტიურად იღვწოდა პუბლიცისტიკის სფეროში, კერძოდ, მისი სტატიები მიძღვნილი იყო ეროვნული პრობლემების, ზნეობისა და პოლიტიკის საკითხებისადმი.

შ. ხიდაშელი ძირითადად იკვლევდა IV-XIX საუკუნეების ქართული ფილოსოფიის ისტორიას, მის სხვადასხვა მონაკვეთს მიუძღვნა მონოგრაფიული გამოკვლევები.

შ. ხიდაშელი შალვა ნუცუბიძის ტრადიციების გამგრძელებელია ქართული ფილოსოფიის ისტორიის, რენესანსის პრობლემების დამუშავებასა და რუსთველოლოგიაში. ამასთან, მას „კვლევის საკუთარი გზა" (შ. ნუცუბიძე) გააჩნდა, რაც უპირველესად გამოიხატებოდა შუა საუკუნეების ქართული კულტურის აქსიოლოგიის (ღირებულების თეორიის) პოზიციიდან განხილვაში.

შ. ხიდაშელის მოღვაწეობაში განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო 1981-1993 წლები, როდესაც მან გამოაქვეყნა 50-მდე მეცნიერული ნაშრომი, მათ შორის ოთხი მონოგრაფია და ორი პუბლიცისტური კრებული.

ქართული ფილოსოფიის ისტორიაში შ. ხიდაშელის მრავალმხრივი კვლევა-ძიების შეჯამება იყო 1988 წელს გამოქვეყნებული წიგნი „ქართული ფილოსოფიის ისტორია", სადაც შესულია მისი კვლევა-ძიების შედეგები ქართული ფილოსოფიის, ისტორიის, ქართული რენესანსის და რუსთველის მსოფლმხედველობის შესახებ. შ. ხიდაშელის შრომები გამოქვეყნებულია ქართულ, რუსულსა და გერმანულ ენებზე.

*თხზ.: „არსის პრობლემა პარმენიდეს ფილოსოფიაში" (თბილისი, 1960); „ჰუმანიზმის ზოგიერთი საკითხი ქართულ მწერლობასა და ფილოსოფიაში" (თბილისი, 1954); „იოანე პეტრიწი" (თბილისი 1956); „რუსთაველის მსოფლმხედველობის საკითხები" (თბილისი, 1981); „ქართული ფილოსოფიის ისტორია" (თბილისი, 1988); „Основные мировоззренческие направления в феодальной Грузии" (Тбилиси, 1962); „Вопросы грузинского Ренессанса" (Тбилиси, 1984); „Neoplatonismus in mittelalterische Georgien" (Roma, 1974).*

**ხუციშვილი**

**გიორგი** - **1948** - ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი (1991); დაიბადა თბილისში. 1971 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი. 1993-1994 წლებში მიწვეული იყო სტენფორდის უნივერსიტეტში (აშშ) ლექციების წასაკითხად. არის კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის დამაარსებელი და დირექტორი.

სამეცნიერო-ფილოსოფიური კვლევის ძირითადი მიმართულებებია - მეცნიერების, ფილოსოფიის, სოციოლოგიისა და კონფლიქტოლოგიის პრობლემები. გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომები ქართულ, რუსულსა და ინგლისურ ენებზე, აგრეთვე თანაავტორია სახელმძღვანელოსი „კონფლიქტი და გენდერი" (UNIFEM, 2002).

*თხზ.: „Проблема бесконечности в современной науке" (Тбилиси, 1981); „Генезис структуры теоретического мышления" (Тбилиси, 1989); „Разрешение конфликтов и интеграция на Южном Кавказе: реальность или иллюзия?" (Тбилиси, МЦКП, 2001, соавторы Г. Нижарадзе и Р. Мшвидобадзе): „აფხაზეთის პრობლემა საზოგადოებრივი აზრის სარკეში" (თბილისი, 2002, ქართულ, რუსულსა და ინგლისურ ენებზე).*

## ჯავახიშვილი

**იანე - 1876-1940** - ისტორიკოსი, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1939), დაიბადა თბილისში. 1895 წელს დაამთავრა თბილისის გიმნაზია, 1899 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტი. 1903 წლიდან პეტერბურგის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტია. მისი ხელმძღვანელობით 1918 წელს ქართველ მეცნიერთა ჯგუფმა დააარსა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 1918-1919 წლებში იყო უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დეკანი, 1919-1926 წლებში - უნივერსიტეტის რექტორი, 1926-1931 წლებში - საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების თავმჯდომარე, 1931-1936 წლებში - საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მეცნიერ კონსულტანტი, 1936 წლიდან - მუზეუმის განყოფილების გამგე, ხოლო 1937 წლიდან - რუსთაველის სახელობის მუზეუმის დირექტორი.

ივ. ჯავახიშვილის კვლევა-ძიების მთავარი სფერო იყო საქართველოს ისტორიის საკითხები. ამასთან, მის სამეცნიერო მოღვაწეობაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიის საკითხებსაც. ივ. ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორიაში" სათანადო ადგილი აქვს დათმობილი ნეოპლატონური ფილოსოფიის შეფასებას და მის მნიშვნელობას ქართული კულტურისთვის. მის გამოკვლევებში საყურადღებო აზრია გამოთქმული XI-XII საუკუნეების საქართველოში რენესანსის ელემენტების არსებობაზე. ივ. ჯავახიშვილმა სპეციალური ნაშრომები მიუძღვნა ზნეობრივი მოძღვრების ისტორიას საქართველოში და ადამიანის პრობლემას ძველ ქართულ მწერლობასა და ცხოვრებაში. ამ ნაშრომებში მოცემულია ადრინდელი საქართველოს სო-

ციალური და პოლიტიკური ცხოვრებისა და ზნეობრივი ურთიერთობების ფილოსოფიური ანალიზი.

*თხზ.: „ქართველი ერის ისტორია" (იხ. ივ. ჯავახიშვილი. „თხზულებანი" თორმეტ ტომად, ტ. II (თბილისი, 1983); „ზნეობრივი მოძღვრების ისტორია საქართველოში" (იხ. „ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორია". ტ. I (თბილისი, 1996); „ადამიანი ძველ ქართულ მწერლობასა და ცხოვრებაში" (იქვე).*

## ჯახაია

**ლეონიდე** - **1932** - ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი (1970), პროფესორი (1973), საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1995), საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის დამსახურებული მუშაკი; დაიბადა 1932 წელს ქ. სოხუმში, 1951 წელს იქვე დაამთავრა საშუალო სკოლა და სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტი (1956 წელს), სადაც 1961 წელს დაიწყო სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობა ფილოსოფიის კათედრაზე. 1977-1978 წლებში მოღვაწეობდა ბულგარეთში, კლიმენტ ოხრიდსკის სახელობის სოფიის უნივერსიტეტში, ხოლო 1983-1986 წლებში - კომენსკის სახელობის ბრატისლავის უნივერსიტეტში.

1980-1993 წლებში იყო საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის ფილოსოფიის კათედრის გამგე (სოხუმში), ამჟამად თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო

უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის (თბილისში) ფილოსოფიისა და სოციოლოგიის კათედრის გამგეა.

ლ. ჯახაიას კვლევის ძირითადი მიმართულებებია გნოსეოლოგიის, მეცნიერებათმცოდნეობისა და კოსმოლოგიის ფილოსოფიური პრობლემები. ფილოსოფიის დარგში ჩამოაყალიბა იდეა იმის შესახებ, რომ მსოფლიო ფილოსოფიის ისტორიაში არსებობს და პარალელურად ვითარდება ფილოსოფოსობის სამი ძირითადი ნაირსახეობა: მეცნიერული (სციენტისტური), ანთროპოლოგიური (ეგზისტენციალური) და რელიგიური (თეოლოგიური) ფილოსოფია, რომლებიც სხვადასხვანაირად ორიენტირებულ ადამიანთა მსოფლმხედველობრივ მისწრაფებას აკმაყოფილებენ. თვითონ ლ. ჯახაია დგას მატერიალისტურად ორიენტირებული მეცნიერული ფილოსოფიის პოზიციებზე.

ლ. ჯახაია ავტორია 200-ზე მეტი პუბლიკაციისა ქართულ, რუსულ, ინგლისურ, ბულგარულ, სლოვაკურ, ჩეხურ ენებზე, მათ შორის მონოგრაფიებისა, დამხმარე სახელმძღვანელოებისა ფილოსოფიაში, ფუტუროლოგიური რომანისა „Записки Дмитрия Киртадзе“ და ოთხი პოეტური კრებულისა.

*თხზ.: „Классификация наук как философская и науковедческая проблема“ (Сухуми, 1969); „Наука и искусство“ (Тбилиси, 1977); „Практическая ценность науковедения“ (Тбилиси, 1980); „Современная наука: проблемы и тенденции“ (Тбилиси, 1987); „Вакуум“ (Сухуми, 1990); „Информационное общество“ (Тбилиси, 1995); „Новая космологическая концепция“ (Тбилиси, 1999); „Философское миропонимание (Введение в научную философию)“ (Тбилиси, 2003).*

## ჯიბლაძე

**გიორგი - 1913-1989** - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1963), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1960), საბჭოთა კავშირისა და რუსეთის ფედერაციის პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1966), დაიბადა ქუთაისში, დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი (1933). სხვადასხვა დროს მუშაობდა პარტიულსა და სამთავრობო სამუშაოებზე: იყო საქართველოს განათლების მინისტრი (1953-1960), საქართველოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების მინისტრი (1963-1980), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი (1980-1989), საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი (1944-1946).

გ. ჯიბლაძე იკვლევდა ქართული ლიტერატურისა და ესთეტიკის პრობლემებს. გამოქვეყნებული აქვს ნაშრომები ი. ჭავჭავაძის, ნ. ბარათაშვილის, მ. შოლოხოვის, ი.ა. კომენსკის, ჟ.ჟ. რუსოს, ზ. ფროიდის მსოფლმხედველობის შესახებ. იყო საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1987).

*თხზ.: „კრიტიკული ეტიუდები“, ტ. 1-8 (თბილისი, 1945-1985).*

## ჯიოევი

**თამაზ - 1928-1999** - ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი (1972), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1983), დაიბადა თბილისში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, 1945 წელს, ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოსოფიის ფაკულტეტზე, 1949 წელს გადავიდა მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში იმავე ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1950 წელს.

1951-1954 წლებში იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის ასპირანტი. 1955-1957 წლებში მუშაობდა ცხინვალის პედაგოგიურ ინსტიტუტში უფროს მასწავლებლად, 1957 წლიდან გარდაცვალებამდე - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტში ჯერ უმცროს მეცნიერ თანამშრომლად (1960 წლამდე), შემდეგ - უფროს მეცნიერ თანამშრომლად, ხოლო 1970 წლიდან - კულტურის ფილოსოფიის განყოფილების ხელმძღვანელად. 1983 წლიდან 1992 წლამდე შეთავსებით მუშაობდა ცხინვალის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში უფროს მეცნიერ თანამშრომლად.

ო. ჯიოევი 100-ზე მეტი მონოგრაფიისა და სტატიის ავტორია. მის ნაშრომებში გამოკვლეულია ისტორიისა და კულტურის ფილოსოფიის აქტუალური პრობლემები. განხილულია ისტორიული შემეცნების სპეციფიკა, გაანალიზებულია ისტორიული აუცილებლობის ნატურალისტური გაგების მცდარობა. ისტორიული აუცილებლობა გაპირობებულია ისტორიაში ღირებულებით, დეტერმინაციის არსებობით. ადამიანის თავისუფლება გულისხმობს ღირებულებით დეტერმინაციას და, მაშასადამე, ღირებულებათა გარკვეულ ობიექტურობასაც.

ო. ჯიოევი კულტურას განიხილავს როგორც ადამიანის მოღვაწეობის იმგვარ სპეციფიკურ ფორმასა და შედეგს, რომელიც გამოხატავს ადამიანის ქმნადობას, მის ჰუმანიზაციას.

ო. ჯიოევი იკვლევდა აგრეთვე უახლესი დროისა და თანამედროვე დასავლეთის ფილოსოფიურსა და სოციოლოგიურ თეორიებს, აკრიტიკებდა და ხშირად იყენებდა მათ თავისი კონცეფციის გადმოცემისას.

ო. ჯიოევი აქტიურად მონაწილეობდა საერთაშორისო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში. განსაკუთრებით აღსანიშნავია ღირებულებების საკითხებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენციების სერია, მათ შორის თბილისშიც (1974 წელს), რომელთა ერთ-ერთი ინიციატორი თვითონ იყო. ოთარ ჯიოევმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა კიტა მეგრელიძის ფილოსოფიურ შეხედულებათა გამოკვლევის საქმეში.

*თხზ.: „Природа исторической необходимости“ (Тбилиси, 1967); „Материалистическое понимание истории и буржуазная философия“ (Тбилиси, 1974); „კულტურა და ადამიანის ცხოვრება“ (თბილისი, 1985); „კიტა მეგრელიძე“ (თბილისი, 1987); „Смысл культуры“ (Тбилиси, 1990); „რა არის კულტურა?“ (თბილისი, 1986); „Место проблемы ценности в марксистской философии“ (Тбилиси, 1965).*

## ჯორჯაძე

**აზიელ - 1872-1913** - ფილოსოფოსი, სოციოლოგი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე; 1892 წელს დაამთავრა თბილისის პირველი გიმნაზია; სწავლობდა ჯერ პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, შემდეგ - ვარშავის უნივერსიტეტში; 1893 წელს კვლავ პეტერბურგის უნივერსიტეტში დაბრუნდა. შემდეგ საზღვარგარეთ გაემგზავრა და ლექციებს ისმენდა სხვადასხვა უნივერსიტეტში. 1900 წელს დაბრუნდა საქართველოში, გახდა გაზეთ „ცნობის ფურცლის" თანამშრომელი. 1901 წლიდან საქართველოს სოციალ-ფედერალისტური პარტიის ერთ-ერთი ორგანიზატორი და ლიდერია. 1902 წელს კვლავ საზღვარგარეთაა, ლექციებს ისმენს საფრანგეთის, ინგლისისა და შვეიცარიის უნივერსიტეტებში, საგანგებოდ სწავლობს სოციოლოგიას.

1905 წლიდან ა. ჯორჯაძე საქართველოშია, ეწევა აქტიურ პოლიტიკურსა და პუბლიცისტურ მოღვაწეობას. 1911-1915 წლებში იბეჭდება მისი თხზულებათა ხუთი ტომი. იგი აკრიტიკებდა მარქსისტებს როგორც ზოგადფილოსოფიურ, ისე ეროვნულსა და სახელმწიფოებრიობის საკითხებში. სახელი გაითქვა თავისი „საერთო ნიადაგის" თეორიით. მისი ფილოსოფიური ნაშრომების დიდი ნაწილი დაბეჭდილია თხზულებათა მესამე წიგნში, რომლის საერთო სახელწოდებაა „ნააზრევი, ხელოვნება, ფილოსოფია, რელიგია".

ა. ჯორჯაძე იკვლევდა სიცოცხლისა და სიკვდილის, ირაციონალურისა და რაციონალურის პრობლემებს, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ადამიანის რაობის ახსნაში ირაციონალიზმს. ამით აი-

ხსნება მისი ინტერესი ბუდიზმის მიმართ. იგი კარგად იცნობდა ინდოეთის ფილოსოფიის შესახებ რუსულ, ფრანგულ და ინგლისურ ენებზე არსებულ ლიტერატურას. ა. ჯორჯაძე „სიცოცხლის ფილოსოფიის" დამცველია. მის თხზულებებში დიდი ადგილი აქვს დათმობილი სიცოცხლის რაობისა და მისი საზრისის პრობლემას.

ა. ჯორჯაძე უკიდურესად კრიტიკულად აფასებდა მარქსიზმს, როგორც წმინდა „ეკონომიკურ დოქტრინას", ისტორიულ მატერიალიზმს, რომელსაც ისტორიული მოვლენები მარტოოდენ წარმოებით ურთიერთობებზე დაჰყავს და გამორიცხავს მიზანს, ისტორიის საზრისს, კლასობრიობის უნიფიკაციას ახდენს და ეროვნული ნიჰილიზმის პოზიციაზე დგას. ა. ჯორჯაძის მიხედვით, აუცილებელი არ არის ერი დაშლილი იყოს კლასებად, არსებობს ერთიანი ეროვნული ნიადაგი და, გარდა ამისა, კლასობრივი დაპირისპირების ფაქტიდან სრულიადაც არ გამომდინარეობს, რომ „იმ საზოგადოებაში, სადაც კლასები აღარ იქნებიან, ეროვნება ვეღარ იცოცხლებს, პირიქით, იგი სწორედ მაშინ უნდა აყვავდეს და გაშალოს თავისი კულტურული შინაარსი. თავისებური „გენიოსობა". ერი, მისი გაგებით, ცოცხალი ორგანიზმია და იგი მხოლოდ მაშინ ვეღარ იარსებებს, თუ მთლიანად დაკარგავს თავის სასიცოცხლო ძალებს, ხოლო თუ ამ ძალების გაშლისა და გამოვლენის პირობები შეიქმნება, მაშინ ერის აღორძინებაც იწყება.

ა. ჯორჯაძის ეროვნული კონცეფცია მისი ზოგადი ფილოსოფიური მოძღვრების, სიცოცხლის ფილოსოფიის ძირითად დებულებებზეა აგებული. ამ კონცეფციაში სიცოცხლისა და სიკვდილის პრობლემასთან დაკავშირებით ერის გადარჩენისა და დაღუპვის

საფრთხის, მისი წარმოშობისა და ისტორიული განვითარების საკითხი დგას. როცა იგი კონკრეტულად ქართველი ერის ბედს, მის ისტორიულ წარსულსა და მომავალს იკვლევდა, აქაც ისევ სიცოცხლის ფილოსოფიის პრინციპებს იყენებდა და შეუპოვრად ებრძოდა ეროვნული ნიჰილიზმის ყოველ გამოვლენას.

*თხზ.: „თხზულებანი", წიგნი I-V (1911-1914); „წერილები" (თბილისი, 1989); „სამშობლო და მამულიშვილობა" (თბილისი, 1990).*

## ჯოხაძე

**დაკით - 1935** - ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი (1977), პროფესორი, დაიბადა 1935 წელს სოფელ ბოსტანაში (ამბროლაურის რაიონი), დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი, ხოლო 1964 წელს - საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის ასპირანტურა. მეცნიერული კვლევის ძირითადი მიმართულებებია: ანტიკური და შუა საუკუნეების ფილოსოფიისა და დიალექტიკის ისტორია, ანტიკური დიალოგისა და რიტორიკის პრობლემები. შემოიღო ახალი ტერმინი - „ფილოსოფიური ანტიკომცოდნეობა" („философское антиковедение), რომელიც განიმარტება, როგორც შედარებით დამოუკიდებელი თეორიული მიმდინარეობა მსოფლიო ფილოსოფიის ისტორიაში. დ. ჯოხაძის ხელმძღვანელობითა და თანააავტორობით გამოვიდა რამდენიმე კოლექტიური მონოგრაფია და კრებული.

*თხზ.: „Диалектика Аристотеля“ (Москва, 1972); „Основные этапы развития античной философии“ (Москва, 1977); „Диалектика эллинистического периода“ (Москва, 1979); „Введение в западноевропейскую средневековую философию“ (Москва, 1982); „Специфика философского знания и проблема человека в истории философии“ (Москва, 1988); „Философия античного диалога“ (Москва, 1997).*

## ჯუღელი

**თთარ - 1925** - ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი (1955), დაიბადა ზესტაფონში, 1945 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი, ხოლო შემდეგ ასპირანტურა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტში. 1949 წლიდან ფილოსოფიის ინსტიტუტის თანამშრომელია, 1951-1966 წლებში - ფილოსოფიის ინსტიტუტის სწავლული მდივანი. ხოლო შემდეგ, გარდაცვალებამდე - ამავე ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი.

ო. ჯუღელის მეცნიერული კვლევის ძირითად სფეროს წარმოადგენდა შემეცნების თეორიისა და ცნობიერების პრობლემა. ცნობიერება იდეალურია, ამიტომ იდეალურის ბუნების გამოკვლევა იმავე დროს ცნობიერების გამოკვლევას წარმოადგენს. ო. ჯუღელი ერთმანეთისაგან განასხვავებდა იდეალურის ონტოლოგიურსა და გნოსეოლოგიურ ასპექტებს. იდეალური, ამტკიცებს ო. ჯუღელი, სუბიექტურისა და ობიექტურის დიალექტიკური ერთია-

ნობაა, რაც მას ობიექტური სამყაროს სუბიექტურ ასახვად ხდის. იდეალურის შინაარსი ობიექტურია, ხოლო სუბიექტში მისი გამოსახვის ფორმა რელატიური. რელატიურობა, ანუ სუბიექტურობა, იდეალურის გნოსეოლოგიურ დახასიათებას წარმოადგენს.

*თხზ.: „იდეალურის გნოსეოლოგიური ასპექტი" (თბილისი, 1988).*

გამომცემლობის რედაქტორი ლალი კონცელიძე
პოლიგრაფიული ცენტრის
პასუხისმგებელი რედაქტორი გულნაზ სამნიძე
მხატვრული რედაქტორი გურამ გუჯაბიძე
ტექნიკური რედაქტორი რობერტ ლომაძე
უფროსი კორექტორი ნანული წილოსანი
კორექტორები აიდა აბუსერიძე
ნინო ღოღობერიძე
დამკაბადონებელი მაია მესხიძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 9.11.2004
ქაღალდის ზომა 70X108 1/32
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 6,5
ფიზიკური თაბახი 13,75
შეკვ. №44
ტირაჟი 500

ფასი სახელშეკრულებო